ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№140 (199) 11-18 ოქტომბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

აფხაზური შთაბეჭდილებები...

დილის ათ საათზე ენგურის ხიდს მივადექით ზუგდიდის მხრიდან მე, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი კუკური ფიფია, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ლადო ქირია. აფხაზეთში მივდიოდით გაზეთ “ГАЛ”-ის რედაქციის მიწვევით, რათა გვემსჯელა მეგრული ენის განვითარების პერსპექტივებსა და ამოცანებზე და ამ საკითხზე მომავალი კონფერენციის ჩატარების ვადისა და ადგილის შერჩევის თაობაზე. არ დაგიმალავთ, ოდნავ კრთომას ყველანი ვგრძნობდით და გასაკვირი ამაში არაფერი იყო, რადგან, იმ ავადსახსენებელი ომის შემდეგ, უკვე 18 წელიწადია გაწყვეტილია ყოველნაირი კომუნიკაცია აფხაზეთთან, რაიმე ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

ხიდზე გადასვლამდე ქართველმა პოლიციელებმა ჩვენი მონაცემები ამოიწერეს და როცა ჩვენი აფხაზეთში გადასვლის მიზანი შეიტყვეს, დაუბრკოლებლად გაგვატარეს. თითქმის კილომეტრნახევრის გავლამ მოგვიწია ფეხით (მხოლოდ ენგურზე გადებული ხიდის სიგრძეა ერთ კილომეტრამდე) და ენგურს გაღმა აღმოვჩნდით. იქ ჩვენი ვინაობით უკვე აღარავინ დაინტერესებულა, მოგვესალმენ და ისე გაგვატარეს აფხაზეთის მიწაზე. მასპინძლები უკვე გველოდნენ – გაზეთ “ГАЛ”-ის მთავარი რედაქტორი ნუგზარ სალაყაია, გაზეთის თანამშრომლები მაყვალა ჩხოლარია, ნარგიზა ბასარია, სლავიკ ცაავა, პოეტი თენგიზ ფეტელავა, პოეტი ნუგზარ შამუგია და სხვები.

ხიდს ზემოთ მდებარე გადახურულ გალერეაში დადგმულ მაგიდას მივუსხედით და მუშაობას შევუდექით.

აღნიშნული შეხვედრა ეძღვნებოდა საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოების შექმნას. როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, აღნიშნული საზოგადოება იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:

ფოლკლორისტიკა – ხალხური შემოქმედების ნიმუშების მოძიება (ანდაზები, გამოცანები, სიმღერები, ზღაპრები, თქმულებები და სხვა, სამეგრელოში ახალი მასალების მოსაძიებლად ექსპედიციის ჩამოყალიბება).

ლიტერატურული ენა – იმ პოეტებისა და მწერლების გაერთიანება, რომლებიც მეგრულ ენაზე ქმნიან ნაწარმოებებს.

ლინგვისტიკა – მეგრული ენის კვლევა მეცნიერულ ჭრილში.

განათლება – დაწყებით კლასებში მეგრული ენის მოკლე კურსის სწავლება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – ინტერნეტ-რესურსების შექმნა, მეგრულენოვანი გაზეთის გამოცემა და სატელევიზიო გადაცემების ორგანიზება მეგრულ ენაზე.

უფლებრივი მხარე –საქართველოს მეგრულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვა.

არავის ეჭვი არ ეპარება, რომ კოლხური (მეგრული) ენა, რომლის ფესვები შორეულ წარსულშია ჩაკარგული, დღეს ავად მოყარყაშე მეცნიერ-ყორნებისაგან უნდა დავიცვათ, რადგან ამ ენაზე წარსულის მრავალი საიდუმლოებით მოსილი ძეგლის გაშიფვრაა შესაძლებელი. ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა, პროფესორმა გია კვაშილავამ სწორედ მეგრული ენის გამოყენებით შექმნა სპეციალური ალგორითმი და მოახერხა გაეშიფრა ფრანგი არქეოლოგის ლუიჯი პერნიეს მიერ 1906 წელს ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი “ფესტოსის დისკო”, რომლის წაკითხვას 100 წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ მსოფლიოს წამყვანი ენათმეცნიერები და უძველეს ძეგლთა მკვლევარები. წარმოიდგინეთ, ეს აღმოჩენა სომხებს რომ გაეკეთებინათ, ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საკუთარი წარსულის განმადიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები ექნებოდათ შექმნილი. საქართველოში კი, გია კვაშილავას წინააღმდეგ სწორედ ქართველებმა გაილაშქრეს და ლამის მეცნიერულ ჟონგლიორობაში დასდეს ბრალი ამ უდავოდ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ადამიანს.

დაახლოებით ორი საათი შეუსვენებლად ვიმუშავეთ აღნიშნულ საკითხებზე, როცა შეხვედრა დამთავრებულად ჩავთვალეთ, ქაღალდები წამოვკრიფეთ და მასპინძლებთან გამოსამშვიდობებლად გავემზადეთ.

– ვერ გიწონებთ საქციელს! – გააპროტესტა ნუგზარ სალაყაიამ, – როგორც ჩანს, მართლაც დაგვიწყნიათ აფხაზური სტუმართმოყვარეობა. აქედან ნაბიჯს ვერ გადგამთ სადღეგრძელოების გარეშე! – შეუვალი ხმით დააბოლოვა და აფხაზურ ენაზე, ალბათ, სუფრის გაწყობის ბრძანება გასცა.

თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, ქალბატონები დაფაცურდნენ და მაგიდაზე წამსვე გაჩნდა შესანიშნავი პურმარილი: აფხაზურად შემწვარი დედალი, მოხარშული ხორცი, გულრიფშში გამომცხვარი პური, ჭყინტი ყველი, სულგუნი, ხაჭაპურები, კიტრისა და პომიდვრის სალათა, აჯიკა, აფხაზურად შემწვარი ლორი, ლიმონათი, მინერალური წყალი, ხილი, და რაც მთავარია, შესანიშნავი აფხაზური ღვინო – “ლიხნი”.

საკმაოდ მოშიებულებიც ვიყავით, მასპინძლებმა დანაყრება გვადროვეს და შემდეგ ფეხზე ამდგრებმა შევსვით ჩვენი შეხვედრისა და მონატრების სადღეგრძელო.

სასმისმა თავისი გაიტანა, მალე ისე დავთბით და იმდენად გულახდილად წარმოვთქვამდით ომახიან სადღეგრძელოებს, თითქოს წინა დღით დაწყებულ სუფრას ვაგრძელებდით. ვიხსენებდით წარსულის ბედნიერ დღეებს, აფხაზეთში გატარებულ დროს, თბილისის შეხვედრებს, შერეულ ქორწილებს, ადამიანებს, რომლებიც უკვე ჩვენს გვერდით აღარ არიან...

სწორედ სუფრასთან, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ყველამ გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ სამეგრელო არის არა მხოლოდ საქართველოს ხერხემალი, არამედ ის ძალაც, რომელსაც ძალუძს შეინარჩუნოს ქართულ-აფხაზური ისტორიული მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები.

ხშირად ერთმანეთს სახეებს ვარიდებდით, არ გვინდოდა გვესაუბრა იმ მძიმე ჟამზე, როცა ჩვენი მამები, ძმები და შვილები დაუნდობლად ხოცავდნენ ერთმანეთს, ვცდილობდით მხოლოდ მომავლის იმედზე გვესაუბრა, რომელიც კვლავ ჩვენი ერთად ყოფნის ოცნებად არის ქცეული!

აფხაზებს შევახსენე იმის თაობაზე, რომ სიტყვა “აფხაზი” საქართველოში ყოველთვის ასოცირდებოდა ვაჟკაცობასთან, პრინციპულობასთან, ზრდილობასთან, სტუმართმოყვარეობასა და უტყუარ თანადგომასთან. არ არსებობს ქართველ შემოქმედთა მიერ შექმნილი ნაწარმოები, სადაც აფხაზი ადამიანი უარყოფით გმირად იქნება წარმოდგენილი. მართლაც დიდი იყო შთაგონების ძალა!

და ეს შთაგონება არ უნდა წაიშალოს, ჩვენი მომავალი თაობები კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენ ტკივილიან წარსულს, რათა კვლავ ერთად იმეგობრონ სასიკეთოდ მოსულ ხალხთან და კვლავ ერთად შეეგებონ მომხვდურ მტერს!

სიყმაწვილეში, როცა სისხლი გვიდუღდა, ბიჭები ხშირად ვჩხუბობდით ხოლმე ერთმანეთში. დღესაც, ვინც კი იმ დროიდან დამეგობრებული ადამიანები შემომრჩნენ, ან ჩემთვის აქვს რომელიმეს ცხვირი გატეხილი, ან ჩემს მიერ არის გალახული. ვიცოდით, რომ ერთმანეთის მიმართ არავითარი სიძულვილი და ბოღმა არ გაგვაჩნდა – უბრალოდ, გვაინტერესებდა, ვინ ვის მოერეოდა. ვიცოდით, რომ ეს ჩხუბი და დავიდარაბა სრული უაზრობა იყო, ამიტომ, მეორე დღეს, როგორც წესი, ერთმანეთს შესარიგებლად ვხვდებოდით ხოლმე. მაშინ რომ წინადღის ჩხუბის მიზეზები გვერკვია, შეიძლებოდა ამას უფრო დიდი ჩხუბი მოჰყოლოდა, ამიტომ, ხელს გადავხვევდით ერთმანეთს, ძმურად გადავკოცნიდით, რესტორანში სადღეგრძელოებით გავამაგრებდით ჩვენი მეგობრობის სიყვარულსა და უღალატობას და ძმებად ვიქცეოდით.

ახლაც ასეა – ჩვენ რომ სატანის აღზევების ჟამსა და მიზეზებზე, ქართველ-აფხაზთა შორის შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ წამოწყებული ძმათამკვლელი ომის მიმდინარეობასა და შედეგებზე ვისაუბროთ, ამას შეიძლება წინანდელზე უფრო დიდი და უაზრო ომი მოჰყვეს. ამიტომ, სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ თანაარსებობა, ერთმანეთს მივუტევოთ მძიმე დანაშაულები, ერთად გადავუხადოთ სულის მოსახსენებელი პანაშვილი ქართველ და აფხაზ მეომრებს, დავუდგათ ძეგლი მათ, ვინც სიცოცხლე შესწირეს ამ უაზრო ომს! საჭიროა სისტემატურად მოვაწყოთ იმ აფხაზებისა და ქართველების შეხვედრა, რომლებმაც შეიარაღებული დაპირისპირებისას ოჯახის რამდენიმე წევრი დაჰკარგეს.

ახლა ქვების შეგროვების ჟამი აღარ არის, ახლა მიტევებისა და საერთო-სახალხო შერიგების დროა!

სწორედ ეს განწყობა გასდევდა ლაიტმოტივად ჩვენს საკმაოდ მდიდრულ, მაგრამ უფრო გულითადობით გამორჩეულ სუფრას, რომელიც შებინდებამდე გაგრძელდა. აფხაზეთში ორი საათით გადასულები მთელი დღე შევრჩით იქაურობას და რომ არა ზუგდიდის მატარებელზე დაგვიანების რეალური საფრთხე, ალბათ იმ ღამეს მასპინძლებთან დავრჩებოდით.

აფხაზმა მასპინძლებმა გულისტკივილით გამოგვაცილეს, ნუგზარ სალაყაიამ ფაეტონი დაგვიქირავა და ფული თავად გადაიხადა – ენგურგაღმა (და არა გამოღმა) დატოვებულ მანქანამდე თითქმის ორი კილომეტრის გზა გვედო, რომლის გავლა შეზარხოშებული ჭარმაგი ადამიანებისათვის არც მთლად იოლი საქმე გახლდათ. როცა ფაეტონი დაღმართზე დაეშვა, დავინახეთ, რომ ნუგზარ სალაყაია სირბილით მოგვდევდა – ალბათ რაღაც კიდევ დარჩა სათქმელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მეფაიტონემ მკვეთრ დაღმართზე ცხენის შეჩერება ვეღარ შესძლო...

მასპინძლები ხელის ქნევით გვემშვიდობებოდნენ, ვიდრე თვალს არ მიეფარნენ...

სუფრაზე და გამომშვიდობებისას ცრემლიც გაკრთა, რადგან ქართველებისა და აფხაზებიც კარგად ვგრძნობდით, რომ ერთმანეთი დასაკარგავად არ გვემეტება!

მართლაც, რაც არ უნდა ეცადოს ჩვენი მტერი, ქართველები და აფხაზები დასავიწყებლად ერთმანეთს ვერასოდეს გავიმეტებთ...

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისის” აკადემიის
ნამდვილი წევრი

ვუძღვნი გაზეთ “ილორს”

სიტყვა ცხადი, სიტყვა სწორი,
წმინდა სათნო, ვით ილორი.
ვინ გეტყვის მას, რაც კი წინათ...
მზით ილორმა გააბრწყინა!
დღეს მებრძოლი...
– ცოცხლობს, იღვწის –
მეგრულ სიტყვის დიდებისთვის!
არის ბრძოლა სასახელო,
ენა ვიხსნათ სამეგრელოს!
მეგრელების წმინდა ენა,
სულის შფოთვა, გულის ცემა.
დამწერლობა ვნახო ერის,
ხმა მეგრელთა ბედისწერის!
ჩელის ხმა და არალალის,
სიცოცხლის მზე – ნატვრისთვალი!
წყალწაღებულ მეგრელ კაცის
კოლხელების მზე – წარმტაცი...
მეგრულ სიტყვის ტკბილი ნანა,
თუ გიგრძვნიათ მაგისთანა!
აკვნის თოკზე ჩიტის სტვენა.
სიცოცხლეა, გადარჩენა.
ეს ცხადია, სწორზე სწორი,
ეს რწმენაა თვით ილორის!
ეს ფიქრია გულის მწველი –
ღმერთო, იყავ ჩვენი მხსნელი!

ძველთა ძველია, თვით რომზე... ათონზე, ენა მეგრული!

მზით, მთით, ტყითა და დიდგორით,
დღე და ღამ ბრძოლობს ილორი..
ხმა სიტყვის არ სწამს უხეში,
დადის თავისი ნუგეშით!
ეჰ, სამეგრელოვ, რად ჰკარგავ?
მას, რაც გეკუთვნის! არადა,
მეგრულ სიტყვას ვერ ვპოულობ,
მტრების გულთ გასახარადა!
ღმერთო გვიშველე, გვიხსენი,
სიტყვა მზემ გამატანინა,
ჩელა და – ცით არალალი,
ჩვენი ბავშვობის ნანინა!
მეგრულ ენაზე ძლიერი
სიტყვა არ გამიგონია,
ჩვენ ვართ უკვდავი ის ერი
ყველასთვის გასაგონია!
უძველეს დროის მცხოვრებნი...
რა არის ჩვენთვის თვით რომი,
მეგრელთა სიტყვა წმინდაა,
მირონ-ცხებული...
მირონით!

ნუგზარ ლეონტის ძე შამუგია,
გალი

რას ეჭყვით თქვენ ერს და მომავალ თაობას

ძველი დროიდანვე შორეული ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსული უცხოელები სახტად რჩებოდნენ ჩვენი წარსულის დიდებული ნაშთების წინაშე, არ იცოდნენ, რომ ერთ დროს დიდი თვითმყოფადი კულტურა გვქონდა.

დღესაც, ქართველები, მხოლოდ ჩვენი წარსული ისტორიით და უმდიდრესი კულტურით ვარსებობთ, ვამაყობთ, ვცხოვრობთ.

თუ დავფიქრებულვართ, რანი დავრჩით, რანი ვიყავით გუშინ და რანი ვართ დღეს? რას ვაკეთებთ ჩვენი მომავალი თაობისათვის?

– რას და, ერთმანეთს ვჭამთ, ვძიძგნით, ხვალინდელ დღეზე სრულიადაც არ ვფიქრობთ, ჩვენს შემდგომ ვტოვებთ მხოლოდ ნანგრევებს... ღმერთმა დაგვიფაროს, ეს ყველა ჩვენგანს ეხებოდეს, თორემ ხომ უფრო მალე მოგვეღებოდა ბოლო! ერთმანეთისადმი მტრობა, შური, სიძულვილი, გამდიდრებისაკენ სწრაფვა – აი, რა არის დღევანდელი ჩვენი ცხოვრების წესი!

ძველ საბერძნეთში თვლიდნენ, რომ თუ ხელისუფლებაში არ არიან ფილოსოფოსები, ან ფილოსოფოსები არ ხელისუფლობენ, მაშინ ადამიანების სიკეთეზე ლაპარაკი ზედმეტია.

ცნობილია, რომ, რაც უფრო მეტია ადამიანში სიმამაცე და პატრიოტიზმი, მით უფრო შეეცდებიან საზოგადოების მტრები მის დაღუპვას.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული, დამღუპველი მოვლენაა ქართველი ერის ისტორიაში, რითაც დაუნდობლად ფეხქვეშ გაითელა ქართველი ხალხის ნება. სწორედ ამ ავადსახსენებელი პერიოდიდან იწყება ჩვენი ერის გადაგვარებისა და გაქრობის შეუქცევადი პროცესი.

წმინდა დიონისე, ათენის პირველი ეპისკოპოსი, ბრძანებდა: **“როცა ქვეყანა დაბერდა და გაიხრწნა, გამოჩნდა ძე ღვთისა, მას აღუდგნენ მშვილდოსნები და განურისხდნენ. ვინ უნდა იყოს მისი ბოროტი მზრახველნი, თუ არა ურჯულო და ურწმუნო ერისშვილები, რომელთაც ცილი დასწამეს იესო ქრისტეს და მრავალი სისაძაგლე თქვეს მის მიმართ? სიტყვა “შვილდოსნები” ცხადყოფს, რომ ისინი კარგი მოისარნი იყვნენ ბოროტების ჩადენის ჟამს, ოდეს სასიკვდილოდ იმეტებდნენ ყოვლად მართალს. ძალმა შემუსრა მათი შვილდები”.**

საერთოდ გარდამავალი პერიოდი ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში ყველაზე რთული და მძიმე პერიოდია. ძველი ჩინელები ამბობდნენ, **“ღმერთმა გაშოროს გარდამავალ პერიოდში ცხოვრებაო”**. ეს პერიოდი უფრო მძიმე და აუტანელია მაშინ, როცა ქვეყნის სათავეში ერის და ქვეყნის მოღალატეები მოდიან. სამწუხაროდ, სწორედ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე შევარდნაძის **“მოღვაწეობის”** პერიოდში და ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე დღესაც. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ქვეყანას ძირითადად ის პიროვნებები მართავდნენ, რომლებიც სოციალიზმის დროსაც ხალხისა და ქვეყნის კისერზე ისხდნენ და კიდევ უარესს ჩადიოდნენ, რადგან მათ ხელს არ უშლიდა **“კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი”**. ღმერთს კი ისინი არასოდეს ემორჩილებოდნენ. მას მაშინ განუდგნენ, როცა პირველად ჩაიდინეს უსინდისობა. ასეთებზე ბრძანებდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია: **“ერთხელ ვინც შესძლებს უღალატოს რაიმეს წმიდათა წმიდად მიჩნეულს, მას იოლად შეუძლია იგი დღეში სამჯერ გაიმეოროსო”.**

ის, რაც ედუარდ შევარდნაძემ ვერ მოასწრო – საქართველოს და ქართველი ერის წინააღმდეგ აგრესიული, დამღუპველი პოლიტიკის გატარება, – მისმა მემკვიდრემ, მიხეილ სააკაშვილმა გააგრძელა.

ქვეყანაში ისეთი სულისკვეთება ღვივდება ზემოდან, რომელიც სპობს ყოველივე ეროვნულს. მაშინ, როცა გაღატაკებულ ოჯახებს არა აქვს თავიანთი შვილებისათვის სახელმძღვანელოების ყიდვის საშუალება, მრავალათასიანი ტირაჟით გამოდის გამათახსირებელი და გარყვნილებებით სავსე ჟურნალ-გაზეთები, ამითვე არის დაკავებული ინფორმაციის ყველა საშუალება. ყველა ეს გამოცემები და ტრანსლაციები სრულად შეესაბამება დღევანდელი ხელისუფლებისა და მმართველი ძალის მორალს. ეს არის მათი ზნეობის დემონსტრაცია. ყველაფერ ამას გულუხვად აფინანსებენ ის ფონდები, მსოფლიო და ევრობანკის ფილიალები, რომლებიც ჩალის ფასად ყიდულობენ ჩვენს ქვეყანას, ხელისუფლება და მისი მომხრეებიც მათ ყაიდაზე არიან მოქცეულნი.

ბრძენი მმართველების ხელში ქვეყნები და ხალხები ჰყვაოდნენ და, პირიქით, არაშორსმჭვრეტელთა ხელში ისინი იღუპებოდნენ. რაც საშინელებები მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, ამის მიზეზი ყოველთვის იყვნენ ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები.

ცნობილია, რომ შევარდნაძის დროინდელი ხელისუფალნი და პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი გამოუსწორებელი კომუნისტ-კომკავშირლები იყვნენ. ეს ის **“მოაზროვნე”** ხალხი იყო, რომლებიც მთელი 70 წლის განმავლობაში კომუნიზმს გვიშენებდნენ და ვერ ააშენეს, სპეკულანტობდნენ საქართველოს სიყვარულით და ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ეგონა. ხოლო დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც მასონების მითითებით მოქმედებს (როგორც ეს იყო შევარდნაძის შემთხვევაში) ეს უსინდისო, სპეკულანტური, გაიძვერული ფსიქოლოგია, რომელიც წადმა-უკუღმა ატორდიალებს საქართველოს სხეულს, განსაკუთრებით ძლიერია.

ფაქტობრივი ხელისუფლების წყალობით დღევანდელი საქართველო ეთნოგრაფიული მოვლენაა, გადაგვარებაში გადასული...

როდესაც ხელისუფლება პასპორტებში ეროვნულობის აღნიშვნაზე უარს ამბობს და როდესაც თავის კულტურას პატივს არ სცემს, იმ ქვეყნის გადაგვარება გარდაუვალია.

მინდა მოვიყვანო ცნობილი ჩეხი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ რატილი სიტყვები, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწეობდა, ამავე დროს კი ევროპის სხვადასხვა ქვეყნების საოპერო თეატრებში წამყვან პარტიებს ასრულებდა: **“ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც შეულახავად შერჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო, კაცისთვის უძვირფასესი საუნჯე ედდა ენაა, მშობლიური საგალობლები და ჰანგები. საქართველოს ყველა კუთხეში ისეთი ხმებია, იმდენი საგალობლებია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, ამ მხრივ საქართველოს შეედაროსო”.**

გასული საუკუნის 80-იან წლებში შედგა მსოფლიო ჟიური, რომლის მიზანი იყო მთელ პლანეტაზე აერჩიათ ერთადერთი სიმღერა და გაეშვათ კოსმოსში. ცნობილია, რომ მსოფლიოში 200-ზე მეტი სახელმწიფოა და 5.000-ზე მეტი ენა. შემოთავაზება იყო ყველა ქვეყნიდან. მსოფლიო ჟიურის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა ქართული ხალხური სიმღერა **“ჩაკრულო”** და ეს განუმეორებელი ქმნილება გაუშვეს კოსმოსში.

ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორი, – საგალობლები და სიმღერები, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მთელ მსოფლიოში, არაერთი უცხოელი სპეციალისტის აზრით, მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანძურია. მარტო ის რად ღირს, რომ აიეტის მამას, ჰელიოსს (მზეს) ჰქონდა ქალაქი-სახელმწიფო ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე. დღესდღეობით ჩვენში გავრცელებული სიმღერები **“ოდოია”** და **”ნანაია-ნანა”** შეიქმნა ოთხი ათასი წლის წინ ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე. ქართველები ამ სიმღერებს დღესაც დიდი სიყვარულით მღერიან.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი დღეს პატივს არ სცემს და, ამავე დროს, არც აქვს სურვილი მოუსმინოს და დატკბეს ამ გენიალური ხალხური ქმნილებებით, ეს ყველაფერი მეტყველებს ერის სულიერ სიმდაბლეზე.

ყველას უნდა გვახსოვდეს ის, რომ ერის სულიერ საგანძურს სათუთი მიდგომა, მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. ამიტომ მინდა შევახსენო დღევანდელ ხელისუფლებას ერთი რამ: ქართველ ერის არ ესაჭიროება ამერიკის სული, პირიქით, ამერიკელები უნდა ჩასწვდნენ ქართულ სულს, ქართველი ერის უსაზღვრო სულიერ სამყაროს. ამერიკამ და სხვა მდიდარმა ქვეყნებმა, თუ ამის სურვილი აქვთ, გვასწავლონ როგორ განვავითაროთ ეკონომიკა და როგორ გამოვიდეთ კრიზისული მდგომარეობიდან. თუმცა, ის რაც ხდება, განსაკუთრებით უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში დღევანდელ საქართველოში, ჩემი აზრით, ყველაფერი, სწორედ ამერიკელების მიერ, ხელოვნურადაა შექმნილი...

ქალაქში გასულს საქართველოში არც კი მგონია თავი, ყველა ქუჩა დათითოებული აქვთ სხვადასხვა რჯულის გადამთიელებს. ყველამ გადაინაწილა ქვეყნის მატერიალური სიმდიდრე და მიწა-წყალი, ყველაფერი გასხვისდა და განიავდა, გადაივსო ქალაქი უცხოენოვანი რეკლამებით, აქაიქა თუ შეგხვდებათ, მორცხვად, წვრილი შრიფტით მინაწერი ორი-სამი ქართული სიტყვა.

დღე და ღამესავით განსხვავდება ერთმანეთისაგან რეალური ცხოვრება და ტელევიზიის ინფორმაციები. როცა ტელევიზიით ისმენ სიმღერებს (რა თქმა უნდა – უცხოურს) უნიჭო შოუ-წარმოდგენებს და უკბილო ხუმრობებს, ძალაუნებურად გებადება აზრი: ნეტა ვის ემღერება და ეცეკვება ამ დაქცეულ ქვეყანაში? თავზე ცა ჩამოგვქცევია და ლამის უფსკრულში ჩაგვიტანოს, ასე ნელ-ნელა ვიძირებით უზნეობის მორევში.

როდესაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ სწორედ მაშინ ვიგრძენით ქართველობა. ამ რეგიონის უმეტეს ნაწილს მანამდე თუ რუსულ სკოლებში შეჰყავდათ ბავშვები, ბ-ნ ზვიადგამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდიდან ქართველთა უმეტესობამ ქართულ სკოლებში დაიწყეს ბავშვების შეყვანა და ეს ხდებოდა არა მარტო აფხაზეთში. არადა, აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში ქართული სული თითქმის არ სუფევდა.

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის მოკლე პერიოდში თუ ყველაფერში ქართულმა ეროვნულმა გამოიღვიძა, შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობისას ეროვნული თითქმის ყველაფერი იდევნება. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – იხსენიებოდეს **“ეროვნული სტადიონი”**, **“ეროვნული ბანკი”**, **“ეროვნული ბიბლიოთეკა”** და ა.შ. მაშინ, როცა პასპორტებში ეროვნებას არ წერენ.

ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა, მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ მოქმედი დირექტორი იყო, ისიც კი განაცხადა, რომ თურმე ილია ჭავჭავაძეს ის არ სცნობს როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. აი, ყოფილ და დღევანდელ ხელისუფლებას როგორი **“ეროვნული”** ხელმძღვანელები ჰყავს ეროვნულად სახელდებულ დაწესებულებებში.

ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა ტარდებოდა მოსკოვში, ერთ-ერთ სუფრაზე თურმე სტალინმა იკითხა: **“ვინ უფრო დიდია, მე თუ ილია ჭავჭავაძეო?”**

პასუხი ასეთი იყო – **“რა თქმა უნდა, თქვენ, ამხანაგო სტალინ!”**

– ან სულელი ხარ, ან მეპირფერებიო, – უპასუხნია სტალინს, – ილია ჭავჭავაძე მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა!

დღეს ლევან ბერძენიშვილისნაირად მოაზროვნე ვაი-პოლიტიკოსები უმრავლესობას წარმოადგენენ როგორც პარლამენტში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებშიც. ხოლო თვით ამ სახელმწიფოს მეთაური, რომელიც მასონებს მზეს ეფიცება, ერის საკეთილდღეოდ ვერაფერს გააკეთებს.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი დანაშულებრივი გარემოცვის მიზანი ერსა და ქვეყანაზე ზრუნვა რომ იყოს, ასეთ დღეში არ აღმოვჩნდებოდით!

ყველას გვახსოვს 9 აპრილის ტრაგედია. მოხდა უბედურება და ჯუმბერ პატიაშვილი გადადგა, რადგან მას არ შეეძლო იმ კომუნისტურ ხელისუფლებაში დარჩენა, რომელმაც საკუთარი უდანაშაულო ხალხის სისხლი ასე დაუნანებლად დაღვარა.

ახლა, ნაწილობრივ მაინც გავიხსენოთ, 9 აპრილის შემდგომ პერიოდში თუ რამდენი უბედურება დატრიალდა საქართველოში. 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა მშვიდობიანი მიტინგის მხეცურად დახვრეტა, აფხაზეთის, სამეგრელოს და სამაჩაბლოს მოსახლეობის გენოციდი. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისება, ქვენის ეკონომიკური და სოციალური გაჩანაგება. შევარდნაძის და სააკაშვილის რეჟიმს შეეწირა ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. იმის კონკრეტულ მაგალითებს კი ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენი ცოდვა მიუძღვის ყოფილ და დღევანდელ რეჟიმს ხალხის წინაშე.

სსრკ უშიშროებას ჰქონდა ჭორების გავრცელების სამსახური, ამ სამარცხვინო ფუნქციას კი, ახლა, წარმატებით ასრულებს საქართველოს ტელევიზია. აქ უნებლიედ გვახსენდება ჰებელსის ცნობილი ფრაზა: **“ტყუილი უნდა იყოს ისეთი მასშტაბების და ისე უნდა ითქვას, რომ მსმენელმა იგი მიიღოს შემდეგი რწმენით: ასეთი ტყუილის თქმა როგორ შეიძლება, მაშასადამე მართალიაო”.**

“ციტატა-შეხსენება

...პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დასავლური ნიმუშების, იდეოლოგიური, პროპაგანდისტული მუშაობის დასავლური ფორმებისა და მეთოდების, იქაური მორალურ-ზნეობრივი და კულტურული ნორმების, ურთიერთობისა და ქცევის წესების პრიმიტიულ კოპირებას, ჩვენს რეალობაში მექანიკურ გადმოტანას შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს როგორც პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისათვის, ასევე ეროვნული კულტურისა და ტრადიციული ზნეობისთვისაც. ეროვნული ღირსებისთვის განსაკუთრებული ნეგატიური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცხოვრების დასავლური წესისადმი, დასავლური კულტურისადმი, ისევე როგორც დასავლეთის პოლიტიკის, ეკონომიკისა თუ ხელოვნების წარმომადგენლებისადმი თვითდამამცირებელ, პირფერულ, ლაციცა დამოკიდებულებას. საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა, ჩვენი ხელოვნება, ქართველი ერის ტრადიციული სულიერება სულაც არ იმსახურებს იმას, რომ ქართველთა ახლანდელმა თაობამ მთელი ეს უდიდესი ისტორიული სიმდიდრე იმ იაფფასიან სუროგატზე გაცვალოს, რომელსაც “ცხოვრების დასავლური წესი” და “დასავლური მასობრივი კულტურა” ჰქვია. ქართული და დასავლური კულტურის, ცხოვრების ქართული და დასავლური წესის, ქართული და დასავლური სულიერი ფასეულობების შერწყმა, შეერთება არ მოხდება. შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთის მიერ მეორის განდევნა. ამიტომ ყველაფერი ახალი, უცხო, ნასესხები შეიძლება იყოს დანერგილი, გამოყენებული მხოლოდ ეროვნული სპეციფიკის, სოციოკულტურული თვითმყოფადობის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ტრადიციული თავისებურებების გათვალისწინებით...

ალექსანდრე ჭაჭია,
1997 წლის დეკემბერი”

მომწიფდა და გადამწიფდა კიდეც სახელმწიფოსაგან ტყუილების მოსმენის დრო, და თუ ედუარდ შევარდნაძის წიწილები სასწრაფოდ თავიდან არ მოვიშორეთ, შეიძლება საქართველო მსოფლიო რუქიდანაც კი გაქრეს. მთელმა საქართველომ პროტესტი უნდა განუცხადოს ხელისუფლებას მათ მიერ ჩადენილი ყველა უბედურების გამო. ვიდრე ეს ანტიეროვნული ხელისუფლება იქნება ქვეყნის სათავეში, დევნილთა თავიანთ სახლებში დაბრუნებაზე საუბარიც კი ზედმეტია...

ზურაბ გოგოხია-შელია,

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში

ყველა ერს აქვს თავისი ტრადიციები, ადათები და წეს-ჩვეულებები. ისინი შექმნა თვით ხალხმა, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ტომის, გვარის თუ ოჯახის ქცევა-მოქმედებებს, ცხოვრების შინაარსს. ყველა ზნე-ჩვეულებას გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი რიტუალური მოქმედება. ამის საფუძველზე იქმნებოდა ხალხური თქმულებები და ლეგენდები. ხალხური წეს-ჩვეულებები წარმოადგენდა მშრომელი ადამიანების ერთობის საშუალებას.

დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი არა მხოლოდ, უბრალოდ, ალამაზებენ ცხოვრებას, არამედ ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ისტორიულ გამოცდილებას. როგორც ქრისტიანობა, ისე ყველა სხვა რელიგია, სათემო-საგვარეულო დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ნერგავდნენ ხალხში თავიანთ ძირითად იდეებს. ყველა ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული დღეები, რომელიც უკავშირდება რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ამ დღესასწაულების დიდი ნაწილი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი დღესასწაულობდა ხვნა-თესვას, მოსავლის აღებას, იგონებდა სახალხო გმირებს. შემდგომში ბევრმა დღესასწაულმა რელიგიური ხასიათი მიიღო, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვაგრძელებთ მასალების ბეჭდვას სამეგრელოში დღემდე შემორჩენილ სალოცავებსა და დღესასწაულებზე, რომლებიც უხსოვარი დროიდან იღებენ სათავეს.

ყმენობა (კმენობა)

წალენჯიხის რაიონის სოფელ ჩქვალერში დიდ-მარხვის მე-15 დღეს, სადამოთი, იკრიბებოდა სოფლის ყველა გვარის წარმომადგენელი. შეროზიები და ქუხილავები ხატის ძირად, ფუძის გვარებად ითვლებოდნენ. თითოეული გვარის კაცს უნდა შეესრულებინა **"გითოხვამუა"** (გამოლოცვა). რიტუალს ასრულებდნენ ძირი გვარის უხუცესები. ისინი ხატს განბანდნენ წმინდა, საწირავი ღვინით. განმბანელი იყო – შეროზია, ხოლო გამამშრალებელი – ქუხილავა.

თითოეულ გვარს მიჰქონდა სანთელი, ღვინო, ხაჭაპური და დაპირების მიხედვით იწყებოდა გამოლოცვა. რიტუალის შემდეგ აწყობდნენ პურ-მარილს, ზეიმობდნენ. ანთებდნენ ცეცხლს და ცეცხლის ალის მიხედვით მკითხაობდნენ იმ წლის ამინდის პროგნოზზე.

ამ სალოცავის შესახებ დაახლოებით სამოცდაათი წლის წინათ მოვისმინე სოფელ ჩქვალერის მკვიდრ ბეგო ქუხილასაგან. ის უყვებოდა თავის ტოლ მოხუცებს **"ყეენობის"** სალოცავზე და მას ადარებდა ჩვენს საგვარეულო სალოცავს **"ქეჯვარობას"**. ბეგო გახლდათ ჯალაღონიების სიძე. ზამთარში ჩვენს სოფელში აძოვებდა ცხვრის ფარას, ამიტომ წილად მხვდა ბედნიერება – მომესმინა, დამემახსოვრებინა და ასეთი საინტერესო ცნობა გადამეცა სხვებისთვისაც.

როგორც აღვნიშნეთ, სათემო, საგვარეულო, საოჯახო დღეობები მიძღვნილი იყო გარკვეული სალოცავისადმი.

ლოცვები ტარდებოდა არა მხოლოდ ეკლესიებსა და სალოცავებში, არამედ მინდვრებში, ხის ძირას. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ სარაქონში, სოფელ თაიაში, სოფელ გარახაში, მარტვილის რაიონის სოფელ დიდიჭყონში, ზუგდიდის რაიონში სოფელ დიდინეძში, ცაცხვში.

თვითეულ გვარს ჰქონდა თავისი სალოცავი **"ჯინჯიხატი"**. ამ საზეიმო დღისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა გვარის ყველა წარმომადგენელი. ისინი მოელოდნენ **"გიმოჭყუდურებს"** (ოჯახიდან გათხოვილ ქალებს), რომლებიც მოდიოდნენ მოსაკითხებით, მოჰყავდათ ზვარაკი. ლოცვა ჯერ ოჯახებში ტარდებოდა, შემდეგ მოდიოდნენ ხატის კარზე. **"გიმოჭყუდურების"** გარდა იწვევდნენ ნათესავებს, ახლობლებს, **"კერძ მოჯგირეს"** (მოკეთეს).

ოჯახის ყველა წევრი და მთელი საგვარეულო ცდილობდა სტუმრის პატივისცემას.

"გითოხვამუას" (გამოლოცვის) შემდეგ მონაწილეობდნენ ჯარობის მსვლელობაში. ეს გახლდათ საერთო მხიარულება, მოლხენა, ცეკვა-თამაში, სიმღერა, სპორტული შეჯიბრი, შაირობა. განსაკუთრებით უყვარდათ მარულა, თარჩია, ჭიდაობა. ყველა გვარს ჰყავდა თავისი ფალავანი.

ასეთი თავშეყრა დაკავშირებული იყო დიდ დღესასწაულებთან: ელიობა, მარიამობა, გიორგობა, ბარბარობა, ალერტობა.

როგორც ითქვა, ჯარობის დროს სალოცავის კარზე თავს იყრიდა მრავალი მლოცველი, რომელსაც თან ახლდა სოფლისათვის მოხერხებული სახალხო ბაზრობა. ამ დღისათვის ემზადებოდა თითქმის ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფელი. აქ შემოდიოდა ყოველგვარი საქონელი, როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ნაწარმი, რაც კი საჭირო იყო მოსახლეობისათვის. მაგალითად, ჯვარული ნაბდებითა და სვანური ქუდებით განთქმული იყო ჯვარი, უნაგირებით, აზიურებითა და ცხენებით – ზუგდიდი, თიხის ჭურჭლებით – ნამკოლუ, ფართლეულითა და საწვრილმანოთი – ბანძა (ურიაში კარი), ცხენის აღკაზმულობით – წალენჯიხა, მსხვილფეხა საქონლით – ძველი სენაკი.

ასეთი დღეობები მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ვაჭრობისათვის, არამედ ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად. ამ თავშეყრაზე მიმდინარეობდა **"გინოძირაფა"** (გადანახულება). ეს მიმდინარეობდა ისე, რომ ქალ-ვაჟმა არაფერი იცოდა, მშობლები აკვირდებოდნენ სარძლო-სასიძოს. ჯარობაზე ყველას ჰქონდა საშუალება შეემოწმებინა ამა თუ იმ ადამიანის ყოფაქცევა. იქ გამომჟღავნდებოდა მათი წესიერება თუ უწესობა, ჭკუა-გონება და პატიოსნება, სიდარბაისლე და ბეჯითობა, ცეკვა-თამაში და სმა-ჭამა. ამის შემდეგ მარებლის (მაჭანკლის) საშუალებით ერთმანეთს ეცნობოდა ქალ-ვაჟი.

ასე რომ, **"ჯინჯიხატობა"** უკავშირდებოდა გვართა ჩამომავალს და მის გამრავლებას. ამიტომ, ძირი ხატის კარზე მისვლა და გითოხვამუა (გამოლოცვა) სავალდებულო იყო საგვარეულოს ყველა წევრისათვის. ისინი ყველა პირობას იცავდნენ, რათა ამ დღეობისათვის საზეიმო ელფერი მიეცათ. მოწყენა და გაჯავრება არ შეიძლებოდა – **"ვაშინერდ"**.

ყველა საგვარეულოს, ყველა თემს გააჩნდა თავისი **"ჯინჯიხატი"**. თუ ვინმე საგვარეულოდან შორს გადასახლდებოდა, მათი შთამომავალი მოდიოდა თავისი ძირის ხატის კარზე გამოსალოცად. მაგალითად, აფხაზეთიდან ჩამოდიოდნენ გააფხაზებული მეგრელები, რომლებმაც იცოდნენ, რომ მათი მეგრული წარმომავლობის შესახებ. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა **"ჯინჯიხატის"** კარზე ჩამოსულან დარასელიები, ყულის ხატთან – მებონიები და კონჯარიები, ქიაჩის ხატთან – ჩაჩიბაიები, ალერტში – გუდაუთელი კვარაცხელიები, წალენჯიხის ეკლესიაში – ჯალადონიები, გარახაში და სარაქონში – ლოგუები, კირცხში – კობახიები, ნადარაიები კი – ხობში.

არა მარტო გააფხაზებული მეგრელები, არამედ აფხაზეთში მცხოვრები დანარჩენი ქართველები, რომლებმაც დარწმუნებით იცოდნენ თავიანთი შორეული წარმომავლობა, ყველა მოდიოდა თავის **"ჯინჯიხატის"** კარზე გამოსალოცავად.

ჩემი საგვარეულოს **"ჯინჯიხატი"** სოფელ გარახაში ყოფილა, მაგრამ არაა ცნობილი, თუ რატომ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი პირველად გარახაში შეჩერდნენ, მერე გაეყარნენ ერთმანეთს და დასახლდნენ სხვადასხვა კუთხეებში.

რაც შეეხება აფხაზებს, დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის აზრით, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ჩანაწერებს, ამტკიცებს, რომ ძველ დროში აფხაზები თაყვანს სცემდნენ ტყეებსა და ხეებს, რადგანაც მათ ხეები გულუბრყვილო ღვთაებად მიაჩნდათ. ისინი გაზაფხულზე პირველყვავილობას ყოველთვის დღესასწაულობდნენ. სახლებს მწვანე ბალახითა და ყვავილებით რთავდნენ. წინა ღამეს ახალგაზრდა ქალები, მოხუცი დედაკაცების ხელმძღვანელობით, სიმღერისა და თოფის სროლით მიდიოდნენ ტყეში ხუთყურა ყვავილის საპოვნელად. მზე ამოანათებდა თუ არა, ყველანი სიმღერითა და საგანგებო წესების დაცვით, ყვავილებით მორთულნი, ბრუნდებოდნენ სოფელში. წინ, საზვარაკო ირემთან ერთად, მოხუცი მოუძღოდათ. სამსხვერპლო ირემთან ყვავილი ან ხის ტოტი ყველა ქალს უნდა მიეტანა და მის ფეხებთან დაედო. მათ ეს ყვავილები სამსხვერპლოსთან მიჰქონდათ, რათა იმ წელიწადს ბედნიერება მოეტანა მათთვის.

საინტერესოა აღინიშნოს – აფხაზები თუ ხეებს სცემდნენ პატივს, მაშინ რომელი კულტით შეცვალეს, რომელი კერპის მიმდევრები გახდნენ? ფაქტი მხოლოდ ერთია, ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული აფსუები წარმართები იყვნენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე რაც ეკლესიები იყო და არის, ყველა მეგრელების აშენებულია და ოდითგანვე ქართულად სრულდებოდა წირვა-ლოცვა. აფხაზეთში, ქალაქ ნიკოფსიაშია განისვენებს სიმონ კანანელი. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, კამანის მიდამოებში, მიწას მიაბარეს იოანე ოქროპირის წმინდა ნეშტი, რომელიც მოგვიანებით კონსტანტინეპოლში გადაასვენეს.

იტალიელი მისიონერი გამბა, რომელმაც ამერკავკასიაში იმოგზაურა, 1821 წელს წერდა: **"ბიჭვინთის მონასტერი მაჰმადიანი აფხაზებისა და იქ დასახლებული სომხებისათვის შიშის ობიექტს წარმოადგენდა. ვიღაც სომეხმა მონასტრის ერთ-ერთი წიგნიდან ორი ფურცელი მოიპარა, რომელიც მისთვის უცნობი ასოებით იყო დაწერილი. როდესაც ის სახლში დაბრუნდა, მყისვე დაავადდა, რაც ანაზდად ჩადენილ დანაშაულს, ქურდობას მიაწერა. ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ ჩაცხრა, როცა მან მოპარული ფურცლები მონასტერს დაუბრუნა. ამა, რასაკვირველია, ხელი შეუწყო რწმენის განმტკიცებას..."**

გამბას მიხედვით ძველი სარწმუნოებიდან აფხაზებმა მრავალი ზნე-ჩვეულება შემოინახეს. მაგალითად, ისინი სამ დღეს უთმობენ აღდგომას; ზეიმობენ აგრეთვე სამებისა და შობის დღესასწაულებს. ასე, რომ ბევრმა აფხაზმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან.

1890 წლიდან ცარიზმის მთავრობამ გააძლიერა კავკასიაზე დაწოლა. ჩვენს მიწა-წყალზე ასახლებდნენ გერმანელებს, ესტონელებს, რუსებს, ბერძნებს. საინტერესოა ის გარემოება, რომ კავკასიაში ასახლებდნენ სხვადასხვა გუბერნიებიდან – უფრო მეტად დამნაშავე ელემენტებსა და სექტანტებს. ამით ცარიზმი თავიდან იშორებდა მუქთახორებსა და პარაზიტულ ელემენტებს.

აქ თემას ოდნავ გადავუხვიე, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ მეგრელებსა და აფხაზებს ერთნაირი სალოცავები ჰქონდათ: ლიხნი, ბიჭვინთა, ილორი, კამანი, დრანდა, ბედია, მოქვი. აფხაზეთის მთელი მოსახლეობა დადიოდა ამ ეკლესიებში, გარდა იმ 10-15 პროცენტი აფხაზებისა, რომლებიც წარმართები და მუსულმანები იყვნენ.

მირიან ჯალაღონია
ომისა და შრომის ვეტერანი, დევნილი აფხაზეთიდან
(გაგრძელება იქნება)

ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია

„სარკოზობისთვის" რეგიონებიდან 300 000 ლარი გამოიყო

როგორც ცნობილია, 2011 წლის 7 ოქტომბერს, თბილისს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ეწვია, რომელიც ქართველ კოლეგასთან ერთად თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოვიდა. საქინფორმი ადრე უკვე წერდა იმის შესახებ, რომ 7 ოქტომბერი უქმე დღედ გამოცხადდა და, გარდა ამისა, სახელმწიფო და საჯარო უწყებების ყველა თანამშრომელზე გაიცა ბრძანება, რომ ისინი აუცილებლად უნდა მისულიყვნენ თავისუფლების მოედანზე დაგეგმილ ღონისძიებაზე.

7 ოქტომბერს კი ცნობილი გახდა, რომ **„ნაცმოძრაობას"** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პედაგოგები და **„შერჩეული"** მოსახლეობა რეგიონებიდანაც ჩამოჰყავდა. ეს კი, საქინფორმის ინფორმაციით, თითოეულ რაიონულ ცენტრზე ადგილობრივ ბიუჯეტს 4-6 ათასამდე ლარი უჯდება, რაც, საერთო ჯამში, უხვად რომ ვიანგარიშოთ, 300 ათას ლარს აღემატება (მოგეხსენებათ, საქართველოში სულ 64 რაიონული ცენტრია).

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებთან კომენტარს ან საერთოდ არ აკეთებდნენ, ან მოკლე განმარტებით იფარგლებოდნენ და ამბობდნენ, **რომ მათ „მოსახლეობა თბილისობის დღესასწაულზე მიჰყავთ"**. თავად **„ნაცმოსახლეობის"** ნაწილი კი, რომელთა **„დარიგება"** ვერ მოასწრეს, ამბობდნენ, რომ **„თან ექსკურსიაზე მიდიან და „თბილისობასაც" დაესწრებიან, თან სარკოზის გამოსვლასაც მოუსმენენ, რადგან იგი საქართველოს დიდი გულშემატკივარია და საჭირო დროს ქვეყნის გვერდითაა".**

საქინფორმი

ცოცხალი ჯაჭვი „ვარდების რევოლუციის" წინააღმდეგ

სოციალური ქსელების მომხმარებლები ხშირად აწყდებიან ინფორმაციებს სხვადასხვა საპროტესტო აქციის დაგეგმვის თაობაზე. სოციალურ ქსელ „facebook"-ზე მორიგი საპროტესტო აქცია დაიგეგმა. ამჯერად უცნობი ორგანიზატორები საზოგადოებას 2011 წლის 23 ნომებერს, 13:00, შეკრებისკენ მოუწოდებენ, რათა, მათივე განმარტებით, **„ვარდების რევოლუციის" წინააღმდეგ ცოცხალი ჯაჭვი შეკრან"„ვისაც არ მოგწონთ ხალხის სოციალური ტერორი, გამოდით 23 ნოემბერს. ვისაც არ მოგწონთ ელიტური ჩინოვნიკების მიერ ქვეყნის ძარცვა მრავალმილიონიანი ტენდერებით, ვისაც არ მოგწონთ ფულის გასათეთრებლად მილიარდების ხარჯვა სამხედრო მიზნებით ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან, ხელოვნური ფასების მატებები სასიცოცხლო პროდუქტებზე, ნავთობზე, ენერგომატარებლებზე, ხალხის მასობრივი დატერორება და მათთვის ერთადერთი საარსებო წყაროს წართმევა – როგორც ეს მათ „მარშრუტკის" მძღოლებს, გარემოვაჭრეებს და სხვებს გაუკეთეს; ვისაც არ მოგწონთ ელექტროენერგიის დახარჯვაზე დასუფთავების გადასახადის მიბმა; წყალზე უგულავა „გველეშაპის" დაჯდომა, რომელიც ბიზნესებს კუბურ მეტრში 4.80-ს ახდევინებს და მალე მოსახლეობასაც მიდგებიან; ვისაც არ მოგწონთ ახალ-ახალი გამრიცხველიანების სისტემები გამიზნული ხალხისათვის საარსებო საშუალებების წასართმევად; ვისაც არ მოგწონთ ერის რეკეტი; ვისაც არ მოგწონთ გარყვნილების და სოდომიზმის პროპაგანდა ქვეყანაში, განათლების სისტემის სრული დეგრადაცია; ვისაც არ მოგწონთ რობერტ სტურუას გათავისუფლება და თავისუფალი აზრის დევნა; ვისაც რამე არ მოგწონთ – გამოდით და დააფიქსირეთ თქვენი პროტესტი!"**, – ნათქვამია აქციის ორგანიზატორების მიერ გავრცელებული მოწოდების ტექსტში.

საქინფორმი

პედაგოგების გათავისუფლების პროცესი გრძელდება

ზუგდიდის სოფელ ჭკადუაშის სკოლაში ახალდანიშნულმა დირექტორმა მანუჩარ ხარებავამ ხუთი მასწავლებელი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლა. მან მასწავლებლებს გათავისუფლების მიზეზად ჯერ მინისტრის ბრძანება დაუსახელა, ხოლო მას შემდეგ, რაც პედაგოგებმა ახალ დირექტორს ამ ბრძანების გაცნობა მოსთხოვეს, უკან დაიხია და აღნიშნა, რომ ეს მისი პირადი გადაწყვეტილება იყო.

მასწავლებლები ამბობენ, რომ ისინი საპენსიო ასაკის გამო გაათავისუფლეს, თუმცა იქვე პრეზიდენტის განცხადებას იშველიებენ, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ პენსიაზე მყოფი მასწავლებლები მანამ დარჩებიან სამუშაო ადგილებზე, სანამ თვითონ არ წავლენ სახლებში.

სამსახურიდან გათავისუფლებული პედაგოგების – დუნია ყალიჩავას, ბედიშა მებონიას, როენა კვარაცხელიას, ნონა ესებუას და ვარდო დადვანის – ადგილზე დირექტორმა სკოლის სასწავლო ნაწილის ნათესავები დანიშნა. დირექტორს და მის მოადგილეს ნეპოტიზმში გათავისუფლებული ოთხივე მასწავლებელი ადანაშაულებს.

პედაგოგები დირექტორმა სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ გაათავისუფლა. ხუთივე მასწავლებელი დამსახურებული პედაგოგია, სკოლიდან მათ წასვლას სინანულით შეხვდნენ მოსწავლეები და მშობლები. გათავისუფლებული პედაგოგებიდან ერთ-ერთი 75 წლის ბედიშა მებონია ჭკადუაშის სკოლას 48 წელი ემსახურებოდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭკადუაშის საჯარო სკოლაში ამ დრომდე არ ისწავლება ფიზიკა. მიზეზი კი ისაა, რომ გათავისუფლებული პედაგოგის შემცვლელი დღემდე ვერ მოიძებნა.



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

1945 წელს, ურალში განთავსებული ბირთვული იარაღის ცენტრის მომავალ მთავარ კონსტრუქტორს, მოგვიანებით კი სსრკ საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს შეიარაღების მთავარი სამმართველოს უფროსს, გენერალ მაიორს ლეონიდ თევდორეს ძე კლოპოვს ოცდაშვიდი წელი შეუსრულდა და იგი ის-ის იყო ჩაირიცხა მოსკოვის ნ.ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელად. 24 ივნისს, აკადემიის პოლკის მწკრივში იგი წითელ მოედანზე იდგა **"სმენაზე"** – თითქმის მავზოლეუმის საპირისპირო მხარეს, თანაპოლკელებთან და დამსწრე საზოგადოებასთან ერთად იგი მოუთმენლად ელოდა გამარჯვების აღლუმის დაწყებას. და კარგად ხედავდა, თუ როგორ ადიოდნენ მავზოლეუმის ტრიბუნაზე პოლიტბიუროს წევრები იოსებ სტალინის წინამძღოლობით.

– მე ახლოს ვნახე სტალინი, – წერდა თავის მოგონებათა წიგნში ლ.ფ. კლოპოვი, – მ.ი. კალინინის დაკრძალვის დღესაც, 1946 წელს, წითელ მოედანზე. მე მაშინ დასაფლავების მარშრუტზე ვიდექი ხალხის შემაკავებელი ქვედანაყოფის ჯარისკაცებს შორის, სადაც კატაფალკას უნდა გაევლო კალინინის ნეშტით. იოსებ სტალინი მარტო მიუყვებოდა კატაფალკას, პოლიტბიუროს წევრები კი სამ-ოთხი ნაბიჯით ჩამორჩებოდნენ მას. ბელადს სახე გაფითრებული ჰქონდა, აქა-იქ ჭაღარა ემჩნეოდა, არც თუ მდგრადი ნაბიჯები მიანიშნებდნენ მის სიჭარმაგესა და იმაზეც, რომ იგი საშინლად გადაღლილი იყო. 1953 წლის შემდეგ, როცა იგი უკვე მავზოლეუმში ესვენა, მეჩვენებოდა, რომ იგი ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ვიდრე შვიდი წლის უკან, კალინინის დაკრძალვაზე.

არ ვიცი როგორ განსჯის მკითხველი, მაგრამ ამგვარ წვრილმანებს მე დოკუმენტებზე არანაკლებ დიდ შეფასებას ვაძლევ. ის, რომ სტალინი ორმოციანი წლების დასასრულს სრაფად ბერდებოდა და გადაღლილად გამოიყურებოდა, ამას უამრავი გამოცდილი მემუარისტის ჩანაწერებიც ადასტურებენ. მაგრამ ახალგაზრდა ოფიცერის შთაბეჭდილება, რომელიც სამუდამოდ აღებეჭდა მას გონებაში, ისევე ძვირფასია, როგორც ძველი ფოტოფირი, სადაც წამიერადაა დაფიქსირებული ეპოქის მაჯისცემა.

დიახ, სტალინი ბერდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1946 წელს იგი მხოლოდ სამოცდაშვიდი წლის იყო. მაგრამ, როგორი სამოცდაშვიდი წლის! ამასთან, 1946 წელი იყო ის პერიოდი, როცა აშშ სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდებოდა, დანარჩენი სამყარო კი მერყეობდა. სტალინმა, მოლოტოვმა და ბერიამ მხოლოდ გაზეთებიდან არ იცოდნენ დასავლეთის სამყაროს მესვეურთა განწყობა – სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ინფორმაციის ერთიან კომიტეტში (**ეკ**) ჩვენი სადაზვერვო უწყებები აგზავნიდნენ იმდენად ამომწურავ ინფორმაციებს, რომ იოსებ სტალინი, დასავლეთის ქვეყნების მეთაურთაგან განსხვავებით, მკაფიოდ ხედავდა მსოფლიო პოლიტიკის სურათს.

სწორედ ეს აღელვებდა ბელადს...

აი, ფრაგმენტი **ეკ**-ს რეზიდენტურის მიერ გამოგზავნილი, 1948 წლის აპრილის თვით დათარიღებული შეტყობინებიდან:

"უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ვაშინგტონში შედგა ინგლის-ამერიკის მოლაპარაკებები. მოლაპარაკებათა პირველი სტადია დასრულდა ამა წლის 1 აპრილს.

(შემდეგ დაწვრილებით იყო აღწერილი მოლაპარაკებათა ძირითადი არსი, სადაც განიხილებოდა სამხედრო ალიანსის **ნატო**-ს შექმნის გეგმა. – ს.კ.).

უახლოესი რამდენიმე კვირის შემდეგ გაიმართება მოლაპარაკებები ინგლის-ამერიკა-კანადის სამხედრო შტაბებს შორის, რომელიც უფრო მეტად საინტერესოა ჩვენთვის, ვიდრე ახლახან ჩატარებული მოლაპარაკებები.

სამხედრო-საშტაბო მოლაპარაკებებს მიზნად ექნებათ დასახული შემდეგ კონკრეტულ ღონისძიებათა გაერთიანებული გეგმების შემუშავება:

სამოქმედო გეგმა გაურკვეველ სიტუაციებში, ან ომის შემთხვევაში, რამდენიმე კვირის, ან თვის განმავლობაში;

სამოქმედო გეგმა ომის შემთხვევაში, 1955-1956 წლებში.

ინგლისელები და ამერიკელები მიიჩნევენ, რომ, ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირს ექნება საკმაო რაოდენობის ატომური იარაღი და ამიტომაც შეუძლია შეგნებულად წავიდეს ომის რისკზე..."

ამასთან, როგორც 1940 წელს, ასევე 1948 წელს, კაპიტალისტთა ატომური შეტევის უპირველეს ობიექტს წარმოადგენდა არა მოსკოვი, არამედ ბაქო და მისი ნავთობმომპოვებელი გარეუბნები. საბჭოთა ნავთობი სულ უფრო და უფრო ხდებოდა დასავლეთის ნერვიულობის საგანი. 1948 წლის აპრილში კი ჩვენ არ გვქონდა არცერთი ატომური ბომბი, მაშინ, როცა აშშ განუხრელად ზრდიდა საკუთარ ატომურ პოტენციალს, რომელიც ორნიშნიანი ციფრიდან მალე გადავიდა სამნიშნიან ციფრზე.

ამიტომ, ნათელია, თუ რატომ არ დადიოდა მედგარი ნაბიჯებით სტალინი 1946 წელში. მაგრამ საბჭოთა ბირთვული იარაღის **РДС-1**-ის წარმატებით გამოცდის შემდეგ დაძაბულობამ მეტნაკლებად იკლო. 1949 წლის 29 ოქტომბერს სტალინმა ხელი მოაწერა სსრკ მინისტრთა საბჭოს №5060-1943 დადგენილებას **"სსრკ-ში ატომური დარგის განვითარების შესახებ 1950-1954 წლებში"**. **პირველი პუნქტით მტკიცდებოდა "პლუტონისაგან დამზადებული პროდუქციის წარმოება 1553 ერთეულის ოდენობით, მათ შორის: 1949 წელს – 2 ერთეული; 1950 წელს – 7 ერთეული; 1951 წელს – 18 ერთეული; 1952 წელს – 30 ერთეული; 1953 წელს – 42 ერთეული; 1954 წელს – 54 ერთეული."**

მაშ, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა?

კი, მაგრამ – არა, ყველაფერი...

1947 წლის 3 იანვარს აბაკუმოვმა გაუგზავნა სტალინს შემდეგი შეტყობინება:

"გიგზავნით ოპერატიული ტექნიკის მიერ 1946 წლის 31 დეკემბერს დაფიქსირებულ გორდოვის საუბრის ტექსტს თავის მეუღლესთან (ტატიანა ვლადიმერის ასული – ს.კ.) **და 28 დეკემბრით დათარიღებულ ცნობას გორდოვსა და რიბალჩენკოს შორის გამართული საუბრის თაობაზე".**

გენერალ-პოლკოვნიკი ვასილ გორდოვი, დაბადებული 1896 წელს, თათრეთის ასსრ, მენზელინის რაიონის სოფელ მატვეევკაში, საკუთარი ბიოგრაფიით გახლდათ ტიპიური საბჭოთა არმიის გენერალი. გაიწვიეს 1915 წელს, იბრძოდა ძველ რუსულ არმიაში უფროსი უნტერ-ოფიცრის ჩინით, სამოქალაქო ომში მეთაურობდა ოცეულს, ასეულს, ბატალიონს, პოლკს... შემდეგ გაიარა **"Выстрел"**-ის კურსები, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, 1940 წელს ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად დაინიშნა...

დიდ სამამულო ომში გორდოვმა სტალინგრადის ფრონტის სარდლის თანამდებობამდე მიაღწია, 1942 წლის ზაფხულში კი სამარცხვინოდ ჩააგდო სტალინგრადის შიდა დაცვითი ზღუდის გამაგრების საქმე, რომელიც, შემდეგ, ჩინეთიდან გადმოყვანილმა ჩუიკოვმა გამოასწორა. მოგვიანებით, მარშალი ჩიუკოვი, ხაზს უსვამდა გორდოვის წრესგადასულ ამბიციას და უსაფუძვლო აპლომბს.

არმიის სარდლის თანამდებობამდე ჩამოქვეითებული გორდოვი შემდეგ შედარებით უკეთესად იბრძოდა და 1945 წელს საბჭოთა კავშირის გმირიც კი გახდა. ომის დამთავრებისთანავე იგი ინიშნება ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლად, გენერალი რიბალჩენკო კი მისი შტაბის უფროსი ხდება (ისინი ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობდნენ ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე).

მაშ ასე, გორდოვის ცოდნისა და გამოცდილებისათვის აშკარად შესაფერისი თანამდებობა გახლდათ არმიის სარდლის პოსტი. მაგრამ, ყოფილი გლეხის შვილი, რომელიც საბჭოთა არმიამ **"ოქროს ვარსკვლავურ"** დონეზე აიყვანა, **"ნაწყენი"** აღმოჩნდა, რაც დააფიქსირა კიდეც აბაკუმოვის ტექნიკამ.

მე ნაწილობრივ მომყავს სატელეფონო საუბარი გორდოვსა და მის მეუღლეს შორის, მაგრამ მკითხველისათვის გასაცნობად უფრო ხელსაყრელი რომ აღმოჩნდეს, სამი წერტილით აღარ გამოვყოფ დაუსრულებელ ფრაზებს.

"გორდოვი – შენ სულ ერთი და იგივეს მიმეორებ – მიდი სტალინთან. ესე იგი, მივიდე მასთან და ვუთხრა: "დამნაშავე ვარ, შევცდი, მომავალში პატიოსნად და პირნათლად გემსახურებით". ვის? ნაძირალობას, ველურობას ვემსახურო? გამოკვეთილი ინკვიზიციაა, ადამიანები უბრალოდ იღუპებიან! (ზუსტად ერთი წელი იყო გასული იმ დღიდან, როცა მუზიჩენკო, პოტაპოვი და ლუკინი სპეცშემოწმების შემდეგ გამოდიოდნენ ლუბიანკიდან – ს.კ.).

ცოლი – აი, ხომ დალეწეს ისეთი სულისკვეთების ადამიანის შემართება, როგორიც ჟუკოვია...

გორდოვი – მას მაინც არ გაანთავისუფლებენ თანამდებობიდან. ახლა მხოლოდ იმათზე მუშაობენ, ვინც ჟუკოვთან, ასე თუ ისე, კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა... ჟუკოვს ერთ-ორი წელი აყურყუტებენ თანამდებობაზე და დამთავრდა... მე უამრავი რამ ვერ გავითვალისწინე.. ნახე, როგორ რამეებზე წაიტეხეს კისერი უბორევიჩმა, ტუხაჩევსკიმ... (იმის გათვალისწინებით, რომ 1933 წელს გორდოვი იყო მოსკოვის სამხედრო ფეხოსანთა სკოლის შტაბის უფროსი, მისი ეს სიტყვები მართლაც საინტერესოა – ს.კ.).

ცოლი – როცა ჟუკოვი მოხსნეს, შენ მაშინვე მითხარი: ყველაფერი დაღუპულიაო.

გორდოვი – ესე იგი მე უნდა მეკანკალა, მონასავით შემშინებოდა... არ შემიძლია! იცი რამ დამღუპა? დეპუტატად რომ ამირჩიეს. აი, რა არის ჩემი დაღუპვის მიზეზი. მე რაიონებში დავდიოდი, და როცა ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე, დავწმუნდი მდგომარეობის საშინელებაში – ამან გადამაგვარა სავსებით... და სწორედ ეს მექცა პლატფორმად. მე ახლაც ვამბობ, რომ თუ დღეს გააუქმებენ კოლმეურნეობებს, ხვალ ყველაფერი წესრიგში იქნება, ამოქმედდება ბაზრები, გაჩნდება ყველაფერი... მიეცით ხალხს ცხოვრების უფლება, მათ აქვთ სიცოცხლის უფლება, მათ სისხლისმღვრელი ბრძოლით მოიპოვეს არსებობის უფლება!

ცოლი – ახლა არავინ იდვწის საიმისოდ, რომ საზოგადოებისათვის იცხოვროს.

გორდოვი – საზოგადოებაც ხომ არ არსებობს...

ცოლი – თუ არსებობს კიდეც, ეს ერთი მუჭა ხალხია, რომელთათვის ცხოვრება არ არის სანიტერესო

გორდოვი – სიკვდილისთვისაც ვერ გაიმეტებ თავს.

ცოლი – მინდა დავტკბე სიცოცხლით და ვნახო, მაინც სადამდე მივლენ?

გორდოვი – ეს არარაობები?"

მადამ გორდოვა, თავისი კეთილმოწყობილი, მდიდრული, მოსკოვსა და კუიბიშევში მდებარე გენერლის აპარტამენტებით, იმ ცხოვრებისაგან გაწბილებული, კლასიკურ პროვინციელ მოსულელო ქალბატონს მოგვაგონებს, რომელსაც **"არ სურს"** გაუგოს ვიდაც სტალინსა და ბერიას...

ნაკლებად სიმპათიურია სალდაფონი გენერალი გორდოვიც, რომელიც **"მაღალ"** მატერიებსა და პრობლემებზე საუბრობს ესოდენ დიდი **"პატრიოტული"** შემართებით. ყოველივე ამის მიღმა მიჩქმალულია ეგოისტური სურვილი: **"მოგვეცით მდიდრულად ცხოვრების საშუალება"!** მეშჩანის მიზანსწრაფვაა, მაგრამ ამ მეშჩანს გენერლის სამხრეები ეკერა, ისევე, როგორც **"ხალხის ბედით დაინტერესებულ"** კიდევ ერთ გენერალს – რიბალჩენკოს, რომელიც გორდოვთან სტუმრად მისული ესაუბრა მასპინძელს, როცა სოჩიდან კუიბიშევში მიემგზავრებოდა.

და, აი, რას ეხებოდა ეს საუბარი:

"რიბალჩენკო – არ გაგვაჩნია ყველაზე აუცილებელი. შეიძლება ითქვას, რომ გავდატაკდით. ფუფუნებაშია მხოლოდ მთავრობა, ფართო მასები კი შიმშილობენ. მაოცებს ეს ყოველივე, ნუთუ სტალინმა არ იცის, თუ როგორ იტანჯება ხალხი?

გორდოვი – მან ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს.

რიბალჩენკო – ან ისე აიბლანდა თავის საქმეებში, რომ არ იცის, როგორ განთავისუფლდეს! შესრულდა პირველი ხუთწლედის გეგმა, მაგრამ ეს ხომ ხალხის თვალში შეყრილი ნაცარია?..

გორდოვი – ხალხი ჭამს კატებს, ძაღლებს, ვირთხებს.

რიბალჩენკო – ადრე, საზღვარგარეთიდან, ასე თუ ისე, გვეხმარებოდნენ.

გორდოვი – ახლა არავინ არაფერს გვაძლევს, არც არაფერი გვაქვს.

რიბალჩენკო – და არავითარი პერსპექტივა, სრული იზოლაციაა."

სწორედ ეს საუბრები იყო დაფიქსირებული. ჯერ დააპატიმრეს რიბალჩენკო, შემდეგ კი – გორდოვი (1950 წელს ისინი დახვრიტეს, მაგრამ 1956 წელს – რაც ნიშანდობლივია – მოხდა მათი რეაბილიტაცია). მაგრამ, უამრავი რამ ხომ არ ფიქსირდებოდა! ფაქტია, რომ ელიტა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოზარდა და დააკვალიანა, ხშირად უჩვენებდა ბრანწს ჯიბიდან ამ ხელისუფლებას – მაშინაც კი, როცა ქვეყანა კეთილდღეობისკენ მიიწევდა. მიზეზი კი იყო არა **"პლატფორმები"** რითაც საკუთარი ბუზღუნის მიჩქმალვას ცდილობდნენ გორდოვები. რა შუაში იყო აქ **"პლატფორმა"!** თავი და თავი საქმისა იყო ის, რომ მათ მაშინვე სურდათ **"ეჭამათ და ენებივრათ"**, ქვეყანას კი ამის საშუალება არ გააჩნდა.

ყოფილი გლეხის ბიჭი მედიდურად უგულვებელყოფდა საზოგადოებას, მისი **"მადამი"** კი, ამართლებდა რა საკუთარ არარაობას, წუწუნით აცხადებდა, რომ მათთვის ცხოვრება არავის სურდა. მეორდებოდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდგომი სიტუაცია, როცა ზოგიერთი მებრძოლი ხელებს იკაპიწებდა შემდგომი შრომისათვის, მეორენი კი გაჭირვებაზე ქაქანებდნენ და **"უზრუნველ"** წარსულს მისტიროდნენ...

ალბათ ყველაფერი გასაგებია მკითხველისათვის... მით უმეტეს, რომ, ამ თემაზე, ადრე უკვე გვქონდა დაწვრილებითი საუბარი.

ვეებერთელა ქვეყანა კი თანდათან მიიწევდა წინ წარმატებულად. მიმდინარეობდა დანგრეული ქარხნების აღდგენის პროცესი, შენდებოდა ქალაქები, მეცნიერები მუშაობდნენ ახალ აღმოჩენებზე, ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, წარმოებები უშვებდნენ სამამულო მიკროსკოპებს, მოსიარულე ექსკავატორებს, მიზნისაკენ მიისწრაფვოდნენ თავდაცვის სისტემათა რაკეტები...

სერჟანტი ლავრენტიევი გამოგონებებზე მუშაობდა სახალინზე (სახალინზე!), სერჟანტის ხელფასით იწერდა ჟურნალ-გაზეთებს... მას ელოდა შეხვედრა მარშალ ბერიასთან.

და მე ვფიქრობ – რა მოხდებოდა, სერჟანტ ლავრენტიევს ნაცვლად გენერალ გორდოვისათვის რომ მიემართა? **"საბაზრო ეკონომიკის"** მომხრე ეს ყოჩაღი სალდაფონი ხომ მტვერში აზილავდა მას? არა საპატიმრო ბანაკის, არამედ პლაცის მტვერში! დედის გინებით მუხლებამდე ჩამარხავდა მიწაში სერჟანტს!

სწორედ ეს მარშალო-გენერალიტეტი, რომელიც დარწმუნებული გახლდათ **"საკუთარ ძალებში"**, იყო განვითარებადი სოციალიზმის დიდი საშიშროება. მეორე, არანაკლებ დიდი საშიშროება გახლდათ გადაგვარებული პარტოკრატია. თუ გენერლები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ გენერალი არ შეიძლება იყოს ბრიყვი, პარტოკრატები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ცეკას მდივანი არ შეიძლება იყოს ბრიყვი. მესამე საშიშროებას კი წარმოადგენდა **"ელიტური"** ინტელიგენცია, უპირველესად – შემოქმედებითი, მაგრამ, რაღაც დოზით – სამეცნიეროც – პროფესორ-აკადემიკოსთა დონეზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის ნოსტალგია

– აბა შენ იცი, კარგი ამბავი მოგვიტანეო.

დაღამდა. სპირიდონე არ ჩანდა. დუშა ბებიმ და ტანიამ ღამე თეთრად გაათენეს. ტანია ნერვიულობდა.

– ალბათ დატოვეს, არ გამოუშვეს, – ამშვიდებდა დუშა ბები, – ჩვენთან ასეთი წესია, ორი დღეც რომ დააგვიანდეს, არ გაგიკვირდეს.

– ოღონდ გავიგო სად არის, არა მგონია გარეთ იყოს, მას რაღაც უბედურება დაებრალეს... სადაც არ უნდა იყოს, წავალ და მოვძებნი.

სპირიდონე შუადღისას მთვრალი დაბრუნდა.

– ეჰეჰეი! დუშა ბები! დაბრუნდა თქვენი ელჩი სამტრედიიდან! დაბრუნდა და მერე როგორ დაბრუნდაა!

– მარტო დაბრუნდი, ბიძია სპირიდონე? – გასძახა მზიამ.

– ყველაფერი კარგადაა! ხუთიანზე შევასრულე საქმე!

სოლომონის ბავშვებმა სპირიდონეს დაბრუნება თვითნაკეთი სათამაშო ხელყუმბარის გასროლით აღნიშნეს.

– სპირიდონე ჩამოვიდა!

– ახალი ამბავი ჩამოიტანა!

– კარგი ამბავი!

დუშა ბები და ტანია ბაზრიდან მორბოდნენ.

ყველა ეზოში შეიკრიბა.

– სკამი დამიდგით! – გასცა ბრძანება სპირიდონემ.

დაუდგეს.

სპირიდონე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, პაპიროსი გააბოლა და დაიწყო:

– ასეა, ბაბა, სპირიდონე პირველიო, სვანეთშია პირველიო, აფხაზეთშიც პირველიო, მარგალებთან ხომ სულ პირველი ვარ!.. მერე, მერე თუ იცით?

– თქვი მალე, რა ჰქენი?

– რა ვქენი და, ჩემო ბატონო, სოფელ წიაღუბნის ჩიტებისთვის სახლი გავაკეთე და ალვის ხის კენწეროზე დავკიდე, აბა?! მე ვარ, ვინცა ვარ! არ უნდა გამეკეთებინა ჩიტებისთვის სახლი? იმ სოფელში ყველა სახლის ღობე-ყორე შევათვალიერე, ყველაფერი წესრიგში აქვთ, აბა ინდიკოს ღობეს სული რომ შეუბერო, წაიქცევა!

– მთვრალია ეგ ოხერი,– თქვა ინდიკომ, – გზაში მაინც არ გამოფხიზლდი?

– ეტყობა ელექტრიჩკით წამოვიდა და თავისნაირებს ნახავდა.

– ჰო, მატარებელშიც დავლიე, აბა? ენგურის ხიდამდე გამომყვნენ, სპირიდონე პირველიო, სამტრედიაშიც პირველიო! დილით ხაშიც მივირთვი და ხინკალიც, არაყიც დავლიე და ლუდიც დავაყოლე.

– თქვი, ნუ აგვიწიე წნევა, – გაბრაზდა დუშა ბები,– ბიჭის ამბავი რა გაიგე?

– ჰო, ბიჭის ამბავს ახლავე მოგახსენებთ, – ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ტანიას მიაწოდა,– მამუკას წერილია, მისი მისამართიც იქვე წერია. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდათ, დედა და ბებია ტიროდნენ. ასე მითხრეს, ან შენ ჩამოგვიყვანე ტანია, ან ჩვენ ჩავალთო. ბაბუა ძალიან მომეწონა, ძველებური კაცი, მამა, მეზობლები, ნათესავები, დიდი სუფრა გაშალეს, ტარიელიც გავიცანი, რომელიც ტანიას იცნობს, ვაუკაცი ბიჭია.

– ბავშვზე რა უთხარი?

სპირიდონემ მხრები აიჩეჩა და ტანიას შეხედა.

– რა უნდა მეთქვა... აბა რა ვიცი.

– როგორ არ იცი, აბა რისთვის წახვედი? – ჰკითხა ინდიკომ.

– ტანიამ მთხოვა, არ უთხრაო, მარტო მისამართი გამოართვიო, ეუხერხულა.

დუშა ბებიმ ტანიას უთხრა:

– არ ჯობდა, რომ სცოდნოდათ? ხომ ჩამოვიდოდნენ...

– არა, დუშა ბები, მამუკას გარეშე მე მანდ ვერ გავჩერდებოდი.

სპირიდონე ადგა და ხმამაღლა განაცხადა:

– დამთავრდა ახლა კონცერტი, ტანიამ წაიკითხოს წერილი, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ. გაინტერესებთ სად არის მამუკა? ეგერ წერია, ირკუტსკის მხარე, სოფელი ბუროვკა.

დაიშალნენ.

ტანია ბუხრის წინ დაჯდა და კონვერტი გახსნა:

„ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო ტანია, მაპატიე, რომ საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც გვინდოდა, ჩვენ ვოცნებობდით. მე მჯერა, რომ ჩვენი სიყვარული მარადიულია, ჩვენ ერთად ვიქნებით. იმ დაწყევლილ დღეს ჩვენ არ უნდა გვემხილებინა ის მილიციელი. მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ. ერთ რამეზე ვნერვიულობ, ალბათ შენც ნერვიულობ, ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი თვე ვიყავით ერთად, ნერვიულობისაგან ალბათ მუცელი მოგეშალა. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ ბევრი შვილი გვეყოლება. ჩვენებთან კონტაქტი იქონიე, უკეთესი იქნება თუ მიხვალ, ჩემს სახლში დამელოდები. ჩვენები ღვიძლი შვილივით მიგიღებენ და მოგივლიან. გკოცნი. შენი მამუკა“.

ტანია აქვითინდა. დუშა ბებიმ გულში ჩაიკრა.

– დამშვიდდი.

– უნდა წავიდე, დუშა ბები.

– სად უნდა წახვიდე, შენს სახლში?

– არა.

– მამუკას სახლში?

– იქ ვერ მივალ.

– აბა სად გინდა წასვლა?

– იქ, სადაც ჩემი ქმარია.

საღამო ჟამს დუშა ბების სახლის ეზოში ისევ მოიყარეს თავი მეზობლებმა.

– ირკუტსკში წასვლა არც ისე ადვილია.

– სამი თვის ბავშვს როგორ წაიყვანს?

– ვერ წაიყვანს.

– ალბათ აქ დატოვებს.

– დუშა ბები და მზია მოუვლიან.

– იქნებ გადაიფიქროს წასვლა და აქ დაელოდოს.

– ძნელია მანდ, რუსეთის, მითუმეტეს ციმბირის ზონაში პატიმრის მონახულება.

– წესიერად არც იცის სად უნდა მივიდეს.

– აბა რა ქნას?

– აქ ვერ გაჩერდება, მაინც უნდა წავიდეს.

– ფულია საჭირო.

– ჰოდა, შევუგროვოთ, ვის რამდენი შეუძლია.

– მე შემიძლია ჩემი ტელევიზორი... – ინდიკომ საუბარში მხიარულობა შემოიტანა.

– შენი მინჯღრეული ტელევიზორი ვის რათ უნდა,– უთხრა სპირიდონემ,– ხალხი იაპონურ და ამერიკულ ტელევიზოს უყურებს.

ყველას გაეცინა.

– რავა წალდის თავს მიგიგავს ის ცხვირი, შენი დასაცინი ვარ მე? – გაბრაზდა ინდიკო, – ტელევიზორის გარდა ორი ქათამი და ერთი ინდაური.

ქსენიას სამი დღის ნავაჭრი.

სოლომონის ჟანგიანი რკინები.

დუშა ბების ძველი სამოვარი და კარადა.

სპირიდონეს ნაბადი.

ვის რა შეეძლო და ვის რა.

მიმდებარე ქუჩებიდანაც შემოვიდა შეწირული.

რამდენიმე დღეში საკმაო თანხა შეაგროვეს.

მატარებელი ბაქანზე ჩამოდგა. ტანია დიდხანს ემშვიდობებოდა კეთილ ადამიანებს, ცრემლებს ძლივს იკავებდა, ბავშვს და დუშა ბების გახელებული კოცნიდა.

მატარებელი დაიძრა.

– ეჰ, რატომღაც მგონია, რომ არ დაბრუნდება, – ჩაილაპარაკა სპირიდონემ, – ახალგაზრდა გოგოა. დრო გაივლის, დრო, რომელიც ყველაფრის მკურნალია, გადაავიწყდება, თავისი ცხოვრების გზას იპოვის.

ნაწილი III
ციმბირის ღამე
თავი I
ბუროვკა

გამხმარი ბალახების თვალუწვდენელი ველი. ციმბირს ჯერ არ დატყობია გაზაფხულის მოსვლა. აქა-იქ თოვლიც დევს, გაყინული თოვლი.

თვალცრემლიან ტანიას ერთი სული ჰქონდა, დანიშნულ ადგილზე როდის ჩავიდოდა. ფიქრებში იძირებოდა: ვაითუ ვერ შევხვდე, ან როგორ შევხვდე? ვის მივმართო? გადმოცემით ვიცი, რომ იქ ძირითადად ნაციხარები ცხოვრობენ... საშიშიაო, მითხრეს... არ ვიცი რაზე ვიფიქრო, ჩემს უიღბლო სიყვარულზე, ბავშვზე, მშობლებზე, დუშა ბებიზე, სპირიდონეზე, მზიაზე, ყველაზე, ვინც სიკეთე გამიკეთა. ალბათ ღმერთი მიფარავს, თორემ ამდენ უბედურებას ვერ გადავიტანდი. ახლაც მისი იმედი მაქვს.

ტანიას მყუდროება გამცილებელმა ქალმა დაარღვია.

– ჩაი გინდა?

– არა, გმადლობთ... ბუროვკაში როდის ვიქნებით?

– ბუროვკაში ჩადიხარ?

– დიახ.

– ბილეთი კი ირკუტსკამდე გაქვთ აღებული, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ერთი ფასია... ალბათ პატიმრის მოსანახულებლად მიდიხარ.

– დიახ.

– ვიზა გაქვს?

– რისი ვიზა?

– პატიმარი რომ ინახულო.

– არა, არა მაქვს.

– მაშინ ირკუტსკამდე ჩასვლას გირჩევ, თქვენისთანებს ბევრს მივასწავლე გზა. თუ პატიმარი მიმაგრებაშია, მაშინ მასთან შეხვედრა პრობლემა არ იქნება, მაგრამ თუ ზონაშია...

– დიახ, ასე ვიცი, რომ ზონაშია.

– ზონა ზონას გააჩნია, არსებობს თავისუფალი ზონა და არსებობს ასევე მკაცრი რეჟიმის... შენ ვინ გყავს მანდ?

– მეუღლე.

– რომელ ზონაშია?

– არ ვიცი.

გამცილებელი ქალი წამით ჩაფიქრდა და უთხრა:

– აქ ერთი მოხუცი კაცია, ისიც ბუროვკაში ჩადის, საწყალს ოცდაათი წელი ახეხინეს, კარგად ვიცნობ.

– მერე?

– დაგეხმარება, იგი აქ ყველას იცნობს, წარმოშობით უკრაინიდანაა. ციხიდან რომ გათავისუფლდა, რა აზრი ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებას, რადგან არავინ ელოდებოდა, ამიტომაც სამუდამოდ აქ დასახლდა... ბუროვკაში არავის იცნობ?

– არა.

– გასაგებია.

მატარებელმა სვლას უკლო.

– ბუროვკა! გაჩერება ორი წუთი! ჩამსვლელებო, მოემზადეთ! – გასძახა ვაგონს გამცილებელმა.

ჩამსვლელნი კი ორნი არიან, ისედაც თითქმის დაცარიელებული ვაგონიდან: ტანია და პირსახედაღარული ნაოჭებიანი მოკუნტული ბერიკაცი.

– ამ გოგონას უნდა დაეხმარო,– უთხრა გამცილებელმა მოხუცს, – სტუდენტია, მისი მეუღლე ზეკია.

მოხუცმა ტანიას მორიდებით თავი დაუქნია.

– დავეხმარები, აბა რას ვიზამ, თუ ტომრის ჩამოტანაში ხელს შემაშველებს.

ტანიამ სევდიანად შეხედა.

მოხუცმაც სევდიანად გაუღიმა, სახეზე ეტყობოდა, რომ მრავალი ჭირი და უბედურება ჰქონდა გადატანილი.

– რამდენი დარჩა თქვენს მეუღლეს?

– სამი თუ ოთხი წელი.

– ეგ არაფერი, მაგდენი ხანი მარტო ბურში გამიტარებია, მალე გაივლის, ზამთარი-ზაფხული, კიდევ ზამთარი-ზაფხული, კიდევ ზამთარი-ზაფხული და სვაბოდაზეა.

– გმადლობთ, ბაბუა, მაგრამ ჩემთვის...

– მესმის, ძალიან ძნელია, სამი-ოთხი წელი კი არა, სამი-ოთხი საათი ლოდინიც ძალიან ძნელია, ლოდინზე საშინელი არაფერია, მითუმეტეს, როცა გიყვარს... ელოდები და გჯერა, მაგრამ სამწუხაროდ ისეც ხდება, რომ არავითარ სიკეთეს არ ელოდები და უფრო უარესი ის არის, როცა შენ არ გელოდებიან... ეჰ, რას იზამ, ტანჯულთა ხვედრია ასეთი, არ შეიძლება ყველა ბედნიერი იყოს.

მატარებელი გაჩერდა.

ტანია მოხუცს ტომრის ჩამოტანაში წაეხმარა.

იქვე, ბაქანის კუთხეში, სკამზე ჩამოჯდნენ.

– ცოტა შევისვენოთ, მოვიფიქროთ, სად წავიდეთ,– უთხრა მოხუცმა.

ვაგონიდან ხელში გატენილი ჩანთებით ორი შავგრემანი ქალი ჩამოვიდა.

– ესენიც პატიმრის სანახავად იქნებიან ჩამოსული, ეტყობა კავკასიელები არიან, ზონის უფროსს ფულს მისცემენ, ერთი საათით პატიმარი რომ ინახულონ, არადა რამდენი კილომეტრი აქვთ გამოვლილი, ესაა კანონი?.. ბევრს ითხოვენ ის მამაძაღლები, თქვენ საიდან გექნებათ მაგდენი ფული.

– არა, მე მხოლოდ უკან დასაბრუნებელი თანხა მაქვს, მეტი ვერ შევაგროვეთ.

– პერედაჩაც მოგაქვს?

– არა.

– ხოო... – მოხუცმა პაპიროსი გააბოლა და ჩაახველა.

– სხვათა შორის ჩემი მეუღლეც კავკასიელია, ქართველია.

ამ დროს მათ ჩანთებიანი ქალები მიუახლოვდნენ და ჰკითხეს:

– ბოდიში, ვერ გვეტყვით სად არის მეოთხე ობიექტი?

– აქედან ორას მეტრში დგას ავტობუსი, სამშენებლო-სამონტაჟო განყოფილების შენობის წინ, მუშები გადაჰყავს ტეპლოცენტრალში, მძღოლს შეეკითხებით, ერთ-ორ კილომეტრში დიდ ზონას დაინახავთ, უზარმაზარ ქარხანას აშენებენ.

– ზონის უფროსთან შეხვედრა როგორ ხდება?

– იქვე დასახლებაა, ზონის გარეთ, ყველანი, ვინც ზონას ემსახურებიან, იქ ცხოვრობენ, ზონის უფროსიდან დაწყებული რიგით ბადრაგამდე დამთავრებული.

– ჩვენ გვითხრეს, შინაგანი ჯარების განყოფილებაში მიდითო, წერილიც გვაქვს.

– თქვენ საიდან ხართ?

– ერევნიდან.

– წერილი ვის სახელზეა?

– ალბათ უფროსის... ჩვენი ნათესავი შინაგან ჯარში მსახურობს, მან დაგვიწერა.

– შეიძლება დაგეხმარონ, მაგრამ რატომღაც მეეჭვება, რადგან შინაგან ჯარებს თავიანთი ფუნქცია აქვთ, ისინი პატიმრებს ყარაულობენ, მათთან ურთიერთობა კი არა მგონია... არ ვიცი, შეიძლება დაგთანხმდნენ, მაინც სცადეთ.

ქალებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

– იმათ ხომ არ გავყოლოდით? – ჰკითხა ტანიამ მოხუცს.

– არ ღირს, რადგან ვიცი რა ძაღლებიც არიან, ჩვენ სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ, პირველ რიგში უნდა გავიგოთ, თუ რომელ ზონაშია შენი მეუღლე.

– ალბათ არსებობს რაღაც სამსახური, საინფორმაციო ბიურო, სადაც ყველას გვარი...

– არავითარი მაგნაირი სამსახური და ბიურო არ არსებობს, ზეკებს ადამიანებად არ თვლიან, აქ ისინი დანომრილები არიან, ის ნომერია მისი გვარიც, სახელიც, მამის სახელიც და ეროვნებაც.

– რა საშინელებაა?

– უარესია, საშინელებაზე უარესი რა უნდა იყოს? სამოცდაათს გადაცილებული კაცი ვარ, დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული.

– მაშინ რა ვქნათ?

მოხუცი ადგა, გაიარ-გამოიარა და ისევ დაჯდა.

– რა გქვია სახელი?

– ტანია.

– მე ვანია მქვია, შენ უბრალოდ შეგიძლია ძია ვანია, ან ბაბუა ვანია დამიძახო, ისე კი, ტიტულოვნად, მოკრძალებით მე გახლავარ ივან პეტროვიჩ კოვალენკო, წარმოშობით სუმის ოლქიდან, ჩრდილოეთ უკრაინა.

ტანიას სახე გაუნათდა:

– მე ტატიანა მიხაილოვნა სელეზნიოვა გახლავარ, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

– ბრწყინვალეა! უნივერსიტეტი! ფილოლოგია! მაგას რა სჯობია?!.. – მოხუცმა ჯიბეს გაიკრა ხელი და გროშები ამოიღო, – აქვე ერთი ქალი ბილეშებს ყიდის, შენც მოშიებული იქნები, თითო ოცი კაპიკი ღირს, გემრიელი ბილეშებია, ორ ცალს ვიყიდი.

– რას ამბობთ, ივან პეტროვიჩ, გმადლობთ... მე თვითონ ვიყიდი.

– არავითარ შემთხვევაში, შენ ჩემი სტუმარი ხარ.

– მაშინ მე თქვენ სიგარეტებით გაგიმასპინძლდებით, – ტანიამ ჩანთიდან ორი კოლოფი „კოლხეთი“ ამოიღო, – ინებეთ, ივან პეტროვიჩ.

ნარო კოლხელი
(ნარიმან იაშაღაშვილი
(გაგრძელება იქნება)

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია)..

რაპორტი გენერალ პანკრატიევისა გრაფ ჩერნიშევთან, 1831 წლის ივლისის 2-ს

სენატორებმა, რომელთაც ამიერ-კავკასიის მხარეში რევიზია მოახდინეს, თავიანთს მოხსენებაში გრაფ ივანე თევდორეს ძის მიმართ, ამა წლის აპრილის 1-ს, განმარტეს, რომ იმათ ყურადღება მიაქციეს ყველა იმ უფლებათ, რაც ამ მხარეს ჰქონდა მინიჭებული იმ დღიდან, რაც რუსეთს შეუერთდა და დაინახეს, რომ ზოგიერთ პროვინციას განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა, ამიტომ საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახეს განეხილათ ადგილობრივი რუსის მთავრობის მოქმედებანი ამ უფლებათა შენარჩუნების შესახებ.

მაგალითად, სამეგრელოს, რომელმაც რუსეთის ქვეშემრდომობა 1803 წელს მიიღო, მანამდე მისი მთავარი მართავდა იმ მოთხოვნილებათა პუნქტის თანახმად, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა იმავე წელიწადს. ამ პირობათა მესამე პუნქტის ძალით სამეგრელოს მთავარს უფლება აქვს სამართალი თვითონ აწარმოოს თავისს სამთავროში. მაგრამ რადგან სიკვდილით დასჯის ან სხეულის ასოების მოჭრის უფლება რუსეთის ქვეშემრდომთა შორის არავის უნდა ჰქონდეს, ამიტომ საჭირო მთავარს მიეცეს სახელმძღვანელოდ ისეთი კანონები, რომლებიც უჩვენებენ, თუ როგორ უნდა დაისაჯნენ კაცის კვლისათვის, ტყვეს გაყიდვისათვის, ქურდობისა და ყაჩაღობისათვის; სანამ ასეთ კანონებს მივცემდეთ, მთავარს ნება ჰქონდეს ძველებურის წესით გაასამართლოს დამნაშავენი, რათა ბოროტმოქმედებას გასავალი არ მიეცეს, რადგან ხალხი შეჩვეული არ არის ლმობიერ სამართალს.

დღემდე სამეგრელოს მთავრებს არა ჰქონიათ რუსეთის კანონები ხსენებულ ბოროტებათა დასასჯელად; მაგრამ მიუხედავად ამისა, სიკვდილით ან სხეულის ასოს მოჭრით, სამეგრელოს მთავრების ლმობიერების წყალობით, აქ არავინ დასჯილა. ეს უფლება შეიცვალა თანახმად საქართველოს მმართველთა ბრძანებისა, რომელიც გამოეცხადათ ადგილობრივს ხელისუფლების წარმომადგენელთ გენერალ რტიშჩევის მიერ 1816 წელს და გენერალ-მაიორ ველიამინოვის მიერ 1825 წელს და ამ ბრძანებათა თანახმად ბოროტმოქმედნი უნდა გაესამართლებინათ რუსეთის კანონებით.

საქართველოს მმართველთა მიერ გაცემულ განკარგულებაში სამეგრელოში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, ალბათ, აზრადა ჰქონდა მათს მართვა-გამგეობაში მყოფ მხარის მცხოვრებთა კეთილდღეობა; მაგრამ ეს განკარგულრბანი ეწინააღმდეგებიან სამეგრელოს მთავრის მოთხოვნათა პუნქტების მე-3 მუხლს და სამეგრელოს მთავართან შეუთანხმებლად მისთვის უმაღლესად ბოძებულნი უფლებანი შელახულნი არ უნდა იყვნენ. მთავარს ამ პუნქტების ძალით შეეძლო თავისი ნებით დაესაჯა დამნაშავე სიკვდილით და სხეულის ასოს მოჭრით; მაგრამ კეთილგონიერების და ლმობიერების გავლენით ასეთი სასჯელისაგან თავს იკავებდა და თვითონ მას 15 წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუცხადებია უკმაყოფილება თავის უფლებათა დარღვევის შესახებ.

ამიტომ სენატორებს შესაძლებლად მიაჩნიათ სამეგრელოში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულობათათვის დამნაშავენი გაასამართლონ სამხედრო სასამართლოს ქუთაისის კომისიაში. მაგრამ რათა შემდეგშიაც არ ჰქონდეს სამეგრელოს მთავრებს მიზეზი მე-3 მუხლში გამოთქმულ უფლებათა დარღვევის გამო უკმაყოფილების გამოცხადებისა, საჭიროა ეს კითხვა გამოირკვეს მასთან ოფიციალური მიწერ-მოწერით.

მისმა ბრწყინვალებამ საქართველოს მთავარსარდალმა ყოველივე ეს საქართველოს აწინდელ მთავარს გენერალ-ლეიტენანტს თავად დადიანს გამოუცხადა და სთხოვა: თქვენ რა აზრისა იქნებით იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმეები ქუთაისის სამხედრო სასამართლოს კომისიაში გაირჩესო.

(გაგრძელება იქნება)

როგორ აღმოჩნდა 20 ჰექტარი ქართული მიწა სომხეთის ტერიტორიაზე?

სოფელ ხულდარის (სადახლოს თემი ხუთი სოფლისაგან შედგება, – ავტ.) სასაზღვრო პუნქტიდან სადახლოს გამგეობისკენ ავიღე გეზი იმის გასაგებად, თუ რა დოკუმენტები და ახალი აზომვები გაკეთდა. რაც უნდა იყოს, სადახლოში პირველი პირი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელია, რომელსაც სახელმწიფო საზღვრის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს.

სადახლოს გამგებელმა ნიზამი ბედიევმა ორი რუკა წარმოგვიდგინა: ერთი 1966 წელს შედგენილი, მეორე კი – 2008 წელს.

ნიზამი ბედიევი: – ხელთ მაქვს 1966 წელს საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შედგენილი რუკა. ძლივს ვიშოვე, მეზობელ სოფელთან მიწებზე დავა გვქონდა და მაშინ დაგვჭირდა. მიწა, რომელსაც ახლა სომეხი მესაზღვრეები აკონტროლებენ და რუკის მიხედვით საქართველოს კუთვნილებაა, საკმაოდ დიდია. 1966 წელს შედგენილი რუკის გარდა, მაქვს 2008 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შედგენილი სამგანზომილებიანი რუკა. ის 99%-ით ემთხვევა 1966 წელს შედგენილს. ორივე რუკის მიხედვით ეს მიწა საქართველოს ტერიტორიაა. საიდან მოიტანეს, რომ ეს სომხეთის მიწაა, ვერ გეტყვით.

– ქართველმა მესაზღვრემ განმიმარტა, რომ თანამგზავრიდან ახალი აზომვები გაკეთდა და ეს ტერიტორია სომხეთის ყოფილა...

– ახალი რუკა რომ შეედგინათ და საზღვარი ოფიციალურად შეცვლილიყო, გამგებელი ვარ და ხომ უნდა მცოდნოდა? სომხეთისკენ საკმაოდ დიდი ტერიტორია, დაახლოებით, 20 ჰექტარზე მეტი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, უნდათ, ეს ტერიტორია მთლიანად მიითვისონ. ამ საკითხზე დიდი ამბავი იყო, ჩვენი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები რამდენჯერმე ჩამოვიდნენ.

– ქართველი მოსახლეობა ამბობს, რომ ამ ტერიტორიაზე შესვლას მათ არა სომხები, არამედ ქართველი მესაზღვრეები უკრძალავენ...

– როგორც ვიცი, ჩვენს ხალხს იქ სომეხი მესაზღვრეები არ უშვებენ. ერთხანს 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში ჩვენი მესაზღვრეებიც არ უშვებდნენ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებს მივმართე. ახლა ყველას აქვს სპეციალური საშვი, რომლითაც მოსახლეობას 500-მეტრიან ზოლში შესვლის უფლება აქვს.

– კონკრეტულ შემთხვევაში 500-მეტრიან ზოლზე არ არის ლაპარაკი...

– ვიცი. ამ მიწებზე, უკვე მეორე წელია, ხალხს აღარ უშვებენ, რატომ, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამის უფლება არ აქვთ. აგერ რუკები, აშკარაა, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაა! თუ რატომ ან როგორ შემოიჭრნენ სომეხი მესაზღვრეები ჩვენს სივრცეში, ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ.

– როგორ მოხდა, რომ სომეხმა მესაზღვრეებმა ჩვენს ტერიტორიაზე ააშენეს ბაზა?

– როგორ ააშენეს ჩვენს ტერიტორიაზე ომ საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახეს განეხილათ ადგილობრივი რუსის მთავრობის მოქმედებანი ამ უფლებათა შენარჩუნების შესახებ.

მაგალითად, სამეგრელოს, რომელმაც რუსეთის ქვეშემრდომობა 1803 წელს მიიღო, მანამდე მისი მთავარი მართავდა იმ მოთხოვნილებათა პუნქტის თანახმად, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა იმავე წელიწადს. ამ პირობათა მესამე პუნქტის ძალით სამეგრელოს მთავარს უფლება აქვს სამართალი თვითონ აწარმოოს თავისს სამთავროში. მაგრამ რადგან სიკვდილით დასჯის ან სხეულის ასოების მოჭრის უფლება რუსეთის ქვეშემრდომთა შორის არავის უნდა ჰქონდეს, ამიტომ საჭირო მთავარს მიეცეს სახელმძღვანელოდ ისეთი კანონები, რომლებიც უჩვენებენ, თუ როგორ უნდა დაისაჯნენ კაცის კვლისათვის, ტყვეს გაყიდვისათვის, ქურდობისა და ყაჩაღობისათვის, სანამ ასეთ კანონებს მივცემდეთ, მთავარს ნება ჰქონდეს ძველებურის წესით გაასამართლოს დამნაშავენი, რათა ბოროტმოქმედებას გასავალი არ მიეცეს, რადგან ხალხი შეჩვეული არ არის ლმობიერ სამართალს.

დღემდე სამეგრელოს მთავრებს არა ჰქონიათ რუსეთის კანონები ხსენებულ ბოროტებათა დასასჯელად; მაგრამ მიუხედავად ამისა, სიკვდილით ან სხეულის ასოს მოჭრით, სამეგრელოს მთავრების ლმობიერების წყალობით, აქ არავინ დასჯილა. ეს უფლება შეიცვალა თანახმად საქართველოს მმართველთა ბრძანებისა, რომელიც გამოეცხადათ ადგილობრივს ხელისუფლების წარმომადგენელთ გენერალ რტიშჩევის მიერ 1816 წელს და გენერალ-მაიორ ველიამინოვის მიერ 1825 წელს და ამ ბრძანებათა თანახმად ბოროტმოქმედნი უნდა გაესამართლებინათ რუსეთის კანონებით.

– შესაძლებელია თუ არა საქართველოს შესაბამის სტრუქტურას სომხური მიწა გაეცა იჯარით?

– გამორიცხულია! ყველა რაიონს აქვს დადგენილი საზღვრები. ბუნებრივია, საქართველოს მოქალაქეს სახელმწიფო მიწას ისე ვერ მისცემდა იჯარით, თუ ის კონკრეტული ნაკვეთი მიწის ბალანსში არ იქნებოდა აღრიცხული.

– ჩვენმა მესაზღვრემ განმიმარტა, რომ თანამგზავრიდან ახალი ფოტოები გადაიღეს და ეს ტერიტორია სომხეთის აღმოჩნდა...

– სრული აბსურდია. თანამგზავრიდან გადაღებული ორთოფოტოებით ვინ ადგენს სახელმწიფო საზღვარს? სად გაიგეს ეს, რომელი ქვეყნის გამოცდილებიდან? სახელმძღვანელო დოკუმენტი მორიგე რუკაა და სწორედ ამ რუკის მიხედვით შევიტანეთ ჩვენს კონსტიტუციაში ქვეყნის ფართობი და სახელმწიფო საზღვრები. თანამგზავრული ორთოფოტო ნედლი მასალაა, რომელსაც დამუშავება სჭირდება. ორთოფოტო, რომელზეც არ არის დატანილი საზღვარი, თუ მორიგე რუკას არ შეადარე, როგორ უნდა გაარჩიო, სად გადის რეალური საზღვარი?

საზღვრის შეცვლას კომისიის ორი სხდომა სჭირდება. ეს უნდა გაფორმდეს აქტით, დადასტურდეს ხელის მოწერებითა და დამოწმდეს ბეჭდით. თუ არ არსებობს ასეთი დოკუმენტი და რაღაც სხვა ფორმა მოძებნეს მიწის სხვა ქვეყნისთვის გადასაცემად, ეს სკანდალია! ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მიწას ჩუქნიან. საზღვრის დაცვის საქმეში დიდი პრობლემები გვაქვს. თავის დროზე, როცა დემარკაცია-დელიმიტაციის კომისიაში ვიყავი, მემორანდუმებს ვწერდი და გეგმებს ვადგენდი, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ქვეყნის ინტერესები დაგვეცვა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ამიტომაც წამოვედი კომისიიდან. თუ ასე გავაგრძელეთ, მომავალი თაობის წყევლა საფლავში არ მოგვასვენებს მამულისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო!

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ამბავი არაპროფესიონალიზმის გამო მოხდა. ახლა ისეთი აჯაფსანდალია ყველა სფეროში, შესაძლებელია, ვერ გაართვეს თავი სომხების პრეტენზიებს.

– ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ საზღვრის დაცვის პუნქტის უფროსმა გვითხრა, თქვენმა მამა-პაპამ ტყე გაჩეხა და ასე მიითვისა სომხური მიწაო. ეს სიმართლეა?

– რა უნდა ასეთ კაცს სახელმწიფო სამსახურში, თანაც, საზღვრის დაცვის პუნქტის უფროსად?! 20 ათასი დესეტინა (20 ჰექტარზე ცოტა მეტი) 1935 წელს საქართველომ იქით მისცა სომხებს სწორედ სადახლოს მიმდებარე ტერიტორიაზე. სომხეთის მთავრობამ მაშინ წერილი მოსწერა ჩვენს საბჭოთა მთავრობას, ტყე არა გვაქვსო და **„გიჟურაცუა"** ქართველებმაც მისცეს 20 ჰექტარი ტყის მასივი სომხებს. არავის არაფერი გაუჩეხავს. სომხები დაანებებდნენ ვინმეს თავიანთი ტერიტორიის მითვისებას? პირიქით, იქვე, საზღვართან, სომხებმა სატყეო მეურნეობა მოაწყვეს, გამალებით რგავდნენ ნერგებს და ნელ-ნელა ჩვენი საზღვრისკენ მოიწევდნენ. ეგ ტერიტორია ლალვარის ქედთან არის. სწორედ ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ტყით დაფარული ფერდობი გადასცეს სომხებს და რა ტყის გაჩეხვაზეა ლაპარაკი?

– ტყის მასივი სხვა ტერიტორიაში გაგვიცვალეს სომხებმა?

– არა, ბატონო, სანაცვლოდ არაფერი მიგვიღია! როცა დემარკაცია-დელიმიტაციის კომისიაში ვიყავი, სომხეთის საზღვარი 4 კრიტიკულ უბნად დავყავი. პირველი სწორედ ეგ იყო, სადახლოსა და ახკერპის ტერიტორია. ოთხივე უბანში განსხვავებული პრობლემები იყო. ამიტომ ეს საზღვარი უბნებად უნდა დაყოფილიყო და კომისიას განგვეხილა, სად რა სირთულეები იყო. მერე გადადეს შეხვედრები, მალე მეც წამოვედი და რას შვრებიან ახლა, ვინ იცის?!.

– დანამდვილებით ვიცი, რომ ამ საკითხზე პარლამენტს არ უმსჯელია...

– თუ ტერიტორიის გადაცემაზე პარლამენტს არ უმსჯელია, მაშინ რაღაც სხვა ამბავია, ხოლო თუ საზღვრის ცვლილებაზე არც გამგებელმა იცის რამე, ესე იგი, მანდ დასვით წერტილი! გამოდის, რაღაც ბნელ ამბავთან გვაქვს საქმე, რაც ყურადღებასა და გამოძიებას მოითხოვს. მიწა უკვე სომხეთის ტერიტორიაზეა, არა? ჰოდა, დაკარგულია ეგ მიწა! საზღვრის საკითხის გარკვევას ოფიციალურად რომ დაიწყებენ ქართველები და დემარკაცია-დელიმიტაცია გაახსენდებათ, კარგად დაიმახსოვრეთ, სომხები მანდ ჯარს ჩააყენებენ და იმ მიწას ვეღარ დავიბრუნებთ...

სიტუაციის შესწავლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარზე საგანგაშო ვითარებაა და 20 ჰექტარი მიწა უკვე, ფაქტობრივად, სომხეთის ტერიტორიაზეა.

ჩვენ დავუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს, გვაინტერესებდა, რომელი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე შეიცვალა საზღვარი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ ზურაბ გვენეტაძეს ვრცლად ავუხსენით საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის დეტალები და ვთხოვეთ, დაგვხმარებოდა. მეგონა, ჩვენი ინტერესები ამ საკითხში მაინც დაემთხვეოდა ერთმანეთს. ზურაბ გვენეტაძე ყველაფრის გარკვევას შეგვპირდა, თუმცა პასუხი არ მიგვიღია, მათ შორის, არც საკითხის განმეორებით შეხსენების შემდეგ. ჩვენ ოფიციალური წერილით მივმართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროსაც. გვაინტერესებდა, ამ საზღვრის კონკრეტული მონაკვეთის გადაცემაზე გაიმართა თუ არა თავის დროზე სხდომა, არსებობს თუ არა კომისიის ოქმი და აქვთ თუ არა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხს ოდნავ მაინც მოჰფენს ნათელს. ჯერჯერობით პასუხი არც საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიგვიღია. ერთადერთი, რაც გავარკვიეთ, ის არის, რომ რაიმე დოკუმენტი განსახილველად პარლამენტში არ შესულა და, შესაბამისად, არც მის რატიფიცირებაზე ყოფილა ლაპარაკი. ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება კითხვა, რა მექანიზმებით აღმოჩნდა 20 ჰექტარი ქართული მიწა სომხეთის ტერიტორიაზე? ჩვენ ამ კითხვაზე შესაბამისი ორგანოებისგან, უპირველესად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ველით პასუხს.

P.S. წესით, ეს სტატია აქ უნდა დამესრულებინა, მაგრამ რადგან ამ ბოლო დროს სომხურ თემებზე საუბარი ცუდ ტონად და ქსენოფობიად ითვლება, საჭიროდ ჩავთვალე, ჩემი სტატიის მიზანზე ორიოდ სიტყვა ვთქვა.

მე დიდ პატივს ვცემ სომეხ ხალხს, რომელმაც, ჩვენგან განსხვავებით, იცის, რას ნიშნავს სამშობლო, კარგად ეხერხება მისი ინტერესების დაცვა და ქვეყნის სიყვარული სატელევიზიო პიარში არ ეშლება. უფრო ის მაინტერესებს, რატომ ეკიდება ჩვენი ხელისუფლება ასე უგულისყუროდ ისეთ საკითხს, როგორიც ქვეყნის ტერიტორიული ინტერესების დაცვაა? ხანდახან მგონია (იმედია, ვცდები), რომ ასეთი უპასუხისმგებლობა მიზანმიმართული გეგმის ნაწილია, რათა ქართველ და სომეხ ერებს შორის დაპირისპირებამ იჩინოს თავი და ამაში დამნაშავენი ქართველები აღმოვჩნდეთ, ხოლო დაპირისპირებით ვიღაც მესამემ იხეიროს.

საზოგადოება ბნელ პოლიტიკურ ლაბირინთებში ვერ ერკვევა და ხედავს მხოლოდ იმას, რაც ზედაპირზე ტივტივებს. ზედაპირზე კი სომხეთია, რომელიც თავნებობს და ჩვენს ტერიტორიას ითვისებს. არადა, ძნელი დასაჯერებელია, საზღვრის სათანადოდ დაცვის შემთხვევაში, სომეხ მესაზღვრეებს ქართველ კოლეგებთან ხელჩართული ომი გაეჩაღებინათ. საინტერესოა, რატომ არ ვიცავთ ჩვენს საზღვარს ისევე, როგორც ჩვენი მოძმე სომხები ან აზერბაიჯანელები? რატომ ცხოვრობენ ჩვენი მესაზღვრეები უბადრუკ ჯიხურში, მაშინ, როცა მეზობელ სომხებს სასაზღვრო პუნქტების გასამაგრებლად კორპუსის აშენებაც კი არ ენანებათ?

ხათუნა პაიჭაძე
ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ინჩხურის ტოპონიმიკა

(ვაგრძელებთ მასალების ბეჭდვას სამეგრელოს ტოპონიმიკაზე, რომელიც მოგვაწოდა გაზეთ "მარტვილის" მთავარმა რედაქტორმა ბატონმა შაუსტ ნადარაიამ)

ოთიეში – ფერდობი, დავაკება ხოჯიშ გინაჯირაისა და ნაქერუს ზემოთ, ჭითაწყარის გვერდით, ტაბაკონის კალთაზე;

ოტიფე – "სათიეე" – სასაფლაო და მისი მიდამოები ეგაბეშიეს საზღვართან, ემოსიეში.

ონტყერე – მთისძირა დავაკება წყალსადენის მარჯვენა მხარეს. ხეები ხარობს.

ორტვინწყარი/ ორტვინიშ წყარი – გუბე იაგეშის შემოგარენში, 500 მეტრის დაშორებით, ტაბაკონაზე. **"ბოსტანი ყოფილა და ფხალი ეთესა ვიღაცას"** (გადმ).

ოფუტურე – ფერდობის **"წიფურიშ ძგას"**, სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, კეჭეხთან, მეინჯის გვერდით.

ოქროპირიშ ნაშენი – მინდორი ინჩხიის მარცხენა მხარეს. **"ოქროპირ წოწორიას ადესა ჰქონია ხეებზე მიშვებული".**

ოყინაშე/ოყინაში "საცივი" – დუბე პატარა ინჩხურის საზღვართან, ეწოწორეში, კეჭეხსა და ოფუტურეს შორის. აქედან საურმე გზით ადიოდნენ ზეინდში.

ოყურიაშ ბა – სერი დიდი ინჩხიის მარჯვენა ნაპირას, ბობოხურსა და დგებიაშ ნაეზუს შუა.

ოხვარხვაეში – ფერდობი ხუტიაღეეს მარჯვენა ნაპირას.

ოხვარხვაეშძვინჯი – მინდორი სახნავით ოხვარხვაეშუს ფერდობის ძირში.

პაპაწყუ – "მღვდლის წარო" – წყაროს წყალი ნაშენის ზემოთ, ოხვამეკარში.

პლატოშ ყონა/პლატოშ როგუ – საბალახო ბასიაში ნაყონეის აღმოსავლეთით, 200 მეტრში. **"პლატონ უჩავას ყანა".**

ჟირფაღეე – შური, რაც ორ ტოტად ჩამოუყვება ტაბაკონას ფერდობს ხურუმდე.

როკიაშღეე/როჰიაღეე – ღელე; მოედინება ეჯღარკეში და მარჯვნიდან შეერთვის ინჩხიას. წყალი იცის ნაწვიმარზე, სხვა დროს დამშრალია. სათავეს იღებს ჭყონიგაზე.

როსტოშ ნაშენი – სახნავ-საბალახო მენჯის მახლობლად, პაწაწყუს ქვემოთ, ოხვამეკარში.

რუწკუპიშ ღეე – ღელე რუწკუპში, ოროდინეშთან.

სადგებიო ძუა – კლდე-ლოდნარი შქერონის სამხრეთით და კინჩხის ჩრდილოეთით. ამ ადგილებს დგებია ფლობდა, შემდეგ გაბეჩიებს შეუძენიათ. გადმოცემით, ლოდიდან ქვის დაგორება დგებიას გვარისკაცის სიკვდილის მომასწავებელი იყოო.

საეკლესიო – ტყე და საბალახო ტაბაკონაზე. მეჯოგეთა კარვები დგას.

სამალიოტიშ გინალეფი – თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილი – წაბლნარი ტაბაკონაზე, ოთიეშის ქვემოთ.

სანკირე – ქვის კარიერი ისკიოდას გვერდით.

სარაშ ტობა – მორევი ინჩხიაზე. სარა კაცის სახელია. გვარად წოოწოეია ყოფილა და მდინარის მახლობლად სახლობდა, თურმე.

სარდიშ ნაკაროუ – მინდორი, თხმელნარი ჭყვეპეიაშ გარამის მახლობლად. **"სარდი მოსიავას თხის ფერმა ჰქონდა კოლმეურნეობის დროს".**

სახეთშროუ – საბალახო ტაბაკოლას მთისძირში, ხოჯგიონჯირაიას აღმოსავლეთით.

სიკოშ ფერდი – მინდორი, საბალახო ტაბაკონას მთისძირში, ენწერს ქვემოთ, ემოსიეში. სიკო ჭიჭაღუას უცხოვრია ამ ადგილას.

სკირღეე – მშრალი ღელე, პირველი ბალდის საზღვართან და მასთან საზიარო, ტაბაკონას ფერდობზე.

ტურაშ ომანე – ტყებუჩ-ქნარიანი ფერდობი ვასიიყონას ქვემოთ, დაახლოებით 100 მეტრში.

ტუტუაჩა – მინდორი ჭიჭე ინჩხიის მარჯვენა ნაპირას.

უჩარდიაშ ბა – "უჩარდიას სერი" – დაბალი სერი ხუტიაშ ღეეს მარცხენა ნაპირას.

ფარნაშ ნახორი – სახნავი ჭყონიგას ძირში, გუდუშ ნოხორთან. **"ფარნა გაბეშიას ნასახლარი".**

ფარფალიაში – მინდორი სახნავით ჭოდინას ჩრდილოეთ ნაწილში, იჩხიის მარცხენა ნაპირზე.

ფაძვა – ტყებუჩქნარიანი ფერდობი ხურუში. წყალსადენის ზემოთ.

ფაძვაშდუდი – ნაკადული ეჩქოფოიეში, ხურუსთან.

ფურსუშ მინდორი – მინდორი ეჭიჭაღუესა და ტუტაუჩას შორის.

ძვიშ(ი)ნა – დასახლება ტაბაკონისძირში, აბაშის მარცხენა მხარეს.

ქუაჩამური – ერქვა წიფლნარს ბორცვზე, იჩხიასა და ღალიშს შუა.

ძუაწყარი – ამოკოდილი ქვა ნაქარუს ქვემოთ და ჭველონას ზემოთ. ქვაში სასმელად ვარგისი წყალი გროვდება.

ძუაჯვარი – "ქვის ჯვარი" – მინდორი თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილის გვერდით, აბენაშ ნაკაროუს ზემოთ, სადაც, ძველთაგანვე აღმართუილი ყოფილა ქვის ჯვარი.

ღაჭაშ ნახორი – "ღაჭავას ნასახლარი" – სახნავი პატარა ინჩხურის საზღვართან, ჭოდინაში. აქვე მოედინება **"ღაჭაშ კარიშ ღეე".**

ყალიში – ვიწრო გზა-გასასვლელი და ჭენჭყობიანი დავაკება ბობნოხიურსა და დობერას შუა, ინჩხიის მარჯვენა ნაპირას. გზა მიემართება ქუაჩამურისაკენ.

ყუნგაღეე/სარდიონიშ ღეე – ღელე და შური უჩა ღეესა და ლევანტიას ღეეს შუა. ჯა რე გლახა გიითამაი დო თიშენ ჯოხო ყუნგა ღეე.

შეროზიაშ ნაფირმუ – საბალახო ვალიკოშ ნაცალას ზემოთ.

შირიფის ნაპაროუ – ტყებუჩქნარიანი დავაკება მოთენას ფერდობზე, წყარამღეეს ქვემოთ, ეჯღარკეში. **"გაჭედილელ"** შირიფი ჯანჯღავას აქ კარავი ჰქონია გამართული.

ჩე ოდიარე – საყანე ვაკე ფერდობზე, კეჭეხსა და მენჯს შორის.

ჩეღეე/ჩეღელო/ხელაიეფიშ ღეე – ღელე და შური ტაბაკონას კალთაზე. ვედიდიდან ჩამოდის ხურუში.

ჩეშონა/ჩეჩონა – მინდორი ნაჭვის გასწვრივ, ხარაზოუს მახლობლად.

ჩხუტელი/ჩხუტერი – დავაკება სახნავებით აბაშის მარცხენა ნაპირას, ნოჩერიასთან, ლეჩხუმის სოფელ ჩხუტერიდან ჩამოსახლებული ჭიღლაძეებისთვის ტავად დგებუაძეებს აქ უბოძებიათ მამული.

ცეცხო – საბალახო ტაბაკონას სამხრეთ კალთაზე.

წიფურგა – "წიფელის სერი" – მცირე სერი კაჭარაშ ნახაჩქას მახლობლად.

წოწოროუ – ფერდობი, სახნავი ზეინდს ქვემოთ, ეწოწორ(ი)ეში, ხეიშის შემოგარენში.

ჭვეენა – ბუჩქნარი ხარტოში, ნაყონეის გვერდით, ენწერს ზემოთ.

ჭითა ღიხა – ფერდობი აბენაშ ნაკაროუს დასავლეთით, ნაფაცხას ქვემოთ

ჭითა(ნ)ტკიი – ტყებუჩქნარიანი კლდე-ფერდობი ეჩქოფოიეში, ფაქვას ზემოთ.

ჭიჭაღუეფიშ შარა – გზა, რომელიც ტაბაკონასკენ მიემართება.

ჭიჭება – "პატარა სერი" – სერი მანჯღაიასა და ხუტიაღეეს ხეობებში; დიდიგას ნაწილი.

ჭიჭე ზეინდი – სახნავი დიდ ზეინდსა და წოწოროუს შორის.

ჭოდინა – დასახლება ინჩხიის მარცხენა ნაპირას.

ჭყონიგა – სერი ემოსიესა და ეჯღარკეს შუა, ლაზაშ ტყაშ შემოგარენში, ბზიონას ქვემოთ.

ხარაზოუ – საბალახო ჩეშონას მახლობლად, ნაჭვის შემოგარენში.

ხეიში – საყანე წოწოუსა და ზეინდს შორის, ხურუში.

ხვირინტკიი – კლდე ეჩქოფოიეში, კონჩხის აღმოსავლეთით, აქ ფაქვადან ადის გზა.

ხირგუ – ტყიანი ფერდობი ემოსიეში, ნაფაცხუს ზემოთ, ბოგორომის მახლობლად.

ხოჯიშ გიანჯირაი – "ხარის დასაწოლი" – ფერდობი ტაბაკონას ძირში, ოთიეშის ქვემოთ.

ხურუ – დავაკება ისკიოდას ზემოთ, ტაბაკოლას მთის ძირში, ინჩხიის მარცხენა მხარეს.

ხურუშ ნამარანუ – იგივე **ნამარანუ.**

ჯაგბარი – ერქვა ჯაგნარს ხუტიაღეეს ნაპირას.

ჯვარი – ტყე-ბუჩქნარი გზისპირას, ნაფსიაში.

ჯოჯოშ ნახორეი – "ჯოჯოს ნასახლარი" – მინდორი აფსხაეშია, მენჯისა და ოფუტურეს შემოგარენში. **"ჯოჯო ღაჭავას ნასახლარია".**

იბორ კეკელია,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის დოქტორანტი

რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ?

სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები ლამის ყველა ქართველისთვის ცხოვრებისეულ **„კრედოს"** წარმოადგენს. მაგრამ ოდესმე თუ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ ამ თითქოსდა ნაციონალისტური სიტყვების იქით ჩვენი პატრიოტულობა ვერ **„ქაჩავს"** და **„ევროპეიზაციის"** იდეით აღტკინებულნი მხოლოდ რიტორიკას აყოლილ, უსახო ერად ჩამოვყალიბდით, რომლებმაც ეროვნული ფასეულობების პატივისცემა და ტრადიციების ერთგულება დავივიწყეთ და სრულიად ახალ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებთან, ტრადიციებთან შეუთავსებელ ჰოთ-დოგების და კოკა-კოლას ცივილიზაციას დავუქვემდებარეთ ჩვენი სული და გონება. ამის გამოა, რომ არ გვაღიზიანებს ქალაქის ქუჩებში გამოფენილი **„მომავალი თაობის"** მოურიდებელი ტანტრული სექსის აკრობატიკული ილეთები; ამის გამოა, რომ არ ვიწვით სირცხვილისგან, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ხელისუფლების მიერ ჩამოყვანილი უცხოელი **„მეგავარსკვლავები"** სცენაზევე **„ეზასავებიან"** და ლამის საჯაროდ აუპატიურებენ ქართველ **„მანდილოსნებს"**. ნუთუ ისევ გვაქვს იმის მორალური უფლება სიამაყით გაიძახოდეთ: **„რაც კარგები ვართ ქართველები ვართო"**. თუმცა რომელ მორალზე და სიამაყეზეა საუბარი, როცა ესოდენ საამაყო (შეიძლება ცოტა გაფეტიშებული) ქართველი კაცის ვაჟკაცური შემართება და რაინდული სული, ქართველი ქალის ზნეობა და კდემამოსილება ჰომოსექსუალიზმმა, ლესბოსელობამ და პროსტიტუციამ დაჩრდილა.

საქართველოსთვის ასევე არანაკლებ საფრთხეს შეიცავს რეგრესის პროცესში მყოფი დემოგრაფიული მდგომარეობა. სააკაშვილის რეჟიმის ანტიეროვნული პოლიტიკის გამო (თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყო) უამრავი ქართველი ტოვებს სამშობლოს და ლუკმა-პურის საშოვნელად სხვაგან გარბის. საქართველო იცლება ქართველებისგან, თუმცა ამის აღმოსაფხვრელად არაფერი კეთდება. დემოგრაფიული ბალანსი ქართველების საწინააღმდეგოდ იცვლება. მაგრამ გაცილებით უარეს დღეში აღმოვჩნდებით, როცა სააკაშვილის რეჟიმის ახალი პროექტი, **„სინგაპურიზაციის"** ახალი ნაირსახეობა კოდური სახელწოდებით **„ბურები"** განხორციელდება.

როგორც ცნობილია ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბურების 40 ათასი ოჯახი საქართველოში ჩამოასახლოს და ქართველთა სისხლით მორწყული მიწა უსასყიდლოდ გადასცეს. ჰო, მართლა, ისინი (ბურები) მთიულეთის (დუშეთის რაიონის) ულამაზესი სოფლის ბურსაჭირის მაცხოვრებელთა წინაპრები არ გეგონოთ, ისინი ჰოლანდიელი ბურები არიან (ძველ-ჰოლანდიურად **„ბურ"** ნიშნავს **„გლეხს"**), რომლებიც საუკუნეების წინ კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად აღმოჩდნენ სამხრეთ აფრიკაში. ხელისუფლება აცხადებს ბურებს სამხრეთ აფრიკაში ზულუსები ავიწროებენ და ჩვენ უნდა დავეხმაროთ – საქართველოში უსასყიდლოდ დავასახლოთ (თითქოს უსახლკაროდ დარჩენილი ჩვენი დევნილების პრობლემები იყოს მოგვარებული. თუმცა რომელ პრობლემების მოგვარებაზეა საუბარი, როცა **„ვარდოსნები"** ლამის **„სამხედრო ინტერვენციას"** ახორციელებენ და იარაღის მუქარით ყრიან თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან დევნილებს). მაშინ როცა ხელისუფლებას ბურების გასაჭირი გულთან ახლოს მიუტანია და დახმარების ხელი გაუწვდია, არაფრად აგდებს ბურსაჭირის გასაჭირს, რომელიც მკვიდრი მოსახლეობისგან დაიცალა. მთის შვილები საკუთარ მიწა-წყალს ტოვებენ, რომ შიმშილისგან არ დაიხოცონ და ლუკმა-პურის ფული სხვაგან იშოვონ. თუმცა ეს ჭირი, მარტო ბურსაჭირს არ სჭირს, მთელი საქართველო ამ დღეშია. ქართველებისგან იცლება საქართველო (უცხო ტომელთა დასასახლებლად ქართველებისგან დაცლილი საქართველო საუკეთესო საშუალებაა): ზოგი მუშად, ზოგი მონამოსამსახურედ, ზოგი სასიკვდილოდ და ზოგი მეძავად მიდის საზღვარგარეთ. ამაზე მეტი ბედის დაცინვა რაღა გინდა: თუკი ძველად თურქებს საოცნებოდ ჰქონდათ გადაქცეული ქართველი ქალის ხარჭად ყოლა, დღეს უშემოსავლოდ დარჩენილი ოჯახის გამოსაკვებად ქართველი ქალები თავიანთი ფეხით მიდიან მდიდარი თურქების აბრეშუმის ზეწრებზე წამოსაკოტრიალებლად. ეს მთელი ერის სირცხვილია თითოეულ ქართველს უნდა სტკიოდეს ეს ტკივილი.

ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი გადარჩენა ჩვენი ეროვნული ფასეულობების დაცვასა და შენარჩუნებაშია. ჩვენ ვიარსებებთ მანამ სანამ არ დავკარგავთ ეროვნულ სხეულს. დღეს ბევრი პრობლემაა და ამ პრობლემების მოუგვარებლობით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებელნი ჩვენ ვიქნებით ჩვენი დღევანდელი უმოქმედობის გამო. უნდა გვესმოდეს, რომ ეროვნული პრობლემების მოუგვარებლობამ შეიძლება სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცება გამოიწვიოს. დაქუცმაცებულ საქართველოს კი კარგი არაფერი მოუტანია ქართველი ერისთვის. მტკიცე ეროვნული ერთობის ჩამოყალიბება ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობაა. არჩ. ჯორჯაძე ამბობდა: **„ერის წარმოქმნა სახელმწიფოს წარმოქმნას უკავშირდება, ხოლო სახელმწიფოს მოსპობა ერის მოსპობასო"**-ო. ამიტომ გადაგვარების და გაქრობის საფრთხე მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. ჩვენდა სამწუხაროდ არასასურველი რეალობის წინაშე ვდგავართ: გლობალიზაციის პანდემიურ ქარიშხალს დასნეულებული ეროვნული (სახელმწიფოებრივი) სხეულით ვეგებებით. უფრო მეტიც ჩვენ ღრმად შევდივართ გლობალიზაციის სიღრმეში, ისე რომ ეროვნული (სახელმწიფოებრივი) სხეული იმუნიტეტისგან დაცლილია, საზოგადოება დაქუცმაცებული, ხოლო პიროვნება დემორალიზებული. მაგრამ, ჩვენ, ქართველებს ერთი სენი გვჭირს – ზღვარსგადასული რომანტიზმი: ვაიდეალებთ წარსულს (საკითხავია ვიცით კი საერთოდ წარსული?), გავურბივართ დგევანდელობას, ხოლო ბედნიერი მომავლის იმედი თითქმის რელიგიურ დოქტრინად ვაქციეთ. ჩვენ დავკარგეთ რეალობის შეგრძნება, დავივიწყეთ ჩვენი მდიდარი ისტორია და ამიტომაც წარსულის გამოცდილებას დღევანდელობის სამსახურში ვერ ვაყენებთ. ან იქნებ გავურბივართ მწარე რეალობას? იქნებ მოგვწონს სირაქლემას პოზაში დგომა? ან იქნებ გვგონია ამ ავბედითი რეალობისგან თავის არიდებით რამე უკეთესობისკენ თავისით შეიცვლება? თუ ასეა მაშინ ეს სიბრიყვე და თავის მოტყუებაა, რომელიც შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. დიდი ილია ჭავჭავაძე, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ქართველი ერის უმოქმედოდ ყოფნა, თვალცრემლიანი ღაღადებდა ქართველი ერის წინაშე მწარე სიმართლეს: **„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქ დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად".** სამწუხაროდ ქართველებს გენეტიკურად მოგვდგამს მსგავსი სიმახინჯეები: გვიყვარს უგონო ძილი, რადგან ძილში მყოფნი რეალობას ვერ ვხედავთ. მაგრამ შეიძლება საფრთხის რეალურობამ ძილი სიზმრით დაგვიფრთხოს და იქნებ **„გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება"**. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ძილში გაგვეპაროს აწმყო მომავალითურთ. დროა ვისწავლოთ მოვლენების რეალურად შეფასება, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი, რაც არ უნდა მტკივნეული ან არასასიამოვნო მოსასმენი იყოს ის თითოეული ჩვენთაგანისთვის და ძალღონე არ დავიშუროთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად.

ზურაბ ჯამბურია

კიდევ ერთხელ დედა-ზე 70-წლიანი გადმოსახედიდან

ეს წერილი შარშან გამოვაქვეყნე, წელს კი 70 წლისა გავხდი და კვლავინდებურად მწვავე მონატრება მაწუხებს იმ ადამიანისა, რომელმაც შვიდი ათეული წლის წინ მომავლინა ამ ცოდვილ წუთისოფელში.

დრო ულმობელია – უკვე მეათე წელი მიილია, რაც ჩემს გვერდით აღარ არის დედაჩემი, მაგრამ, თითქოს გუშინ გამშორდა სამუდამოდ...

საოცარი სიცარიელე დამჩემდა, რასაც ვერც გულშემატკივარი შვილები მივსებენ, ვერც გალავანივით მოჯარული შვილისშვილები, ვერც შვილისშვილისშვილი და ვერც...!

ვიღაც იტყვის – შე დალოცვილო, თუ შვილებიცა გყავს, შვილისშვილებიც და დიდ ბაბუობას თუ ელოდები და თანაც სამოცდაათ წელს ხარ გადაბიჯებული, რაღა დროს დედის ამგვარი სევდიანი მონატრებაო!

არაა ასე საქმე – თუ დედა და მამა არ გახსოვს, ვერც შენს იმ დანიშნულებასაც გაიხსენებ, რისთვისაც მოგავლინეს ამ ცოდვილ დედამიწაზე შენმა მშობლებმა. ჩემი და ჩემნაირი ადამიანების განცდა მიუწვდომელი იქნება იმ დეისაძეების, თუთბერიძეების, პაიჭაძეების, რამიშვილების, თევზაძეებისა და სხვა უჯიშოებისათვის, რომლებიც სხვა გადაგვარებულთა საამებლად, ორმოცი ვერცხლის ფასად, მზად არიან ლაფში ამოთხვარონ საკუთარი დედები, საჯაროდ გაკიცხონ ისინი და კახპები და მეძავები უძახონ!

კიდევ კარგი, საწყალი დედაჩემი ვეღარ მოესწრო ამ უჯიშოთა აღზევებას საქართველოში, თორემ სიბერის სიძაბუნე და მძიმე ავადმყოფობა კი არა, მათი თუნდაც ერთხელ მოსმენა მოუღებდა ბოლოს. XXI საუკუნე იმით შეიქნა გამორჩეული, რომ კაცობრიობის გამანადგურებელ ეპიდემიად მოედო დედამიწას უამრავი ცოდვილი, რაც გაუსაძლისად ამძიმებს ჩვენს ისედაც მძიმე ყოფას. ჩვენ ხომ იმ თაობას ვეკუთვნით, რომელთათვისაც მაღალი ზნეობა სანუკვარი მცნება გახლდათ, რომელთათვისაც ქალი – ქალი იყო და კაცი – კაცი, დედა კი ამ არცერთ ამ კატეგორიას არ ეკუთვნოდა, იგი, უბრალოდ, იყო – **დედა!**

ჩვენი სიყმაწვილისას ვერსად გაიგონებდი ბილწად წამოროშილ **"ჩემი დედა..."**-ს, რადგან ჩვენთვის დედა ღვთაება გახლდათ, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც მამები დიდ სამამულო ომში დაგვეღუპა და ყოველნაირად დედებზე ვიყავით მინდობილი.

მე და დედას მამის დაღუპვის ფურცელი არ მოგვსვლია – **"უგზო-უკვლოდ დაიკარგაო"**, იუწყებოდა სამხედრო კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ბარათი. იმ დროს ყველამ კარგად იცოდა, თუ რა მოხდა ქერჩში, სადაც საბჭოთა სარდლობის დანაშაულებრივი ქმედებისა თუ უმეცრების მიზეზით რამდენიმე დღეში 170.000 ქართველი მეომარი მტრის ჭურვებისაგან დაიღუპა, ან ზღვაში ჩაიხრჩო. ისიც იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ქერჩის ფრონტზე ჯარისკაცის **"უგზო-უკვლოდ"** დაკარგვა, მაგრამ მაინც არსებობდა ერთი მინავლებული, მაგრამ მაინც იმედი – იქნებ მართლა დაიკარგა და ოდესმე გამოჩნდება?

სწორედ ეს იმედი ასულდგმულებდათ სამამულო ომში წასულთა მომლოდინეებს. იქ კი, სადაც არის იმედი, ყოველთვის არის მორალური, სულიერი და ზნეობრივი სიმტკიცე, შეურყეველი მორალი, მომავალი თაობისადმი სიყვარული და რწმენა...

დედა მამაჩემს ელოდა არა როგორც ოდაბადედან შორს გადახვეწილ და მოუსავლეთში ჩაჩეხილ ადამიანს, არამედ როგორც ოჯახის უფროსს, რომელიც დილით სამსახურში გავიდა ოჯახიდან და საღამოს უეჭველად უნდა დაბრუნდეს სახლში. ამიტომ, ერთხელ, თბილისში, ვერის უბანში გაზრდილ 12 წლის ბიჭს გამომიცხადა: **"ჩემი სირცხვილი იქნება, მამაშენი რომ დაბრუნდება და შეიტყობს – მეგრული არ იცი, ამიტომ, ყველა საზაფხულო არდადეგებს სამეგრელოში გაატარებო".**

ასე ვისწავლე მეგრული!

შეიძლება ციდან ვარსკვლავებს არ ვწყვეტ და ენათმეცნიერებაზე პრეტენზიას ვერ განვაცხდებ, მაგრამ, იმდენი მეგრული მაინც ვიცი, რომ სხვების საუბრის არსი გავიგო, რაც თბილისში დაბადებული და გაზრდილი ადამიანისათვის მთლად ურიგო საქმე არ უნდა იყოს! სწორედ ეს გახლავთ, ჩემი მხრიდან, მშობლების ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემა!

აი, ასეთ ატმოსფეროში ვიზრდებოდით ჩვენ, ხოლო გვზრდიდნენ არა გაქსუებულ მშობელთა მიერ დაქირავებული უცხო გადიები, არამედ საკუთარი დედები, რომლებიც დღედაღამ თავაუღებლად შრომობდნენ, რათა ჩვენთვის არაფერი მოეკლოთ და მამით ობლობა არ ეგრძნობინებინათ.

ამიტომაც გამოირჩევა ჩემი თაობის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმეტესობა ზნეობრივი და მორალური მდგრადობით, წინაპართა წარუშლელი ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემით, ქართული ეროვნული ტრადიციებისადმი ლამის ფანატიკური ერთგულებით...

უფრო ლამაზი და სანუკვარი არაფერი მეგულება დედამიწის ზურგზე!

სწორედ ეს უკარგავს მოსვენებას ქართველთაყლაპია მტერს, სწორედ ამიტომ მიგვაკუთვნა არაქართველმა ხელისუფალმა **"ჩასარეცხთა"** კატეგორიას...

ახლანდელმა ხელისუფლებამ კი უპირველესად მომავლის იმედი მოუსპო საზოგადოებას, რათა იგი ჯერ გაეთითოკაცებინა, შემდეგ კი ზაფხულის მზის გულზე დაგდებული პლასტელინივით მოქნილი და იოლად დასამორჩილებელი გაეხადა. ვისი გახრწნაც მოაწრეს, ისინიც საკმარისნი არიან საიმისოდ, რომ ქვეყანას სამუდამოდ მოუსპონ მომავალი. ჩვენნაირი ხალხი ამ ხელისუფლებას არ სჭირდება, მათ მხოლოდ საკუთარი დედის მაგინებელი და კახპად ამაღიარებელი დეისაძეები სჭირდებათ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარი არაკაცების დედამიწის ზურგზე მოვლინება იმ დედების ბრალია, რომელთაც საკუთარი პირმშოს ერთ მოფერებას გარეგარე წანწალი და ღამის კლუბებში გავის ქნევა ურჩევნიათ.

ყველა ნორმალური შვილი იმაზე ნანობს, რომ თუნდაც ასი წლის ასაკს მიღწეული დედა სიკვდილისაგან ვერ იხსნა, რათა კიდევ რამდენიმე დღით მაინც ჰყოლოდა გვერდით. ეს უჯიშოები კი საკუთარ დედას დღეში რამდენჯერმე ჰკლავენ. სიკვდილზე მეტი სასჯელი არ არის დედისთვის, შვილი რომ საჯაროდ კახპად და მეძავად გამოაცხადებს!

როგორც ამბობენ: ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა! ავადსახსენებელი ერეკლე დეისაძე (არა და, როგორი კაცის სახელს არცხვენს ეს მართლა გადაგვარებული), რომელსაც აღვირახსნილ პროპაგანდას უწევდნენ ტელეარხები **"რუსთავი-2", "იმედი"** და სიბინძურის მსახური სხვა საშუალებები, ზუსტად იმ ხის ქვეშ ჩამოვარდა, რასაც მისი მშობლები, ნათესაობა და სამეზობლო ჰქვია და, დათა თუთაშხიასი არ იყოს, მათზე უკეთესი რატომ უნდა გამოსულიყო ნეტა?!

რას ვერჩით იმ დეისაძეს, რომელმაც თავის უბადრუკ ნაწარმოებში მისსავე უბადრუკი მშობლებისა და ნათესავების ორგიული **"წიაღსვლები"** აღწერა?

ასე ესმის კაცს სამყაროს გადმოძახილი და მართლა შუა საუკუნეებში ხომ არ ვცხოვრობთ, ამნაირ უბადრუკ დეისაძეებს თავიანთი ნაჯღაბნები შემოვულაგოთ გარშემო, ცეცხლი წავუკიდოთ და **"აუტოდაფე"** მოვუწყოთ?

მას საკუთარი ბალღამი და არაკაცობა მოუღებს ბოლოს, თუ მანამდე სხვა ნორმალური ადამიანები არ გაისარჯნენ!

მე და ჩემს თანატოლებს კი ის გვადარდებს, რომ, რაც უფრო მეტ სიბინძურესა და არაკაცობას ვაწყდებით, მით უფრო გვრცხვენია საკუთარი დედების ხსოვნისა და მძიმე დანაშაულს ვგრძნობთ მის წინაშე, რომ ადრევე არ გავუჭყლიტეთ თავი იმ გარეწარს, რომელიც თავისი ბინძური კალმით, ფაქტიურად, ყველა დედას აყენებს დიდ შეურაცხყოფას.

მაგრამ, ალბათ მალე ყველა პატიოსანი ქართველი ადამიანი აისრულებს გულისწადილს და სათანადო პასუხს გასცემს ქართული სულიერების შემბღალავ არაკაცებს...

ახლა ნუგეშად ისდა დამრჩა, რომ დედის საფლავზე მოძალებულ ბალახს ვებრძოლო და ძირიანად ამოვთხარო ხოლმე. მაგრამ, მაინც ამოდის!

ამოდის ბალახი და თითქოს მეუბნება: რას მერჩი შე დალოცვილო, მე ხომ იმ მკერდის ანაორთქლით ვარ ნასაზრდოები, შენ რომ თოთოობისას გკვებავდაო.

ალბათ მართალიცაა, მაგრამ მაინც ვებრძვი იმ ბალახს, რომლის ფესვებმაც არარაობად უნდა აქციონ ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანის სხეული.

სული კი მუდამ ჩვენთან დარჩება, რადგან სწორედ მშობელი დედის მიერ შთაბერილი სული გახლავთ ჩვენი მორალისა და ზნეობის ქვაკუთხედი.

მართლაც რომ საცოდავია ის, ვინც ეს არ იცის!

ბოლოსიტყვაობა – 1941 წელს, თბილისში, ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემმა – **შალვა ჯალაღონიამ** 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1941 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მაგრამ ვიდრე მოსკოვში საკავშირო საატესტაციო კომისია მეცნიერებათა კანდიდატის წოდებას დაუმტკიცებდა (რაც, როგორც მეცნიერ, მას ავტომატურად აძლევდა ჯავშანს), დიდი სამამულო ომი დაიწყო. მამა წავიდა ომში და... უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

უფროსების გადმოცემით ვიცი – ისეთი მედგარი ადამიანი იყო, ჯავშანი რომ ჰქონოდა, მაინც მოხალისედ წავიდოდა ფრონტზეო!

14 ოჯახი ვცხოვრობდით პეტრიაშვილის ოცდაცამეტ ნომერში მდებარე ეზოში. ეს იყო თოთხმეტი მეგობარი ოჯახი, რადგან უერთმანეთოდ ისედაც გაგვიჭირდებოდა თავის გატანა როგორც ომის, ასე ომისშემდგომ მძიმე წლებში. ერთ ოჯახს ქვასანაყი ჰქონდა, მეორეს – ნავთქურა, მესამეს – დიდი ქვაბი და ა.შ. ერთი ოჯახი რომ წასულიყო სადმე სტუმრად და კარი დაეკეტა, ნახევარზე მეტი ხალხი უსადილოდ დარჩებოდა, ამიტომ, არცერთი მეზობლის სახლის კარი, არასოდეს, გასაღებით არ იკეტებოდა...

სადილობის შემდეგ მთელი სამეზობლო ეზოს მოეფინებოდა ხოლმე – თამაშობდნენ ნარდს, შაშს, ჭადრაკს, დომინოს, **"დურაკას"**...

უბანს ეთნიკური აზერბაიჯანელი ფოსტალიონი სულიკო ემსახურებოდა, ინვალიდი, მარჯვენა ხელი მაჯაში ჰქონდა წაკვეთილი. მისი ოჯახი ყარაიაზში ცხოვრობდა, ახლა რომ გარდაბნად იწოდება. თურმე ბავშვობაში ჩიტის ბუდეს წაეტანა კვერცხების ამოსაღებად, რომელშიც შხამიანი გველი ყოფილა მოკალათებული და თითზე უკბინა. იმ დროს რაიონებში სასწრაფო სამედიცინო დახმარება არ მოქმედებდა და ვიდრე გიურზასაგან დაგესლილ ბავშვს ქალაქში ჩამოიყვანდნენ, ალბათ დაიღუპებოდა. მამამისმა სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, წამიერად მაჯასთან მოკვეთა ხელი ნაჯახით და ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა. ამის შემდეგ სულიკო ფოსტალიონი იყო ჩვენი უბნის გამხარებელიცა და დამამწუხრებელიც. ხან მოლოცვის ბარათს მოგვიტანდა, ხან კი...

– ომის დროს კინაღამ თავი დავანებე სამსახურს, – მითხრა ერთხელ სულიკომ, – ვინმეს დაღუპვის ცნობას რომ ოჯახში მივიტანდი, ისე შემომატირებდნენ, თითქოს ბრალი მიმიძღოდა ალმასივით ბიჭების დაღუპვაში. ახლა კი, შედარებით მშვიდად ვმუშაობ.

სულიკო ისეთი რუდუნებით ინახავდა ხოლმე სიკვდილის ბარათების საიდუმლოს, როგორც მღვდელი ინახავს აღსარების საიდუმლოს.

– მეც ხშირად შემიგდია სიკვდილის მაუწყებელი ბარათები ცეცხლში! ელოდოს ჭირისუფალი სიკვდილამდე თავისი საყვარელი ადამიანის ომიდან დაბრუნებას, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიაჩნია. ძეხორციელი ხომ იმედით სულდგმულობს!..

ჩვენს მეზობლად მექვაბიშვილების ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი იყო მხცოვანი დედა – მუდამ თალხით მოსილი ფედოსი მექვაბიშვილი, რომელსაც ქალ-ვაჟი ჰყავდა. მესამე შვილიც ჰყოლია – ალი მექვაბიშვილი, მაგრამ დიდ სამამულო ომში დაკარგულა უგზო-უკვლოდ. ახლა ეს მოხუცი ქალი ომში წასული შვილის მოლოდინით სულდგმულობდა, თვალი მუდამ კარისაკენ ეჭირა.

– შავები ქმრის დაღუპვის შემდეგ აღარ გამოხდია, თორემ სხვა მხრივ რა მაქვს თალხებით სასიარულო, ჩემი ალი მალე დამიბრუნდება და მაშინვე გავიხდი თალხს, ბავშვს ასე შავებით მოსილი ხომ არ შეეეგებები! – გვიხსნიდა ბავშვებს და ყველანი ვგრძნობდით, რომ ამ სიტყვებით საკუთარ თავს უფრო ამხნევებდა.

წლები წლებს მისდევდა, მაგრამ ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული შალვა ჯალაღანია და ალი მექვაბიშვილი არსად ჩანდნენ. დაბერდა ფედოსი მექვაბიშვილი, ძველებური სიმარდით ვეღარ ადიოდა კიბეებზე, მალე საერთოდ ჩავარდა ლოგინად და ერთ დღეს იმდენად ცუდად შეიქმნა, რომ სასწრაფო დახმარების ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს – ორიოდ საათი თუ იცოცხლებს, დამდნარია ასაკმოძალებული ქალიო.

რა იცოდნენ იმ ექიმებმა, რომ ამ კაფანდარა ქალს ასაკზე მეტად ის დარდი ჰქონდა მოძალებული, რომელსაც საკუთარ თავსაც კი არ უმხელდა.

დიდი ამაგი ჰქონდა სულგანათლებულ ფედოსის ჩვენს მამადაკარგულ ოჯახზე და თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ სიკვდილის სარეცელთან დავმდგარიყავი. ერთიანად მიფერფლილი იყო, თვალზე ცრემლი უბრწყინავდა, ოდნავ შესამჩნევად სუნთქავდა, თვალი გაახილა, ოთახს მზერა მოავლო და ჩანავლული ხმით თქვა:

– ყველანი გარეთ გადით, როლანდისთან დამტოვეთ მარტო.

როცა ორნი დავრჩით, ხმის კანკალით მითხრა:

– ბალიშის ქვეშ ბარათი დევს, შიგ მამაშენის დაღუპვის ცნობაა, არ მინდოდა დედაშენისთვის გული მომეკლა და სულიკო ფოსტალიონს საიდუმლოდ გამოვართვი. მას მერე ვინახავდი. ახლა, არ მინდა ეს დარდი საფლავში წავიღო... – ამოიკვნესა და თავისთვის ჩაილაპარაკა: – ნეტავი ჩემი ალი მანახა ერთი წუთით...

ღრმა სიბერემდე იცოცხლა დედაჩემმა, მაგრამ არასოდეს მიგრძნობინებია, რომ მე უკვე აღარ ველოდებოდი მამაჩემს. დედა 2001-ში გარდაიცვალა და საფლავში ჩავატანე მამაჩემის დაღუპვის ცნობა. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ორივე მშობელს ერთდროულად ვასაფლავებდი...

რამდენიმე დღის შემდეგ დედას ძველ პორტფელში შენახული ქაღალდების გადათვალიერება მომინდა, რომელსაც იგი რუდუნებით უვლიდა. მამაჩემის წერილები იყო, ახლობელთა ბარათები, ძველი ყავლგასული ობლიგაციები და რაღაც რუსულენოვანი ტექსტით შევსებული ბარათი. მეცნო ეს ბარათი – ზუსტად ისეთი იყო, ფედოსი დეიდამ რომ მომცა, მამაჩემის დაღუპვის უწყება.

"საბჭოთა არმიის სერჟანტი ალექსანდრე მექვაბიშვილი 1942 წელს გმირულად დაიღუპა სევასტოპოლის მისადგომებთანო", იუწყებოდა სამხედრო კომისარიატი. ახლა მივხვდი, რატომ გვიმალავდა დედაჩემი საგულდაგულოდ ამ პორტფელს ფედოსის გარდაცვალების შემდეგაც კი. დედაჩემმაც ააცილა ფედოსი მექვაბიშვილს უმრწმესი შვილის ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული სიმწარე და პირმშოს მომლოდინე იმედიან ადამიანად გაისტუმრა ამ წუთისოფლიდან.

ორივენი გულწრფელი და უაღრესად წესიერი ადამიანები იყვნენ, სიცოცხლეში არასდროს უთქვამთ სიცრუე. მხოლოდ ერთხელ იკადრეს, რომ ჭეშმარიტება დაემალათ ერთმანეთისათვის, მაგრამ რამხელა ჰუმანურობით იყო გამსჭვალული მათი ეს სიცრუე!

მეორე დღეს ბარათი ავიღე, ფედოსი დეიდას საფლავთან მივედი, თავთით სანთელი დავუნთე, შეწუხებისათვის ბოდიში მოვუხადე, თითებით მიწა ამოვჩიჩქნე და შვილის დაღუპვის ცნობა მკერდზე დავამარხე.

ნეტავი თუ იგრძნობდა რამეს?

ალბათ იგრძნობდა, რადგან იმ ბარათის სახით მას ხომ დიდი ხნის ნანინანატრი შვილი დაუბრუნდა!

ამიტომ, გაუფრთხილდით დედებს, ვიდრე ჯერ კიდევ თუნდაც მათი სუნთქვა გათბობთ!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის წევრი

P.S. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ტრაგედიის მოწმე გავხდი. გმირთა მოედანზე შუახნის ქალს სატვირთო მანქანა საშინელი სისწრაფით დაეტაკა და შორს მოისროლა. შოკში ჩავარდნილი წაქცეული ქალი გონს რამდენიმე წამით მოვიდა და, ვიდრე სიკვდილისწინა აგონია გათანგავდა, პირველი, რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ კაბა გაისწორა, უხერხულად ხომ არ გამოვიყურებიო. რამდენიმე წამში გული გაუჩერდა...

ასეთი დედები გვყავდა!

ჩემი ნენე

დედაშენი რვა ნომერ კენტს აბოლებს,
ჩემი ნენე ჭადზე ასვამს ჯვარებს...
დედაშენი შარვლით ტაბარს ამდორებს,
ჩემი ნენე ჩადრში მალავს ხატებს...
დედაშენი „მერსედესით“ დადის და,
ჩემი ნენე მიუძღვება გუთანს...
დედაშენს „ჟადორეს“ სუნი ასდის და
ჩემი ნენე ბალახის სუნს სუნთქავს...
თქვენთან როცა რიჟრაჟია, მაშინ
ჩვენთან უკვე სულის ორთქლი დგანა,
ბილბორდები გიშრიალებთ ქარში,
ჩვენს სოფელში იბურძგლება ყანა...
დედაშენის ვარცხნილობა „კარეა“,
ჩემი ნენე წელზე იშლის დალალს...
ლეჩაქიდან მხოლოდ თვალებს აჩენს,
დედაშენი მხოლოდ თვალებს მალავს...
ჩემი ნენე წარსულიდან ხვნეშის,
დედაშენი ევროპულად ოხრავს...
თქვენთან ახლა მოდაშია სექსი,
ჩვენთან ბავშვი კვლავ წეროებს მოჰყავთ...
დედაშენი ეშმაკის გზას იბედებს,
ჩემი ნენე სამოთხის გზას გაშლის...
დედაშენი თორმეტ აბორტს იკეთებს,
ჩვენ კი უკვე თორმეტნი ვართ სახლში...
ვფიქრობ ასე, ვსლუკუნებ და მტკივა,
სურვილები განცდებს ვეღარ მართავს...
დედაშენი – ქართველ ქალის სახეა,
ჩემ ნენეს კი ეძახიან თათარს (?)...

როინ აბუსელიძე,
აჭარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

“გალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

(იხეჭდება „ილორის“ 133 ნომრიდან)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა.

პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.

აკადემიის რექტორი მუდამ ცდილობდა პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ახლო ურთიერთობას. თავს არიდებდა კონფლიქტებს. დასჯის სანაცვლოდ მიმართავდა შერიგებას, რითაც აღწევდა მიზანს. ყველა ამჩნევდა მის გამორჩეულ ზრუნვას წესრიგისათვის. როცა ვინმეს სურდა განსხვავებული აზრის გამოთქმა, არ ხდუდავდა და თავადვე ღებულობდა მასში მონაწილეობას...

1897 წლის ნოემბერი იყო, გვამცნობს მწერალ ი. ვართაგავა, რომ სასწავლებელში ჟანდარმერიის შეფი ხვისტოვი და მისი თანამხლები პირები მოვიდნენ. მათ აკადემიის რექტორს განუცხადეს, რომ სასწრაფოდ უნდა მოვაწყოთ თქვენი დაწესებულების ჩხრეკაო. ცნობა მაქვს აკადემიის სტუდენტები აკრძალულ ლიტერატურას აგროვებენ და ინახავენო. რექტორმა მოახერხა რომ ჩხრეკას მასიური ხასიათი არ მიეღო. როცა ჟანდარმერია წავიდა, მერე დაიბარა თანაშემწე და მისი მეშვეობით შეხვდა იმ სტუდენტთა ჯგუფს, რომლებიც მალავდნენ **„ბიბლიოთეკას“** და მათ დაავალა წიგნები მის ბინაში გადაეტანათ. ხოლო ადგილზე დაეტოვებინათ ის გაზეთები და წიგნები, რომელთა კითხვა დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ამის გამო სტუდენტებში ამბობდნენ, გაუგებარია პროფესორი ასე რად იქცევაო. მან საჯაროდ გასცა კითხვას პასუხი:

„მე ვხელმძღვანელობ უბრალო მოსაზრებით, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ არალეგალურ ლიტერატურას არ შეუძლია გახადოს ადამიანი რევოლუციონერი, მეფისა და ეკლესიის მტერი და მოძულე. ამისთვის საჭიროა მთელი კომპლექსი სხვა ფაქტორებისა: წრე, ეკონომიკური მდგომარეობა, ფსიქიური, ავადმყოფური აგზნება და აფექტი... მე ვიცოდი არალეგალური ლიტერატურით სარგებლობდნენ სასწავლებელში. აკადემია ხომ უმაღლესი სასწავლებელია, სტუდენტები ფართო საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ემზადებიან. რა აზრი აქვს უკვე მოწიფული ადამიანს აუკრძალო ნებადაურთველი წიგნის კითხვა, სულ სხვა არის საშუალო სასწავლებელი, მართლაც ყოვლად დაუშვებელია არალეგალური ბიბლიოთეკის არსებობა. მე რექტორი სასულიერო სემინარიისა, არავითარ შემთხვევაში არ მოვიქცეოდი ისე, როგორც ვიქცევი აქ, აკადემიაში“.

ამით სარგებლობდნენ სტუდენტები. მათ შორის ქართველები. ბესარიონი მომხრე იყო **„დემოკრატიული“** უფლებების, ეცნობოდა რუსულ და ქართულ პრესას. ცხადია, დიდ და მრავალეროვან რუსეთში ერთგვაროვანი არ იყო პოლიტიკური შეხედულებები. სამღვდელოების ნაწილი აქტიურად თუ არა, უნებლიედ მონაწილეობდა მონარქიის მიერ გამოწვეულ ქაოსში.

ბესარიონის ოთახში ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი და არაქართველი სტუდენტები. მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, სასულიერო მოღვაწეობა და ნიჭიერება შერწყმული სიდარბაისლესთან, უქმნიდა გარკვეულ ავტორიტეტს.

1989 წლის იანვრის დასაწყისში, ნინოობის ბრწყინვალე დღის მოახლოებასთან დაკავშირებით ბესარიონმა, სთხოვა მესამე კურსის სტუდენტს ექვთიმე კაჭახიძეს, რომ სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ქართულად გადაეხადათ ნინოობის წირვა.

ექვთიმეს ბევრი არ უფიქრია. რადგან ეს იყო პირველი და სასიამოვნო შემთხვევა, როცა ურალში ქართველები ჩაატარებდნენ ნინოობის წირვას.

რუსი და ქართველი სტუდენტების ჯგუფმა მოამზადეს საგალობლები.

14 იანვარი კაზანში დიდოთვლობით აღინიშნა.

თეთრად გადაპენტილი ხეები, სახლები, ბუჩქები კოპწიაობდნენ.

ჯერ მკაცრი ყინვები არ დაეჭირა, თუმცა სიცივე თხუთმეტ გრადუსს მიუახლოვდა, რის გამოც კავკასიელები ფრთხილობდნენ.

რუსული ზამთარი, თეთრი ფარჩით მორთულ უმშვენიერეს ფერადოვნებას ქმნის.

ციგურაობა, გუნდაობა, სრიალი, ცხენშებმული **„სანკები“** – ალაღებს სულსა და ამადლებს განწყობილებას.

დილით, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, აკადემიის ეკლესიაში მოვიდნენ.

ქართველ სტუდენტებს შინაგანი ღელვა არ ეტყობოდათ, თუმცა განცდის გარეშე შეუძლებელი იყო წირვის დაწყება... იქნებ ბესარიონის სიმშვიდე გადაედოთ.

ნინოს ხატი დაასვენეს ანალოღიაზე.

დიაკვანმა ექვთიმემ მიმართა მღვდელს – **გვაკურთხენ მეუფეო!**

მღვდელი – **კურთხეულ არს მეუფება, მამისა, და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე ამინ!**

გუნდმა დაიგუგუნა – **ამინ!**

დიაკვანი – **მშვიდობით, უფლისა მიმართ ვილოცოთ!**

გუნდი – **უფალო შეგვიწყალენ!**

დიაკვანი – **ზეგარდმო, მშვიდობისა და ცხოვრებისათვის, სულთა ჩვენისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ!**

გუნდი – **უფალო შეგვიწყალენ!**

პირველი კვერექსის წაკითხვის შემდეგ გუნდმა პირველი ანტიფონი შეასრულა და ასე გაგრძელდა სამჯერ.

ცხრა ნეტარება შეასრულა გუნდმა.

სასუფეველსა შენისა მომიხსენენ ჩვენ უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა და რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა...

მღვდელი და დიაკვანი გავიდნენ ჩრდილოეთის კარიდან და აღსავლის კარიბჭესთან შეჩერდნენ.

მღვდელი აღმოსავლეთისაკენ პირით დადგა და გამოსახა ჯვარი.

გუნდმა თქვა: **ალილუია, ალილუია, ალილუია.**

შემდეგ მედავითნემ წაიკითხა წმინდა ნინოს ტროპარ-კონდაკი.

ასამადლებელი თქვა მღვდელმა.

გუნდმა იგალობა: **წმინდაო ღმერთო.**

მედავითნემ წაიკითხა სამოციქულო.

დიაკვანმა სახარება...

მამა ბესარიონის ინიციატივით მოხდა სასიამოვნო მოვლენა.

ამ ფაქტის გამო ცნობები გამოქვეყნდა რუსულ და ქართულ პრესაში. აი, რას ამცნობდა საზოგადოებას გაზეთი **„ივერია“**:

„1898 წლის 14 იანვარს, ნინოობის დღეს, ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ქართულად გადახდილი იქნა წირვა. წირვა I კურსის სტუდენტმა ბესარიონ ხელაიამ, III კურსის მთავარდიაკვანმა (ერობაში ექვთიმე კაჭახიძე) თანამსახურებით.

“წირვაზე გალობდნენ ტფილისი სემინარიის მოსწავლეებლად ნამყოფი ქართველი და რუსი სტუდენტები და რამოდენიმე საგალობელი ქართულის კილოთი იგალობეს. ამ ამბის გამო რუსული გაზეთი აღნიშნავს, განსხვავებასა და ღირსებას ქართულად წაკითხული სახარებისა, სამოციქულოსას და ნათქვამ ასამაღლებლებისა და კვერექტებისა. წირვას დაესწრნენ პროფესორები, აუარებელი სტუდენტობა და მათი ყოვლად უმაღლესობა, აკადემიის რექტორი.“

გაზეთი „ივერია“ 1898 წელი.

როცა საქართველოში მეტნაკლებად იზღუდებოდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, რუსეთში მისი შესრულება სითამამეზე მეტი იყო.

ამიტომაც სიხარულს ვერ ფარავდნენ ქართველი სტუდენტები რუსეთში: **„... ვინც ბესარიონს ახლოს იცნობდა,** – წერს ი. ვართაგვა, **– დარწმუნდებოდა, რომ ის უსათუოდ ნიჭიერი, განათლებული, უაღრესად პატიოსანი, კეთილი, სათნო უერთგულესი ამხანაგი და ადამიანი იყო... აღმოჩნდა, რომ არამც თუ ჩვენზე ნაკლებ უმეტესად ყოფილა ეროვნული და საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესებული, ისიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა სამშობლოში წარმოშობილ პოლიტიკურ ლიტერატურულ-კულტურულ ბრძოლის მსვლელობას. ჩვენი ისტორის პირველი წყაროებზე მუშაობდა და დაემზადებინა რამოდენიმე ისტორიული თუ სხვა ხასიათის ნარკვევი. რუსი სტუდენტებიც მალე დარწმუნდნენ, რომ ბესარიონი იყო დიდად მომზადებული და განათლებული პიროვნება; ორ სასემესტრო თხზულებაში მან მკაცრ პროფესორთა უაღრესად საპატიო შეფასება მიიღო“.**

ზემოთ უკვე ვწერდი, რომ ჯერ კიდევ, როცა ბესარიონი სოხუმში მღვდელმსახურებას ეწოდა, ქართულ გაზეთებში გამოჩნდა დაპირისპირება თერგდალეულთა და მომდევნო თაობას შორის, ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, რომლებიც გაზეთ **„ივერიის“** ირგვლივ შეიკრიბნენ და ერის გამოღვიძების, ახალი ქართული ენის დამკვიდრებისა და სხვა უამრავი სასიკეთო საქმიანობის თაოსნები იყვნენ დაუპირისპირდა გაზეთ **„კვალი“** ნოე ჟორდანიას მეთაურობით. **„კვალი“** ილიას ბრალ სდებდა ბოლო ჟამს მოდუნებას, დაძაბუნებას და ბევრ ქების გამო დაბნევას.

„მაგრამ რა ვქნათ შენც კაცი ხარ,
სიჭაბუკის ცეცხლი ქრება,
ამ ბოლო დროს დაგვიბერდი,
ხორცი ხარობს, სული დნება.“

ამგვარი სიტყვებით მიმართავდნენ აკაკის, ნიკოს, იაკობს, თუმცა განსაკუთრებული სიმწვავით ნაკვერჩხლებს აყრიდნენ ილიას შემოქმედებას. განიხილავდნენ მის ყველა ნაწარმოებებს და უბრალო შეცდომებსა და მხატვრულ სისუსტეებს უსვამდნენ ხაზს.

შენიშვნები ბევრი იწერებოდა, რომლებსაც **„ივერიის“** მესვეურები პასუხობდნენ, მაგრამ საზოგადოება მუდამ **„ახალს ელის, არსებულზე განსხვავებულს. მას მუდამ უჩნდება სიახლისადმი მიდრეკილება და აი, შესანიშნავი მწერლის ეგნატე ნინოშვილის გურიაში დასაფლავების დღეს, მის კუბოს შემოეკრიბნენ მესამე დასელები“**, ის თაობა, რომელიც ის, ის იყო ასპარეზზე გამოდიოდა. მათ გვერდით დადგნენ გიორგი წერეთელი, ნოე ჟორდანია და სხვები.

ბესარიონი სამოციანელთა მომხრე იყო და მათი ღვაწლის შეუფასებლობას სიბეცედ თვლიდა.

როცა ყაზანში სასწავლებლად ჩამოვიდა თაობათა დაპირისპირების თემა სტუდენტების ერთ ნაწილში აქტიური იყო, ერთმანეთს ეპაექრებოდა იპოლიტე ვართაგავა, როგორც **„ივერიის“** მომხრე და სერგო გორგაძე, მესამე დასელთა თავგამოდებული მოტრფიალე.

რადგან სტუდენტები ბესარიონის ოთახებში ხშირად იკრიბებოდნენ, მათი კამათი და აზრთა ჭიდილი იქ ხდებოდა.

– მე არ ვამტკიცებ, რომ ილიას შეცდომა არ აქვს – ამბობდა ვართაგავა – რომ იგი რომის პაპად მიმაჩნია, მაგრამ მისი ღვაწლი დიდია და მას ახლად გამოღვიძებული ახალგაზრდები ჯეროვნად ვერ აფასებენ. სახეაჭრელებული სერგო გორგაძე გაზეთ **„კვალს“** მარჯვენა ხელში აფრიალებდა და იძახდა:

– იყო ილია, მე გეუბნებით, რომ იყო. უკვე ამოწურა შესაძლებლობები და ახლა გაკოტრებული ინტელიგენტია.

– ცდები. რა აუგს ილაზე და თერგდალეულებზე ამბობდნენ ცილისწამებაა. ეტყობა **„კვალში“** მოღვაწეთ, წინასწარგანძრახვით სურთ ტალახი ესროლონ ღირსეულთ. რადგან საქთაველოში ასე იყო და არის... კორტნიან, ჯიჯგნიან ნიჭიერთ – საკუთარ მოსაზრებას იცავდა ვართაგავა

– ვერ ვამჩნევ, რომ **„ივერიის „** მოღვაწეობამ შედეგი მოიტანოს, მათს დროშაზე ერთი და იგივე დევიზია წარწელილი, პატრიარქალური კარჩაკეტილობა, ახალი ფორმის ბატონ-ყმობის აღდგინება, მისი დამკვიდრება. მათ მიმართულებას ლიტერატურაში უნდა ეწოდოს **„რეაქცია“**... გნებავთ დომხალი. ისინი ტახტზე წამოწოლილი ლუარსაბს ჰგვანან, რომლის გარშემო დარეჯანებია შემოკრებილნი.

მთელი მონდომებით და ხელების ქნევით ამბობდა გორგაძე.

იპოლიტე ვართაგავა სკამიდან წამოფრინდებოდა, ვეღარ მოითმენდა და პირდაპირ ამბობდა:

– ნოე ჟორდანიასა და გიორგი წერეთლის აზრები გარედან ანათებენ უცხო სიტყვებ-ტერმინებით, მაგრამ არ ათბობს, ბრწყინავს, მაგრამ არა ოქროს ბრწყინვალებით.

ასეთ დროს ბესარიონი მუდამ დინჯი და აუჩქარებელი ხმით ჩაერეოდა თურმე.

– მიაჩნია, რომ წარსულის უარყოფა და მოღვაწეობის დაუფასებლობა მართალი არ არის. ჯერ ჩვენ არ ვიცით, რასა იქმს ახლად გამოჩეკილი ახალი დასი. ღმერთს, ვთხოვ ერის სასარგებლოდ ეღვაწოს. თუმცა **„ივერია“** რეალურ ნიადაგზე დგას. სრულიად გასაგებ აზრებს გვაწვდის და ილუზიებს არ აყვება...

...სტუდენტთა პაექრობას თითქმის ერთიდაიგივე აზრები ახლდა მუდამ.

1899 წლის 24 იანვარს გაზეთ **„ივერიაში“** გამოქვეყნდა იპოლიტე ვართაგავას წერილი სათაურით **„ბაზრობა“ კვალისიტების რიხიანობა – ამპარტავნობა – ფანატიკურობა“** სადაც ავტორი წერდა **„ენის დაცვა, თავისებური კულტურა და ლიტერატურაა „იმისთვის“, ანუ ცარიელი სიტყვებია. ჩვენი ენა ეს არის, რომელიც ბაზარში მეფობს? ამბობენ ისინი. მე მკითხველო აქ კარიკატურას არ ვწერ. ეს სიტყვები თვითონ მოისმინა თქვენმა უმორჩილესმა მონამ ერთ-ერთი ვაუბატონისაგან“.**

ვართაგვა **„ერთ-ერთ ვაუბატონში“** სერგო გორგაძეს გულისხმობდა. ამ გამოქვეყნებულმა წერილმა კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა სერგოსა და იპოლიტეს შორის.

ბესარიონი შეეცადა მათ შერიგებას, რომ ადამიანური ატმოსფერო შეენარჩუნებინათ. აზრთა სხვადასხვაობის გამო მტრად კი არ მოკიდებოდნენ ერთმანეთს, არამედ ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება არ დაერღვიათ.

ახალგაზრდები ერთმანეთს დაემდურნენ, რასაც მოჰყვა იპოლიტე ვართაგავას უფრო ვრცელი წერილის გამოქვეყნება **„ივერიაში“.**

თურმე ბესარიონმა წერილის შინაარსი მოუწონა, თუმცა მკაცრი ტონის შესუსტება ურჩია მომავლისათვის, რომ **„მეორე მხარის“** გაღიზიანება კი არ გამოეწვია, არამედ ჩაფიქრება მოვლენებისადმი.

ამრიგად, დამრიგებლური ქცევით, უფროსი მეგობრის პოზიციებიდან რჩევებს ამბროსი სხვებისთვის არ იშურებდა. თავად კი წერდა მწვავე წერილებს და ნარკვევებს.

ბორის დავითაია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

რას ეტყვით თქვენ ერს და მომავალ თაობას

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

დღევანდელ საქართველოში გამეფებულ-მა მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა პირობებმა განსაზღვრა ის, რომ ასეულ ათასობით ადამიანი ლუკმა-პურის საძებრად გადახვეწილია საკუთარი სამშობლოდან. ასეთი უბედურება ქართველ ერს არასოდეს დასტყდომია თავს ჩვენი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

დღეს ეროვნულობის ცნებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მავანთათვის იგი საქილიკო გახდა და ძველმოდური აზროვნების ნიმუშად ითვლება. ახლა, ვიღას ახსოვს მშობლიური? ბავშვებს ლამის ინგლისურად ავადგმევინოთ ენა!

განათლება და სულიერი აღორძინება უნდა დაიწყოს დედა-ენით, მშობლიური კულტურით, ქართული სულიერებით, ჩვენი მართლმადიდებლობით; ამ გზით უნდა განათდეს ქართველის გონება და კვლავ გამოჩნდება გზა, რომელსაც ქრისტეს გზა ეწოდება.

საქართველოდან შორს, საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, ივერთა მონასტრის ბერები ძველად წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვილ იესოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უგალობდა. ბერძენი მგალობელი ურთავდა მისამღერს ყველასათვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო **"ნენანა"**. მათი სწავლებით **"ნენანა"** იგალობება მოსახსენებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ **"ნენანას"** უგალობდა აკვანთან თავის ღვთაებრივ ყრმას. ამ, ჩვენთვის ზეაღმატებულად სასიხარულო ამბავს აღწერს არქიმანდრიტი პორფილი, მოგზაურობისას ათონის მთაზე (**"პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სკიტებში"**, ნაწილი პირველი, გვ.71). **"ნენანას"** მხოლოდ ქართულ სამყაროში უმღერის დედა თავის ჩვილს, ამიტომაც, ეს სიტყვები უცნაურია სხვათა სმენისათვის, მაგრამ უცხოელ ბერებს ის დაუცავთ, რაც თავისთავად მიუთითებს ისრაელისა მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო კულტურული კავშირების შესახებ. ისრაელის ჩრდილოეთით მოქცეული ქვეყნები – კაპადოკია, პონტო, კოლხეთი და ივერია – ქართულ სამყაროს წარმოადგენდა, დასახლებული იყო ქართულად მოსაუბრე ტომებით (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, **"შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი"**, 1995 წელი, გვ. 3).

დღეს ჩვენი დედა-სამშობლო მასონებმა აქციეს ლაბორატორიად, ყველაფრის ცდა მიმდინარეობს ჩვენში, ასე გააფთრებულად გვებრძვიან იმიტომ, რომ კოლხეთი – საქართველო არის კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი, მისი სათავე, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა...

დადგა დრო, როცა ყოველმა ქართველმა უნდა აღიაროს და სიტყვით და საქმით დაამტკიცოს, რომ საქართველოში ამჟამად გაბატონებული რეჟიმი არის არაკანონიერი და ანტიქრისტიანულ-ანტიეროვნული. რომ მისი საქმიანობა ძირეულად ეწინააღმდეგება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს მომავალს.

ოფიციალური მონაცემებით, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ყოველ 1.000 ქართველზე 40 ახალშობილი მოდიოდა. დღეს ეს რიცხვი 10-11-ია. სიცოცხლის ხანგრძლივობამაც იკლო. გარდა ამისა, აფხაზეთში, სამეგრელოში, სამაჩაბლოში, ოფიციალური მონაცემებით, ათი ათასობით ადამიანია დაღუპული.

ერის წინაშე პასუხი უნდა აგოს ედუარდ შევარდნაძემ და მისმა მემკვიდრემ მიხეილ სააკაშვილმა, რომლებმაც სეპარატისტებთან ერთად სისხლის წვიმების ტბორად და დაუმარხავი ცხედრების საყობად აქცია ცხუმ-აფხაზეთი, სამეგრელო და სამაჩაბლო, რომლებმაც საომარ ავანტიურაში ჩათრეულ ადგილობრივ მოსახლეობას, თვალებში ნაცარშეყრილ და შეგინებულ **"საკუთარ ხალხს"** გაუსხვისა ისტორიული სამშობლო – მთელი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო და სამაჩაბლო, რომლებმაც ქვეყნის გაუპატიურება **"სახელმწიფო პოლიტიკად"** აქციეს, რომლებმაც გადაგვარების გზას გაუყენეს მთელი ქართველი ერი.

მართლაც, ვაი, თქვენ, ქართველო მეცნიერებო, ქართველო ინტელიგენციავ, პარტიებო, საზოგადოებავ! – ასე რამ დაგაჩაჩანაკათ, გადაგაგვარათ, რომ ქვეყანა თვალწინ ულმობლად იძირება, შველას ითხოვს და თქვენ კი ასე გულდამშვიდებით უყურებთ მას?! მჯერა, რომ არ არის შორს ის დრო, როცა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. მჯერა, რომ როცა გამოიდარებს, შავი ღრუბელიც გადაიწმინდება, ისევ აკიაფდება ცის კაბადონზე ელვარე ვარსკვლავები და მაშინ რას ეტყვით თქვენს ერს და მომავალ თაობას?..

ზურაბ გოგოხია-შელია,
ხელოვნებათმცოდნე,
დევნილი აფხაზეთიდან

ბათუმისათვის

რა შურთ ჩვენი? რომ სამშობლოს სხვას არავის
ვედავებით,
რომ სხვა ერთა აზატ ჩონგურს ერთ ტკბილ სიმად ჩვენც ავებით,
რომ ვუსინჯავთ ყველა ერსა ხმას, სახის ფერს, კბილს თუ კილოს...
და ამიტომ საქართველო განა უნდა გაიკილოს?
დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა –
ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და არამზადა.
ყველა-მეთქი! ვისაც გულში არ უღვივის წმინდა
გრძნობა,
ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს ვერასოდეს დაეყრდნობა –
და უნდათ, რომ საქართველო – ეს პატარა ნატვრის თვალი –
კვლავ გახადონ სხვისი მონა მორჩილი და
შენამკრთალი.
არასოდეს! ვიდრე ზეცა არ შეწყვეტავს მზის ჩანჩქერებს,
ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს და
შეაჩერებს,
ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,
არ მოკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს...
საქართველო კეთილია, უწყინარი, ჩუმი, წრფელი, –
მაგრამ თუ მის აზიზ სულში აფათურეს ბილწი ხელი...
საქართველოს ყველა უყვარს, იგი ყველას შეიხიზნებს, –
მაგრამ თუკი გველაძუებს ჩვენ შევატყობთ გველურ მიზნებს:
ავზავთდებით ისე რისხვით, ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად,
რომ მტერს ერთ კაცს არ დავურჩენთ მათი ამბის მოსათხრობლად,
არ იცით, რომ იალბუზი შემოსილი ყინვის ლოდით,
საიდანაც ცეცხლის ხორბლებს ჩვენ არასდროს მოველოდით,
დღეს აზვავდა, დღეს ცეცხლს ისვრის, დღეს ყინული დნება... ქრება...
და ყველაფერს, რაც ხელს უშლის, გადალეკავს, ემუქრება!
ჩვენც აგრე ვართ! ჩვენს ზღვა გულში ჩუმი ცეცხლი
ბუდობს ჯერე,
მაგრამ თუ კი გაგვახელეს? მაშინ მტერო, დაგვიჯერეთ,
რომ დავანთებთ ცეცხლის კოცონს, გავაჩაღებთ ცეცხლის რკალებს
და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის პოლიტიკურ მაჭანკალებს.
დე, იცოდნენ სხვის სამშობლოს ჩვენ არასდროს შევეხებით
და ჩვენსასაც არ დავუთმობთ, რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით!

იოსებ გრიშაშვილი,
1919 წელი.

ლექსი მოგვაწოდა ბატონმა ზურაბ ძობალიამ

„საქართველოში პროფკავშირები სერიოზული პრესინგის ქვეშაა!"

პოლონური **„სოლიდარნოსტის"** დელეგაცია, რომელიც საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების მხარდასაჭერად ჩამოვიდა, ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანა **„ჰერკულესს"** ეწვია და მომხდარს დეტალურად გაეცნო. დელეგაცია ხელისუფლების მიერ პროფკავშირის წევრების დაპატიმრებას და ქვეყნის შრომით კოდექსს უარყოფითად აფასებს.

ამასთან დაკავშირებით პოლონური **„სოლიდარნოსტის"** ხელმძღვანელმა პიოტრ დუდამ გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილთან ერთად პროფკავშირების ოფისში ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა.

კონფერენციის ფარგლებში პიოტრ დუდამ ქუთაისში ვიზიტის შედეგები შეაფასა და დამსწრე საზოგადოებას სამომავლო გეგმები გააცნო, რასაც პოლონეთი საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა და პროფკავშირების გაძლიერებისთვის გეგმავს.

„ყველაზე ცუდი, რაც აღმოვაჩინეთ შრომის კოდექსში, ეს არის ლიბერალური კანონი, რომელიც სუსტია და ის, პირველ რიგში, დასაქმებულ ადამიანებს შეეხება. სამწუხაროდ, ამ კანონის თანახმად, საქართველოში დამსაქმებელს მეტი უფლება აქვს, ვიდრე დასაქმებულს, მათი უფლებები არ არის თანასწორი და ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა თქვენს შრომის კოდექსში. ქუთაისში მოხდა იმ ადამიანების დაკავება, რომლებიც იყვნენ პროფესიული გაერთიანების წევრები. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ გაერთიანების წევრებს პრობლემები არ უნდა ექმნებოდეთ. ჩვენი შეფასებით, საქართველოში პროფკავშირები სერიოზული წნეხის ქვეშ მუშაობენ. ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოში პროფკავშირებს არ აღიქვამენ პარტნიორებად, პირიქით, ისინი ხელისუფლების მიერ მტრებად მიიჩნევიან. სინამდვილეში, პროფკავშირები მუშაობენ ხალხის კეთილდღეობისთვის და მათი კარგი მუშაობა სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს",– განაცხადა პიოტრ დუდამ.

„სოლიდარნოსტის" ხელმძღვანელმა გაერთიანებულ პროფკავშირებს სოლიდარობის ნიშნად უმაღლესი ჯილდო – ვერცხლის მედალი გადასცა, რომელიც თავისუფლების სიმბოლოს განასახიერებს.

„სოლიდარნოსტი" არის მკაცრი სტანდარტების მქონე ორგანიზაცია და მის მიერ გაერთიანებული პროფკავშირებისთვის გადმოცემული უმაღლესი ჯილდო იმაზე მეტყველებს, თუ როგორ არის აღქმული და შეფასებული საქართველოს პროფკავშირები პოლონური მხრიდან.

"მნიშვნელოვანია, რომ პოლონეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა. საქართველოსა და პოლონურ „სოლიდარნოსტს" შორის კი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არსებობს, რაც იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ კიდევ უფრო განვვითარდეთ",– განაცხადა ირაკლი პეტრიაშვილმა.

როგორც პიოტრ დუდამ აღნიშნა, არ შეიძლება ქვეყანამ ილაპარაკოს დემოკრატიასა და განვითარებაზე მაშინ, როცა პროფკავშირები ზეწოლას განიცდის. მსგავსი გზა წლების წინათ პოლონეთმაც გაიარა და ახლა დროა, იგივე გზა თანადგომით საქართველომაც გაიაროს.

პიოტრ დუდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა და საკუთარი შეფასებები და რეკომენდაციები გააცნო. პოლონური მხარე ხელისუფლებას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და დიალოგისკენ მოუწოდებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ **„სოლიდარნოსტი"** პოლონური პროფკავშირების გაერთიანებაა, რომელიც ლეხ ვალენსამ დააარსა და რომლის აქტიური წევრი და თავმჯდომარის მოადგილე პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი იყო. ორგანიზაცია 31 წელია, წარმატებით მუშაობს საზოგადოების ინტერესების დასაცავად და დღეისთვის 100-მდე ორგანიზაციას აერთიანებს.

„საქინფორმი"

ილია მეორე: დიდგორის ომი ჯერ არ დამთავრებულა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში წირვის აღვლენის შემდეგ მრევლს მიმართა. საკვირაო ქადაგებისას უწმიდესმა აღნიშნა, რომ **„დიდგორის ომი ჯერ არ დამთავრებულა და არც დამთავრდება, სანამ დედამიწა და საქართველო იარსებებს"**.

„ჩვენ იმით ვამაყობთ, რომ დიდგორი მოვიგეთ. მინდა, გითხრათ, რომ ეს ომი დამთავრებული არ არის. ყოველდღე ომია მსოფლიოში. დიდგორის ომი ჯერ არ დამთავრებულა და არც დამთავრდება, სანამ დედამიწა და საქართველო იარსებებს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ დღევანდელ დღეზე არ უნდა ვიფიქროთ. მთავარი არაა, რა ვჭამოთ, რა ვსვათ, როგორ გავერთოთ, ამიტომ ასეთ თემას გაძლევთ: მინდა, რომ თქვენ ძალიან ღრმად გააანალიზოთ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველო ხვალ, ემუქრება თუ არა საშიშროება, თუ მშვიდობიანი ცხოვრება იქნება",– ბრძანა ილია მეორემ.

პატრიარქის თქმით, **„დრო სამი კომპონენტისგან შედგება. წარსული უკვე წავიდა, ვერაფერს შეცვლით. აწმყო კი ისეთი სწრაფია, რომ ნათქვამი სიტყვაც უკვე წარსულია. მთავარი მომავალია. ერთი წინადადებაა, რომელზეც ყველა ქართველი ფიქრობს, ეს არის საქართველო ხვალ, ანუ როგორ წარმოგვიდგენია ხვალ საქართველო"**.

„ჩვენზე დიდი ერები იყვნენ და პირისაგან მიწისა აღიგავნენ. ჩვენ წარსული უნდა გავაანალიზოთ. სასწავლებლებში აუცილებლად ანალიტიკური აზროვნება უნდა შემოვიდეს, თორემ მრავალ შეცდომას დავუშვებთ", – ბრძანა პატრიარქმა და მრევლს **„უკვე დაშვებული შეცდომების გაანალიზებისკენ"** მოუწოდა.

საქინფორმი

ინგლისურის მასწავლებლების მსგავსად, ცურვის მასწავლებლებიც ჩამოვიყვანოთ?!



„ადამიანს, რომელსაც ამქვეყნად არაერთი ათეული წელიწადი უცხოვრია, ადრე თუ გვიან, გაუჩნდება სურვილი, გადახედოს განვლილ გზას... მეხსიერება ყოველთვის წარმოაჩენს გამორჩეულ სახელებს, ვისთანაც აკავშირებდა მეგობრობა, გარკვეული მოვლენები ან საერთო საქმენი. ჩემთვის ასეთი ადამიანი ვოვა გოიაშვილია, ჩემი მეგობარი, რომელსაც ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვიცნობ“.

ეს არის ციტატა ნიკოლოზ შაშკინის – ცნობილი იურისტის, ყოფილი წყალბურთელის წერილიდან, რომელიც შეტანილია **ვლადიმერ გოიაშვილის** წიგნში **„კუპალნიიდან“ „ლაგუნა ვერემდე“.** ჯერ კიდევ საღებავშეუშრობელი წიგნი ეს-ესაა გამოვიდა შპს **„ფავორიტ პრინტის“** სტამბიდან.

ვლადიმერ გოიაშვილი თბილისის საცურაო სპორტულ კომპლექს **„ლაგუნა ვერეს“** ოცდაათ წელიწადზე მეტია, უდგას სათავეში და, ცხადია, ბევრიც აქვს სათქმელი საქართველოში საწყლოსნო სპორტის ისტორიაზე თუ დღევანდელ პრობლემებზე.

„ყველა სტადია გავიარე, ყველაფერი გამოვცადე და, მგონი, ჩემი მოკრძალებული წვლილიც შევიტანე საწყლოსნო სპორტის განვითარებასა და წინსვლაში, ყოველ შემთხვევაში, ჩაძირვისგან გადავარჩინე“, – განაცხადა საქინფორმთან საუბარში ბატონმა ვლადიმერ გოიაშვილმა.

მაგრამ თვითკმაყოფილებას არ მისცემია და დღესაც თავგამოდებით ცდილობს სპორტის ამ სახეობებში არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

„მთავარი მაინც ცურვაა, – ამბობს იგი, – **რომელიც მძლეოსნობასა და ტანვარჯიშთან ერთად ოლიმპიური თამაშების ფუნდამენტური სახეობაა“.**

– საქართველოში 20 ათასზე მეტი მდინარე, ტბა, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წყალზე დგას. ბუნება გვიკარნახებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ცურვას ყველა უნდა დაეუფლოს. ეს არა მარტო სპორტის პრობლემაა, არამედ მოქალაქეთა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის ყოფითი აუცილებლობაა. ახალს არაფერს ვამბობ, როცა დაჟინებით ვიმეორებ, რომ ცურვის ცოდნა ადამიანს დაეხმარება ურთულეს მომენტებში, რაც წყლის სტიქიამ შეიძლება შექმნას, თვითონაც გადარჩება და სხვასაც გადაარჩენს. ჩემს წიგნში, რომელიც ახლახან გამოიცა, ვიხსენებ, რომ 12 წლის განმავლობაში **„ლაგუნა ვერეზე“** მეტ-ნაკლები სისტემატურობით ოჯახთან ერთად დადიოდა საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი. ესე იგი, მას კარგად ესმის, რომ ცურვა ნორმალური ცხოვრების აუცილებელი შემადგენელია. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რომ მისი მმართველობის პერიოდში ცურვის პოპულარიზაციას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ორი-სამი აუზის საჩვენებელი გახსნა საერთო სურათს არ ცვლის.

– არის კი საქართველოში მწვრთნელების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს ცურვის მასობრივად შესწავლას?

– ვინ ასწავლის ცურვას, ეს ცალკე პრობლემაა.

დაახლოებით 3 წლის წინათ შემოდის ჩემთან ახალგაზრდა კაცი, კოსტუმში ლამაზად გამოწყობილი, ჰალსტუხით, ერთი სიტყვით, კარგ ადგილზე მომუშავე მენეჯერი. მეუბნება – ამა და ამ სასტუმროდან ვარო და მიხსნის, რომ სასტუმროში აქვთ პატარა აუზი და მთხოვს, მივცე რჩევა მისი ექსპლუატაციის უკეთ გასაწევად.

ვეკითხები:

– ცურვა იცი?

– ცოტა ვიცი.

– თქვენი აუზი მარტო სტუმრებისთვის იქნება განკუთვნილი, თუ ქუჩიდანაც შეიძლება შემოვიდეს კაცი?

– ეს ჯერ არ გადაუწყვეტია ხელმძღვანელობას, მაგრამ უკვე ჩავატარეთ კონკურსი და სამი ლამაზი გოგო, რომლებმაც იციან ინგლისური, შევარჩიეთ და დავასაქმებთ ამ აუზზე.

– ბოდიში, იმ გოგოებმა იციან ცურვა?

– არ ვიცი.

ესე იგი, თურმე ინგლისურის ცოდნა საკმარისი ყოფილა აუზზე მუშაობისთვის. ცურვა იცი თუ არა, არავის აინტერესებს.

– შვილო, – ვეუბნები, – წადი აქედან. წკიპზე ხარ უბედურებასთან! რის ლამაზი გოგოები, რის ინგლისურის ცოდნა! იციან, როგორ უნდა მიხედონ ადამიანს, წყალში თუ ცუდად გახდა, რით უშველონ? ფაქტებით არის დადასტურებული, ადამიანი მუხლამდე წყალშიც რომ დამხრჩვალა.

გაიცინა.

ძალიან ამეშალა ნერვები, მაგრამ თავი შევიკავე და წყნარად გავუშვი.

ინგლისურის მასწავლებლების მსგავსად, ცურვის მასწავლებლებიც ჩამოვიყვანოთ?! სპორტის აკადემია აღარ არსებობს. ტექნიკუმი იყო, სადაც საშუალო დონის სპეციალისტებს ამზადებდნენ, ისიც აღარ არის. მწვრთნელების სკოლა გვქონდა, სადაც მწვრთნელ-პედაგოგებს ამზადებდნენ კონკრეტული მიმართულებით. ისიც მოშალეს.

იყო დრო, როცა მშობლები დილის 6 საათზე მოდიოდნენ, რათა 9 საათზე, სალაროების გახსნისთვის, რიგში პირველი ყოფილიყვნენ და შვილებისთვის ეყიდათ აბონემენტები.

პაატა ბურჭულაძე, ჩვენი სახელოვანი მომღერალი, მამამ მოიყვანა. მისი მწვრთნელი იყო ჯონდო მაჭარაშვილი. ჩვენი ბრწყინვალე მუსიკოსი, პიანისტი ლექსო თორაძე დედამ მოიყვანა, ქალბატონმა ლიანა ასათიანმა.

ბურთივით მრგვალი ბავშვები იყვნენ და, ხომ ხედავთ, მსოფლიო მნიშვნელობის რა დიდ ადამიანებად, უბადლო ხელოვანებად ჩამოყალიბდნენ.

აი, ესაა **„ლაგუნა ვერე“!**

– ახლა არ მოჰყავთ ბავშვები?

– მოჰყავთ, როგორ არა, მაგრამ აშკარაა, რომ ეკონომიკური პრობლემები მასობრიობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს.

– საქართველო, ბატონო ვლადიმერ, ყოველთვის აღიარებული იყო წყალბურთის ქვეყნად...

– იყო. ეს ტრადიცია, სამწუხაროდ, დავკარგეთ. წყალბურთი **„ლაგუნამდე“** საკმაოდ სახელმოხვეჭილი იყო. სხვა თუ არაფერი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ოთხ სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრები მესამე საპრიზო ადგილს არ ჩამოსცილებია. ამაში განსაკუთრებული წვლილი სახელოვან მწვრთნელ როსტომ ჩაჩავას მიუძღოდა. არ უნდა დავივიწყოთ მოსკოველი მწვრთნელის – აბრამ გილდის, დიდი ღვაწლიც.

ბავშვებთან მუშაობდა შესანიშნავი მწვრთნელი ვლადიმერ ბარნაბიშვილი.

დღეს რა ხდება? ჩამოჰყავთ წყალბურთის ოსტატები უცხო ქვეყნებიდან, უხდიან დიდ თანხას, რათა დაიცვან ქართული სპორტის ღირსება. ჩემთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია!

წყალბურთელთა ყველა თაობა პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული, თავი ჰქონდათ გადადებული. წყალბურთი ჭეშმარიტად ქართული იყო და წარმატებებიც საქართველოსთვის მოჰქონდა. ახლა ვიღაც გადამთიელმა უნდა იბრძოლოს საქართველოს სახელისთვის?! ვერავინ დამარწმუნებს, რომ ლეგიონერები ისეთივე შემართებით გამოვლენ საასპარეზოდ, როგორც ჩვენი გუნდები გამოდიოდნენ.

ფულით ნაყიდი წარმატება ისეთივე ფუჭი და უგემურია, როგორც ჭიანი ვაშლი, რომელიც ლპება და სხვა ჯანსაღ ნაყოფსაც გადასდებს თავის სიდამპლეს.

არადა, საქართველოში იყო და არის მიდრეკილება წყალბურთისადმი. იმ კატაკლიზმებმა, რომლებმაც ბოლო პერიოდში სერიოზული გავლენა იქონია ადამიანების შეხედულებებსა და ღირებულებებზე, ეს მიდრეკილება ვერ დააკნინა. პირიქით. რამდენი შემთხვევა მქონია, როცა ჩემთან მოსულან მშობლები და განუცხადებიათ: შემჭამა ჩემმა ბიჭმა (შვილმა, შვილიშვილმა), წყალბურთზე მატარეო! ვეუბნები, რომ ბავშვმა ჯერ უნდა ისწავლოს კარგი ცურვა. საქმეში ხარ? წყალბურთი უნდა, მორჩა და გათავდა!

საქართველოს წყალბურთის ისტორიაში იყო ერთი წელიწადი, როცა საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში საქართველოს ორიგუნდი თამაშობდა – **„დინამო“ და „ქარიშხალა“.** ამ საქმეში მნიშვნელოვანი იყო ვლადიმერ გოიაშვილის წვლილი. სამწუხაროდ, ისწელიწადი გამონაკლისად დარჩა. რატომ ვერ შევძელით ამის შენარჩუნება? ამ შეკითხვას ვლადიმერ გოიაშვილი ასე უპასუხებს:

– პირობების შექმნა და კადრები – მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაოსტატება. ეს არის, ჩემის აზრით, ის უმთავრესი ორი კომპონენტი, რაც წყალბურთში წარმატების მიღწევისთვისაა აუცილებელი. ვგულისხმობ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ კადრებს, ხოლო საწვრთნელი პირობები პროფესიონალებთან კონსულტაციით უნდა შეიქმნას და არავითარ შემთხვევაში – დილეტანტების კარნახითა და მითითებით.

საქართველო წყალბურთში მოდის დამდები იყო მთელ კავშირში. ვლადიმერ გოიაშვილი ასეთ ამბავს ჰყვება:

– თბილისელი კაცი მოსკოვში მოსკოვისა და თბილისის **„დინამოს“** შეხვედრას ესწრება. მაინცდამაინც ვერ არის წყალბურთში გარკვეული. იწყება თამაში, გააქვთ ბურთი. ადგილობრივი დიქტორი აცხადებს: ბურთი გაიტანა მშვენიერაძემ! ეს კაცი გახარებულია. კვლავ გამოცხადება: ბურთი გაიტანა გვახარიამ! ეს კაცი მეცხრე ცაზეა. შემდეგ: ბურთი გაიტანა ჩაჩავამ! საზღვარი არ აქვს ამ მაყურებლის ბედნიერებას – ქართველებს ზედიზედ გააქვთ ბურთები!

და არ იცოდა ამ უბირმა, რომ ეს ქართველები მოსკოვის **„დინამოს“** ღირსებას იცავდნენ!

დღეს ჩვენი პირველი გუნდისთვის ვერ შეგვირჩევია ოსტატები.

წლები დაიკარგა.

ათენის ოლიმპიადის წინ ოთხი წლით საწყლოსნო სპორტის ოთხი სახეობა – ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა (არაფერს ვამბობ ქალთა წყალბურთზე, რომელიც ჩაკვდა), სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა 74 ათასი ლარით, მაშინ, როცა ჩვენს წყალბურთელებს – ჭაბუკთა ნაკრებს, რომლებსაც წვრთნის ბრწყინვალე წყალბურთელი რეზო ჩომახიძე, მაიამიში წყალბურთელთა ტურნირში მხოლოდ ერთ ღონისძიებაში მონაწილეობა 60 ათასი დოლარი დაუჯდა.

სამაგიეროდ, წყლის თხილამურები, რაც ოლიმპიური სახეობა არ არის, იმავე ოლიმპიურ ციკლში ორჯერ უფრო მეტი თანხით – 150 ათასი ლარით დაფინანსდა. აშკარაა, რომ ეს ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვიღაც დიდჩინოსნის სასიამოვნოდ – წყალზე სასრიალოდ გამოიყო.

არადა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ორჯერ გაიმარჯვა რუსეთის პირველობაზე, ჯერ კონკურსგარეშე ვმონაწილეობდით, შემდეგ – როგორც სრულუფლებიანი წევრები.

ამ შეჯიბრებებზე ჩვენი გუნდი ნამათხოვრალი, ნასესხები ფულით დადიოდა... აი, ასეთი პარადოქსია.

პროფესიონალები ვახსენე ზემოთ. ვინმემ მიმართა მათ საკონსულტაციოდ, ახალ აუზებს რომ აშენებდნენ მაშინ? არა. არა და ააშენეს დრმა აუზები ქუთაისში, საჩხერეში, სხვაგანაც, ბავშვთა საჭყუმპალაოების გარეშე. სად უნდა ისწავლონ პატარებმა ცურვა? სად უნდა აღიზარდოს მომავალ სპორტსმენთა თაობა, საიდანაც საუკეთესოთა შორის საუკეთესონი დააკომპლექტებენ ქვეყნის უპირველეს გუნდს?

– კეთდება ამ საქმის მოსაგვარებლად რამე?

– რა გიპასუხოთ, როცა პროფესიონალებს ახლოს არ გვიკარებენ?!

პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე დაუყენებიათ საკითხი – ბავშვებმა ცურვა უნდა შეისწავლონო. თურმე უნდა შეისწავლონ! დავუკავშირდი **„ლელოს“** მთავარ რედაქტორ თენგიზ განეჩილაძეს – გამიგე-მეთქი, ვთხოვე, **„ჩარეცხილებში“** შევდივარ თუ არა? ნუთუ ჩემი გამოცდილება არაფრად ღირს, საკონსულტაციოდ რომ არ მიწვევენ? იქნებ, რაღაც ჭკვიანური ვუთხრა...

ერთხელ სამხედრო აკადემიის კურსანტები მოვიდნენ ჩემთან. აპრილია.

– ძია ვოვა, – მეუბნებიან, – ჩვენ გვითხრეს, რომ თბილისელი კაცი ხართ და გაგვიგებთ. სამ თვეში აკადემია უნდა დავამთავროთ, სამხედრო ნაწილებში გავანაწილებენ. ერთმა პრობლემამ შეგვაწუხა: ბევრმა მომავალმა ოფიცერმა ცურვა არ იცის. დაგვეხმარეთ.

კურსანტებმა გამოიჩინეს ინიციატივა.

დახმარება, რა თქმა უნდა, აღვუთქვი. რამდენიმე დღეში ოფიციალური წერილით მოვიდნენ.

მოიყვანეს კურსანტები, შევამოწმეთ, და აღმოჩნდა, რომ მათმა ნახევარმა ცურვა მართლაც არ იცოდა.

შევკრიბე ჩემი მწვრთნელები, ვთხოვე, ვინაიდან დრო შეზღუდული იყო, დაეტოვებინათ კლასიკური მეთოდიკა და ესწავლებინათ ამ ბიჭებისთვის 25 მეტრის გაცურვა მაინც – გინდა ბაყაყურით, გინდა ქუთაისური, გინდა მტკვრის ყაიდით, ვისაც რა გამოუვიდოდა, ისე.

შევქმენით კურსანტების ორი ჯგუფი, ვასწავლეთ მათ, ვინც არ იცოდა და, ბოლოს და ბოლოს, გავაცურვინეთ ის დათქმული 25 მეტრი.

დავანებოთ სპორტს თავი. ცურვა ხომ ჯანმრთელი თაობის აღზრდის უპირველესი საშუალებაა, თუნდაც, სკოლიოზის (რომლითაც ბავშვების, სულ მცირე, 60 პროცენტია დაავადებული) სამკურნალოდ, პროფილაქტიკისთვის... ამ დაავადების თავიდან აცილების უებარი წამალია.

P.S. წიგნში, რომელიც ამ ინტერვიუს ჩამორთმევის საბაბი გახდა, ვლადიმერ გოიაშვილი განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიებს ცნობილ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც კრიტიკულ მომენტში, როცა შემთხვევით ადამიანებს შეეძლოთ „ლაგუნა ვერეს“ ხელში ჩაგდება, შეისყიდა სპორტკომპლექსი და კვლავ თბილისელთა სამსახურში ჩააყენა.

ესაუბრა ლევან სულაშვილი
საინფორმაციო-ანალიტიკური
სააგენტო „საქინფორმი“

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჯანი რივერა

დაიბადა 1943 წლის 18 აგვისტოს, იტალიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ალესანდრია"**, **"მილანი"** იტალია.

1960-იანი წლების დასაწყისში ჯანი რივერას **"ოქროს ბიჭუნას" (banbino d,oro-**ს) უწოდებდნენ. იგი ყველა იმ თვისებებით იყო უხვად დაჯილდოებული, რომელიც ძლიერი ნახევარმცველისათვის იყო აუცილებელი: სისწრაფით, ტექნიკით, ამოუწურავი ენერგიითა და ფანტაზიით, ზუსტი დარტყმით, უზუსტესი პასით... ჯანი რივერა სულ 15 წლის ყმაწვილი იყო, როცა **"მილანმა"** იგი საფეხბურთო კლუბ **"ალესანდრიისაგან"** 65.000 ფუნტ სტერლინგად შეიძინა, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა გახლდათ. თუმცა, ხელშეკრულების თანახმად რივერას ძალისხმევის გამოყენების უფლებას ორივე გუნდი იტოვებდა. ეს გახლდათ უფრო **"სესხება"**, ვიდრე გაყიდვა. 1960 წელს კი მილანმა საბოლოოდ **"გამოისყიდა"** რივერა. მან 16 სეზონი გაატარა **"მილანში"**, რა პერიოდის განმავლობაში ორჯერ დაეუფლა საკონტინენტთაშორისო თასს და ევროპის ჩემპიონთა თასს, ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, 1969 წელს კი იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი კარიერა ყოველთვის ვერ ჩერდებოდა ზენიტის პიკზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთმანეთის შემცველი იტალიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელები ჯიუტად, მაგრამ ხშირად, არც თუ დიდი წარმატებით, ცდილობდნენ გუნდის მთელი თამაში აეწყოთ რივერას შესაძლებლობებზე. ხოლო, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში რივერა მოედანზე გამოიყვანეს მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე, რამაც მას არ მისცა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. რივერამ 60 მატჩი ჩაატარა ნაკრებში და 14 გოლი გაიტანა. სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ჯანი რივერა დიდ პოლიტიკაში წავიდა და იტალიის პარლამენტის წევრი გახდა.

ბრაიან რობსონი

დაიბადა 1957 წლის 11 იანვარს, ინგლისში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ვესტ ბრომვიჩი"**, **"მანჩესტერ იუნაიტედი"**, **"მიდლბორო"**, ინგლისი.

1980 წლების მატჩები უიღბლო იყო ინგლისელი ფეხბურთელებისათვის, რადგან ამ პერიოდში უამრავმა შესანიშნავმა ინგლისელმა ფეხბურთელმა მიიღო მძიმე ტრავმა. ამ ტრავმების მეტი წილი, სამწუხაროდ, ბრაიან რობსონის ანგარიშზე მოდიოდა. მიუხედავად ამ ტრავმების მიზეზით გაცდენილი ტურნირების დიდი რაოდენობისა, ბრაიან რობსონმა მაინც დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც ბრიტანეთის, ასევე მსოფლიო ფეხბურთში. მან 90 მატჩი ჩაატარა ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში და ძალიან ხშირად კაპიტნის სამკლაურით გამოდიოდა მოედანზე. საკუთარი გუნდების შემადგენლობაში კი იგი სამჯერ დაეუფლა ინგლისის საფეხბურთო თასს, 1991 წელს გუნდთან ერთად გაიმარჯვა ევროპის თასის მფლობელთა თასის ტურნირში, 1991-1992 წლების პრემიერ-ლიგის პირველ ტურნირში კი გახდა ინგლისის ჩემპიონი. ბრაიან რობსონს საკუთარი სათამაშო სტრატეგია გააჩნდა: **"გაიტანე ბურთი მოწინააღმდეგი კარში რაც შეიძლება სწრაფად"**. მართლაც, მის მიერ რეალიზებულ მრავალ გოლთაგან რამდენიმე ბურთი უკვე მატჩის პირველსავე წუთზე იქნა გატანილი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბრაიან რობსონი ახალბედა ფეხბურთელი გახლდათ და **"ვესტ ბრომვიჩ ალბიონის"** შემადგენლობაში თამაშობდა, ორჯერ მოიტეხა ფეხი. ეს მისი **"ბრალი"** გახლდათ, რადგან მოწინააღმდეგე გუნდის მცველები ბრაიანს მხოლოდ სპორტის წესების დარღვევით თუ გააჩერებდნენ ხოლმე. მაგრამ ხშირი ტრავმები ხელს ვერ უშლიდა შემდგომ დაოსტატებაში. **"მანჩესტერ იუნაიტედმა"** მასში იმ დროისათვის სარეკორდო თანხა – 1.500.000 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. 1994 წელს ბრაიან რობსონმა მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი და იმავე წელს **"მიდლსბორო"** ინგლისის პრემიერ-ლიგაში გადაიყვანა.

პედრო როჩა

დაიბადა 1942 წლის 3 დეკემბერს, ურუგვაიში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"პენიაროლი"**, ურუგვაი, **"სან-პაულუ"**, ბრაზილია.

სიმართლე რომ ითქვას, პედრო როჩას ვერც გარეგნობითა და ვერც თამაშის სტილით ვერ ამსგავსებდნენ ზომაზე მეტად ტემპერამენტიან, ცხელსისხლიან და სკანდალისმოყვარულ ურუგვაელ ფეხბურთელებს. იგი მაღალი და ათლეტური გარეგნობის იყო, გამოირჩეოდა სიმშვიდით, განსაცვიფრებელი სისწრაფით და შესანიშნავი ტექნიკით, რომელსაც აგვირგვინებდა ტიტანური ფიზიკური შესაძლებლობები. იგი მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ნახევარმცველი გახლდათ და აღიარება მაშინვე მოიპოვა, როგორც კი ურუგვაის უძლიერესმა საფეხბურთო კლუბმა **"პენიაროლმა"** ჩარიცხა ძირითად შემადგენლობაში. მომდევნო ცხრა საფეხბურთო სეზონის განმავლობაში როჩა თავის კლუბთან ერთად შვიდჯერ გახდა ურუგვაის ჩემპიონი. სწორედ როჩას შემართების შედეგი გახლდათ ის, რომ **"პენიაროლმა"** საშინაო და გასვლითი მატჩები მოუგო მადრიდია **"რეალს"** 1966 წლის საკინტინენტთაშორისო მატჩის გათამაშებაში. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე როჩა მონაწილეობდა როგორც ურუგვაის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, მაგრამ პირველივე მატჩში მიიღო ტრავმა და, სამწუხაროდ, ჩემპიონატს გამოეთიშა. გამოჯანმრთელების შემდეგ პედრო როჩა ბრაზილიაში გადავიდა სათამაშოდ და უკვე პირველივე სეზონში გაამარჯვებინა **"სან-პაულუს"** ქვეყნის შტატის (ბრაზილიაში შტატების პირველობები ტარდება) ჩემპიონატში. სულ ურუგვაის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში პედრო როჩამ 62 მატჩი ჩაატარა და ოცამდე გოლი გაიტანა, ხოლო აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ჯერ მწვრთნელად მუშაობდა, შემდეგ კი ბიზნესში გადავიდა.

გიორგი ჯალაღანია

ოუმორი

მძიმედ ავადმყოფი ქმარი ლოგინში წევს, ცოლი კი გვერდით უზის და წერილს სწერს:
– შაქრო, რომელია სწორი, "დაკრძალვა" თუ "დასაფლავება"?

* * *

– ეჰ, ფულში და სიმდიდრეში არ არის ბედნიერება... ხომ გინახავს – "მდიდრებიც ტირიან"?
– მართალია, მაგრამ თუ მაინცა და მაინც სატირალია, მეტროში ტირილს "მერსედესში" ტირილი სჯობია!.

* * *

ლოთი მამა მეხუთე ბოთლს ცლის:
– მამი, შეიძლება, ბოთლები ჩავაბარო და პური ვიყიდო? – ეკითხება შვილი.
– მიდი, შვილო, მიდი, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?

* * *

კაცი სახლში ბრუნდება ღამით. გზად სასაფლაოზე მოუწია გავლამ. მიდის და შიშით გული უსკდება. ხედავს, ვიღაც მოხუცი კაცი საფლავის ქვას ამაგრებს.
– უჰ, როგორ შემაშინეთ! მანდ რას აკეთებთ?
– ჩემს შვილს წლები არასწორად დაუწერია და ვასწორებ...

* * *

– ჩვენთან მხოლოდ პატიოსან ხალხს ვიღებთ სამსახურში: პატიოსნები ცოტას იპარავენ.

* * *

ქმარი ოთახში შევარდა და ცოლს მთელი ხმით დაუყვირა:
– მე ყველაფერი ვიცი!
ცოლი არ დაიბნა:
– ყველაფერი?! აბა, მითხარი, როდის მოხდა ტრაფალგარის ბრძოლა?

სამარგალო

მიყორს ჩქიმი სამარგალო
თიშ გოლა დო, თიში რზენი.
დღასუ გლახა ვამათქუე
თუდო დაჩხირ ქათომრზენი.
შონეშ გოლაშე ინგირი
მოსოფუნს და მოხირჩანსუ,
მარგალ კოჩი ხვამელ ორე
ღვინი გარკუ დღას ჭირქასუ.
სუმარც შეხვად გოძიცელო
თიშ ჭირც დიხას ვაყადანცუ,
ქახუტოლუ, გოქუნუნცუ
თუდო რდას დო ლაკადუსუ.
ეზო-კარი მოკვანწილცუ
ჯოდორ ინოყვანყვალანცუ,
თაქიანი გორდი ხოლო
ბირებული ყაყალანცუ.
ცა ირო რე მოსარკილი
რწკინუნცუ დო ვარკალანცუ,
ქაცარ დო ოჩი ოყვილარო
ირო მუჭომ ჯღვარკალანსუ.
წყარიშ წიაქვილ სქიმუს ურთანც,
ლატის ქუნცუ დო ღარღალანც,
აქვამი ცირა ჯარალუას
ძიცას ღურუ ტკვარჩალანცუ.
კუნთხუ უჯგუშ ვამწონებუ
შხვეფი ტყურათ ყვარყვალანცუ
ათეჯგუა სქურიშ წყარი
სოთინ ვამოხვარჩალანცუ.
უჩაშეფიშ პატიცემა
უჩქუ კაბეტ ბადანასუ,
ძღაბეფ ირო დოგორუნა,
მუშ ოსქვაფურ – მახანასუ.

როზმერ გოგენია,
ზუგდიდი

„ვენახი რომ გაყიდო, იმის ფულიც კი არ გეყოფა დასახსნელად“

ამას წინათ სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილე გლეხებს, რომლებმაც რთველთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატეს და კახეთის საინფორმაციო ცენტრს ინტერვიუ მისცეს, პოლიციის თანამშრომლები დაემუქრნენ.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, პოლიციის თანამშრომლებმა მათ შინ გუშინ გვიან ღამით მიაკითხეს და გააფრთხილეს, რომ თუ ხმას არ ჩაიწყვეტენ, პრობლემები შეექმნებოდათ.

„მოვიდნენ და მითხრეს – რას ბუნტაობ, რომ ბუნტაობ, გგონია, ჟურნალისტები გიშველიან? ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, წლევანდელი მოსავალი კი არა, ვენახი რომ გაყიდო, იმის ფულიც კი არ გეყოფა დასახსნელად... არაფერი მითქვამს, ერთ-ერთი მათგანი ნასვამი იყო და შარს ეძებდა“, – აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

შეგახსენებთ, რომ უკმაყოფილო გლეხებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თამაზ ნასყიდაშვილი და გამგეობის თანამშრომლები ჟურნალისტებთან საუბარს გუშინვე აქციის მიმდინარეობის დროს უშლიდნენ.

საქინფორმი

საქართველოს ევროკავშირში გაწევრების წინაპირობა არ არის

„საქართველოსა და მოლდოვას ამ სამიტისგან უფრო დიდი მოლოდინები ჰქონდათ ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით, ვიდრე ჩვენ შევთავაზეთ“, – ამის შესახებ ვარშავაში აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტის დასრულების შემდეგ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა განაცხადა.

ვარშავაში ჩატარებულ ერთობლივ ბრიფინგს ესწრებოდნენ ტუსკი, უნგრეთის პრემიერი ორბანი და ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო.

ტუსკის განცხადებით, დღეს არ არსებობს წინაპირობა, რომ საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრებაზე დაიწყოს საუბარი.

„მათ უნდა შეასრულონ ვალდებულებები, თუმცა უკვე გადაწყვეტილია – 2012 წელი იქნება მოლდოვასა და საქართველოსთან მოლაპარაკების დაწყების წელი სავაჭრო შეთანხმებაზე“,– აღნიშნა პოლონეთის პრემიერმა.

ვარშავაში 29-30 სექტემბერს ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტში საქართველოს პრეზიდენტიც მონაწილეობდა.

სამიტზე მიიღეს დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე საქართველოსა და მოლდოვასთან მოლაპარაკებები წლის ბოლოს დაიწყება. დოკუმენტის ქვეთავში, რომელიც პოლიტიკურ ჩართულობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას ეხება, ნათქვამია, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ამ მიმართულებით პროგრესია მიღწეული.

საქინფორმი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge